კვლევითი ნაშრომი

# ზრუნვის დროა: აუნაზღაურებელი შრომა და გენდერული უთანასწორობა საქართველოში



ოქტომბერი 2022
UN WOMEN

ეს პუბლიკაცია მარია ს. ფლორომ მოამზადა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „კარგი მმართველობა საქართველოში გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის გლობალური პროგრამის „თითოეული ქალი და გოგო მნიშვნელოვანია“-ს მხარდაჭერით.

ამ პუბლიკაციის შინაარსი არ ასახავს გაეროს ქალთა ორგანიზაციის ან ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. მასში მოცემული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები მთლიანად ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

© 2022 UN Women

ISBN 978-9941-8-4946-6

კვლევითი ნაშრომი

# ზრუნვის დროა: აუნაზღაურებელი შრომა და გენდერული უთანასწორობა საქართველოში

**UN WOMEN**
თბილისი, საქართველო
ოქტომბერი 2022

Norwegian Ministry of Foreign Affairs
WOMEN COUNT
UN WOMEN

# მადლობა

წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულია ვასილ წაქაძის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენელი), მარგარიტა გუერეროს (გაეროს ქალთა ორგანიზაციის კონსულტანტი), ნათია მესტვირიშვილისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის სხვა კოლეგების მიერ გაზიარებული მასალები და შემოთავაზებები. ავტორი მადლობას უხდის დახმარებისთვის თომას ჰანგერფორდსა და ბინდერია ბაიამბასურენს.

# სარჩევი


მადლობა 4

აკრონიმები, აბრევიატურები და ტერმინთა განმარტება 6

შეჯამება 10

1 შესავალი 13

1.1 აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის მნიშვნელობა და სამომავლო გამოწვევები 14

1.2 ეროვნული კონტექსტი 15

1.3 დროის გამოყენების შესახებ მონაცემების როლი ქალების აუნაზღაურებელი შრომის გაგებაში 17

1.4 ანგარიშის მიზნები და კვლევის ფოკუსი 18

2 ლიტერატურის მიმოხილვა 20

3 საქართველოში 2020-2021 წლებში ჩატარებული დროის გამოყენების კვლევა 26

4 ქალებისა და კაცების მიერ ძირითადი, პარალელური და ზედამხედველობითი აქტივობებისთვის დროის გამოყენების პატერნები 33

5 ემპირიული ანალიზი 38

5.1 ზრუნვის საქმიანობისა და სამუშაო ძალაში მონაწილეობის ურთიერთმიმართება 40

5.2 ქალებისა და კაცების მიერ დროის გამოყენების პატერნების დეტერმინანტები 43

5.3 დროითი სიღარიბე ქალებსა და კაცებში 58

5.4 დროითი სიღარიბისა და სიჩქარის განცდის ურთიერთმიმართება 63

6 შემაჯამებელი შენიშვნები და პრაქტიკული გამოყენება პოლიტიკის დაგეგმვისას 66

დანართი 1 ემპირიულ ანალიზში გამოყენებული რეგრესიული მოდელები 70

დანართი 2 სრული ცხრილები 74

შენიშვნები 83

გამოყენებული ლიტერატურა 85

# აკრონიმები, აბრევიატურები და ტერმინთა განმარტება

## აკრონიმები და აბრევიატურები

| | |
|---|---|
| GDP | მთლიანი შიდა პროდუქტი<br>Gross domestic product |
| GEL | ქართული ლარი<br>Georgian lari |
| GTUS | საქართველოში დროის გამოყენების კვლევა<br>Georgia Time Use Survey |
| ILO | შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია<br>International Labour Organization |
| IV | ინსტრუმენტული ცვლადები<br>Instrumental variables |
| SDG | მდგრადი განვითარების მიზანი<br>Sustainable Development Goal |
| SNA | ეროვნული ანგარიშების სისტემა<br>System of National Accounts |
| SUR | მოჩვენებითად დაუკავშირებელი რეგრესია<br>Seemingly unrelated regression |
| UN Women | გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთეული გენდერული თანასწორობისა და ქალების გაძლიერებისთვის |

## ტერმინთა განმარტება

| | |
|---|---|
| ფიქსირებული ეფექტები<br>Fixed effects | ჯგუფისთვის დამახასიათებელი მუდმივი პირობა რეგრესიის მოდელში. ეს არის ეფექტი/გავლენა, რომელიც უცვლელად ნარჩუნდება დროში. |
| გენდერული სახელფასო სხვაობა<br>Gender pay gap | შრომის ბაზარზე კაცებისა და ქალების მიერ საათობრივად მიღებულ ანაზღაურებას შორის სხვაობა, გამოსახული კაცის ხელფასის პროცენტის სახით. |
| ინსტრუმენტული ცვლადი<br>Instrumental variable (IV) | ინსტრუმენტული ცვლადები მაშინ გამოიყენება, როდესაც საკვლევი ამხსნელი ცვლადი შეცდომის პირობასთან კორელირებს, რომელშიც სტანდარტული რეგრესია მიკერძოებულ შედეგებს იძლევა, ენდოგენუ-რობის, შერჩევის მიკერძოებულობის, გაზომვის შეცდომის ან გაუზომავი დამატებითი ცვლადების გამო. ვალიდურად ითვლება ინსტრუმენტი, რო-მელიც იწვევს ამხსნელი ცვლადის ცვლილებას, მაგრამ დამოუკიდებლად არ ზემოქმედებს დამოკიდებულ ცვლადზე.<br>ინსტრუმენტული ცვლადების გამოყენება დაკვირვების შედეგად მიღე-ბული მონაცემების გამოყენებით მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების შეფასების საშუალებას იძლევა. |
| შრომის ბაზრის შრომა<br>Labour market work | ინდივიდის მიერ განხორციელებული შრომითი საქმიანობები, რომელთა რიცხვში შედის ფორმალურ ან არაფორმალურ დასაქმებასთან დაკავში-რებული შრომა და საარსებო სახსრების წარმოება. ეს არის ეროვნული ანგარიშების სისტემაში (SNA) ჩართული აქტივობები. |
| ხანგრძლივი ზრუნვა<br>Long-term care | გულისხმობს სხვადასხვა სერვისის ერთობლიობას, რომელიც მოწოდე-ბულია ინდივიდის ჯანმრთელობის ან პერსონალური ზრუნვის საჭირო-ებების დასაკმაყოფილებლად მაშინ, როდესაც მას აღარ ხელეწიფება ყოველდღიური საქმიანობების თავად, დამოუკიდებლად განხორციელება ხანმოკლე ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ხანგრძლივ ზრუნვას სხვადასხვაგვარი მომვლელები/მზრუნველები ახორციელებენ სხვადა-სხვა გარემოში, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სახლში, როდესაც ოჯახის წევრები და მეგობრები უსასყიდლოდ ზრუნავენ ინდივიდზე; დაწესე-ბულებაში, მაგალითად, თავშესაფარში, ან მოზრდილთა დღის ზრუნვის სათემო ცენტრში. |
| მარგინალური ეფექტები<br>Marginal effects | გულისხმობს მოსალოდნელ დამოკიდებულ ცვლადზე დამოუკიდებელი ცვლადის მცირე ცვლილების ეფექტს. |
| დედობის სასჯელი<br>Motherhood penalty | ფენომენი, როდესაც ქალების შრომის ანაზღაურება მცირდება მას შემდეგ, რაც ისინი დედები ხდებიან. ეს, ნაწილობრივ, იმის შედეგია, რომ ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობების გამო, ქალები უფრო დიდი ალბათობის ტოვებენ სამუშაო ადგილს ან ამცირებენ სამუშაო საათებს. |

| | |
|---|---|
| მულტინომიური ლოგისტიკური რეგრესია<br>Multinomial logit regression | რამდენიმე ვარიანტიდან არჩევანის გაკეთების გადაწყვეტილების მიღების რეგრესიული მოდელი. |
| არაპროდუქტიული აქტივობები<br>Non-productive activities | გულისხმობს ისეთ პერსონალურ აქტივობებს, როგორიცაა სწავლა, სოციალიზაცია, ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ა. შ. დროის გამოყენების სტატისტიკის აქტივობების საერთაშორისო კლასიფიკაციაში (ICATUS) წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიები: (1) სწავლა; (2) სოციალიზაცია და კომუნიკაცია, თემის საქმიანობაში მონაწილეობა და რელიგიური პრაქტიკა; (3) კულტურა, დასვენება, მასმედია და სპორტული აქტივობები; (4) თვითზრუნვა და თავის მოვლა. |
| პრობიტ რეგრესია<br>Probit regression | ორ შესაძლებლობას შორის არჩევანის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების რეგრესიის მოდელი. |
| პროდუქტული აქტივობები<br>Productive activities | აქტივობა, რომელიც მესამე პირის კრიტერიუმს აკმაყოფილებს (ანუ შესაძლებელია ამ აქტივობის სხვა პირზე დელეგირება და მაინც იგივე სასურველი შედეგი იქნეს მიღებული), როგორიცაა დოვლათისა და სერვისების წარმოება ანაზღაურების სანაცვლოდ, სარგებლის/მოგების მისაღებად, ან, საბოლოო ჯამში, ინდივიდის პირადი მოხმარებისთვის. დროის გამოყენების სტატისტიკის აქტივობების საერთაშორისო კლასიფიკაციაში (ICATUS) წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიები: (1) დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები; (2) დოვლათის წარმოება, საბოლოო ჯამში, საკუთარი/ პირადი მოხმარებისთვის; (3) აუნაზღაურებელი საშინაო სერვისები შინამეურნეობისა და ოჯახის წევრებისთვის; (4) აუნაზღაურებელი ზრუნვის სერვისები შინამეურნეობისა და ოჯახის წევრებისთვის; (5) აუნაზღაურებელი მოხალისეობრივი, ტრეინინგისა და სხვა აუნაზღაურებელი შრომა. |
| მსყიდველობითი უნარის პარიტეტი<br>Purchasing power parity | გაცვლის კურსი, რომლითაც შესაძლებელია ერთი ქვეყნის ვალუტის კონვერტირება მეორე ქვეყნის ვალუტაში ისე, რომ შესაძლებელი იყოს ერთი და იმავე რაოდენობის პროდუქტებისა და სერვისების ყიდვა ორივე ქვეყანაში. |
| მოჩვენებითად დაუკავშირებელი რეგრესია<br>Seemingly unrelated regression (SUR) | მრავლობითი რეგრესიის მოდელები, რომელშიც შეცდომის პირობები (ანუ არადაკვირვებადი ცვლადები) არ არის ერთმანეთისგან დამოუკიდებელი. |
| დროითი სიღარიბე<br>Time poverty | გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც ძალიან ხანგრძლივი სამუშაო საათების გამო, ადამიანს მცირე დრო აქვს ან საერთოდ არ რჩება დრო დასვენებისთვის, გართობისა და სოციალიზაციისთვის. დროითი სიღარიბე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს პიროვნების ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნის განცდაზე. |

| | |
|---|---|
| ტობიტ რეგრესია<br>Tobit regression | რეგრესიის ტექნიკა, რომელშიც დამოკიდებული ცვლადი ცენზურას ექვემდებარება. მაგალითად, მოცემულ აქტივობაზე დახარჯული დროის მნიშვნელობა შეიძლება იყოს ნული ან დადებითი, მაგრამ ვერ იქნება უარყოფითი. ამ შემთხვევაში დრო ნულოვან წერტილზე ექვემდებარება ცენზურას. |
| აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა<br>Unpaid care work | აუნაზღაურებელი შრომის აქტივობები, რომლებსაც ინდივიდები ასრულებენ შინამეურნეობებში ან თემში მისი წევრების სასარგებლოდ. აქ შედის პიროვნებებზე ზრუნვა (პირდაპირი ზრუნვა/მოვლა) და საშინაო საქმეები (არაპირდაპირი ზრუნვის შრომა), როგორიცაა დალაგება-დასუფთავება, საჭმლის მომზადება, სარეცხის გარეცხვა, პროდუქტების საყიდლად სიარული და ა. შ. |
| შრომის ინტენსივობა<br>Work intensity | შრომის ინტენსივობა ლიტერატურაში რამდენიმენაირად განიმარტება. პიჩეტპონგსას (Pichetpongsa, 2004) კვლევაში ის განმარტებულია, როგორც საშუალო (ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი) სამუშაო დღის ხანგრძლივობა და სამუშაო აქტივობებისა და „სავარაუდოდ სტრესული" შემთხვევების/ინციდენტების თანხვედრა. ეს უკანასკნელი მოიცავს ორი ან მეტი შრომითი საქმიანობის ერთდროულად განხორციელებას, რომელთაგან ერთ-ერთი მოითხოვს ყურადღებას და/ან ენერგიას, ან მონოტონური და განმეორებითია. |

# შეჯამება

ზრუნვის შრომას არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის, ისე – საზოგადოებების გადარჩენისა და შენარჩუნებისთვის. ყოველდღიური საქმიანობების დიაპაზონი ფართოა: საჭმლის მომზადებიდან, სარეცხის რეცხვიდან, სახლის დალაგებასა და ჭურჭლის რეცხვიდან დაწყებული და ბავშვებზე, ავადმყოფ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და დასუსტებულ მოხუცებულ პირებზე ზრუნვით დამთავრებული. ეს შრომა უხილავი იყო პოლიტიკოსებისთვის, რადგან მისი დიდი ნაწილი აუნაზღაურებელია. ზრუნვის მძიმე შრომის შემცირებას, რომელსაც ქალები ეწევიან, არ ენიჭებოდა დიდი პოლიტიკური პრიორიტეტი, ვინაიდან ითვლებოდა, რომ სხვებზე ზრუნვა და მათი მოვლა, უპირველესად, ოჯახის პასუხისმგებლობას წარმოადგენდა და დიდად არ აისახებოდა ეკონომიკურ განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, ზრუნვის ამ ტვირთის ზიდვაში არსებული გენდერული უთანასწორობის საკითხიც მოუგვარებელი რჩებოდა.

კოვიდ 19-ის გლობალურმა პანდემიამ დღის სინათლეზე გამოიტანა ზრუნვის განვითარებადი კრიზისი, ხოლო მისმა ერთიანმა გავლენამ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე ზრუნვის მდგრადი სისტემების დაფუძნების საჭიროებაზე მიგვითითა. პანდემიის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ კარგად კოორდინირებული რეაგირების სისტემა და მკაცრი იზოლაციის ზომები დააწესა, მაგრამ პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა შემოსავლის წყაროები და ძირითადი სერვისები, სკოლების, დღის ზრუნვის ცენტრებისა და ზრუნვის სერვისის მიმწოდებელი სხვა დაწესებულებების ჩათვლით. იზოლაციამ განსაკუთრებით იმოქმედა ქალებსა და გოგონებზე, ვინაიდან შინ ყოფნის პირობებში მათ მნიშვნელოვნად მოემატათ ზრუნვის შრომა.

დამკვიდრებული ტრადიციული გენდერული ნორმებიდან გამომდინარე, შინამეურნეობებში ქალების მხრებზე გადადის საშინაო საქმის არაპროპორციულად დიდი წილი, რაც ხელს უშლის მათ, რომ უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არ არის გასაკვირი, რომ შრომის ბაზარზე არსებული გენდერული სხვაობის შედეგები კვლავ შესამჩნევია საქართველოში – ქალები უფრო ნაკლებად მონაწილეობენ სამუშაო ძალაში, ვიდრე კაცები. დროის გამოყენების მონაცემების შეგროვება ხელს უწყობს პოლიტიკოსების ინფორმირებას იმის თაობაზე, თუ დროის რა შეზღუდვების წინაშე დგანან ადამიანები. ასევე, კარგად აჩენს ქალებისა და კაცების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობების სრულ სპექტრს, აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ ქალებს გამორჩეულად მწვავედ უდგათ დროის დანახარჯის საკითხი და ძაბავთ ერთდროულად რამდენიმე როლის შესრულების საჭიროება. ამრიგად, ინდივიდების კეთილდღეობის ნებისმიერი კვლევა-ძიება არა მხოლოდ მათი შემოსავლებისა და გასავლების ცოდნას გულისხმობს, არამედ იმის გარკვევასაც, თუ როგორ იყენებენ ისინი თავიანთ დროს. დროის გამოყენების შესახებ მონაცემები აუცილებელია ადამიანების კეთილდღეობისა და კარგად ყოფნის განცდის გასაგებად. გარდა ამისა, ეს მონაცემები პოლიტიკოსებს დროსთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და გამოწვევების შესახებ აწვდის ინფორმაციას, რაც გენდერული თანასწორობის მდგრადი განვითარების მიზნის (SDG) მისაღწევად შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების საშუალებას იძლევა.

1. წინამდებარე ანგარიშში, ქვემოთ მოცემულ სამ კითხვაზე პასუხების გასაცემად, მონაცემთა ანალიზის რამდენიმე მეთოდის გამოყენებით, გაანალიზებულია 2020-2021 წლების საქართველოს დროის გამოყენების ეროვნული კვლევის (GTUS) ის ნაწილი, რომელიც სამუშაო ასაკის (25-62 წლის) 2 610 ქალისა და კაცის კვლევას ეხებოდა. ეს კითხვებია: არსებობს თუ არა კავშირი სამუშაო ძალაში მონაწილეობასა და ქალებისა და კაცების მიერ შესრულებული აუნაზღაურებელი საშინაო და ზრუნვის შრომის ოდენობას შორის?

2. რა განაპირობებს ქალებისა და კაცების მიერ შრომის ბაზრის შრომაზე დახარჯული დროის, აუნაზღაურებელი შრომის დროისა და დასვენებაზე/სოციალურ აქტივობებზე დახარჯული დროის რაოდენობას? განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს ის, თუ როგორ ზემოქმედებს ბავშვებსა და ფუნქციური სირთულეების მქონე ადამიანებზე ზრუნვის საჭიროებები დროის გადანაწილებაზე.

3. ვის ემუქრება დროითი სიღარიბე? ქალებს უფრო მეტი შანსი აქვთ, რომ დროით სიღარიბეში ცხოვრობდნენ და, შესაბამისად, მეტად დაუბალანსებელი პროფესიული და პირადი ცხოვრება ჰქონდეთ თუ კაცებს?

კვლევის შედეგების მიხედვით, იმ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად მეორე ადამიან(ებ)ის უშუალო მოვლაში 3.3 საათს (200 წუთს) მაინც ატარებენ, შრომის ბაზარზე მონაწილეობის უფრო ნაკლები შანსი აქვთ, ვიდრე იმათ, ვინც აუნაზღაურებელ შრომას დღეში 200 წუთზე ნაკლებს უთმობს. შრომით ძალაში მონაწილეობის ალბათობა კიდევ უფრო, დამატებითი 41.3 პროცენტით მცირდება ქალის შემთხვევაში. ის ადამიანები, რომლებიც ზრუნვის საჭიროებების მქონე შინამეურნეობებში ცხოვრობენ, ნაკლებ დროს ატარებენ შრომის ბაზარსა და ნატურალურ მეურნეობაში შრომაში, თუმცა მეტ დროს უთმობენ აუნაზღაურებელ შრომას. უფრო კონკრეტულად, 10 წლამდე ასაკის ბავშვებზე ზრუნვა ზრდის როგორც ქალების, ისე კაცების აუნაზღაურებელი შრომის დროს; თუმცა ქალების შემთხვევაში ეს მატება თითქმის ოთხჯერ მეტია, ვიდრე კაცების შემთხვევაში. გარდა ამისა, უფროსი ასაკის (10-17 წლის) ბავშვებზე და ფუნქციური სირთულეების მქონე პირებზე ზრუნვის საჭიროებები ზრდის ქალების და არა – კაცების ყოველკვირეულ აუნაზღაურებელ შრომას.

თუ ამ ადამიანებს, განსაკუთრებით ქალებს, ვინმე ეხმარება ზრუნვის შრომაში (კერძოდ, ამ დახმარებას ისინი ძირითადად შინამეურნეობაში მცხოვრები სხვა, 16-74 წლის შრომისუნარიანი ქალებისგან იღებენ), იზრდება მათ მიერ შრომის ბაზრის აქტივობებისთვის გამოყოფილი დრო და, ამავდროულად, მცირდება აუნაზღაურებელი საშინაო და ზრუნვის შრომა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზრუნვის შრომაში გარედან მიღებული დახმარება არ ახდენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან ეფექტს. ამის სავარაუდო ახსნა ის არის, რომ GTUS-ის მონაცემები კოვიდ 19-ის პანდემიის პირველ 15 თვეში შეგროვდა. ვინაიდან პანდემიამ მთელ საქართველოში მკაცრი შეზღუდვები და იზოლაციაც კი მოიტანა, განსაკუთრებით პირველ თვეებში, რის შედეგადაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა ბავშვზე ზრუნვის ზოგიერთი სერვისი და ბაგა-ბაღები, შინამეურნეობებს გაუძნელდათ ზრუნვის გარე სერვისებისა თუ დახმარების გამოყენება.

GTUS-ის მონაცემთა ანალიზი იმასაც აჩვენებს, რომ როდესაც ქალებს ერთდროულად რამდენიმე როლის შესრულება უწევთ და ამისათვის შეზღუდული დრო აქვთ, დროის განაწილების პრობლემას ერთდროულად გაკეთებადი და ურთიერთგადამფარავი საქმეების შესრულებით აგვარებენ. ასე მაგალითად, 10 წლამდე ასაკის ბავშვების ყოლა ზრდის პარალელური ზრუნვის შრომაზე დახარჯულ დროს მაშინ, როცა სახლის პირობებში ზრუნვაში ხელმისაწვდომი დამხმარე, როგორიცაა ამავე შინამეურნეობაში მცხოვრები სხვა შრომისუნარიანი ქალ(ებ)ი, ნებისმიერი ტიპის შინამეურნეობის პირობებში ამცირებს პარალელური ზრუნვის შრომის აქტივობებს.

ამასთან, ქალები გაცილებით მეტ ზედამხედველობით ზრუნვის შრომას ეწევიან, ვიდრე კაცები. ისინი კვირაში საშუალოდ 13.6 საათს (818.4 წუთს) უთმობენ ამგვარ შრომას იმ შინამეურნეობებში, რომლებშიც ფუნქციური სირთულეების მქონე პირ(ებ)ი ცხოვრობს/ცხოვრობენ, ხოლო 17.8 საათს (1 065.4 წუთს) – თუ შინამეურნეობაში მცირეწლოვანი ბავშვები იმყოფებიან.

გარდა ამისა, ქალებში უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ გრძელი სამუშაო დღე ჰქონდეთ (ანუ მეტი საათი იმუშაონ), ვინაიდან ისინი ანაზღაურებად შრომასაც ეწევიან და აუნაზღაურებელსაც და, შესაბამისად, დროც გაცილებით ცოტა აქვთ (მაღალი აქვთ დროითი სიღარიბის მაჩვენებელი), ვიდრე კაცებს.

წინამდებარე კვლევაში დროით სიღარიბეს ვუწოდებთ მდგომარეობას, როდესაც ინდივიდს გახანგრძლივებული სამუშაო დღის გამო არ აქვს ადეკვატური დასვენებისა და გართობის დრო. თუ დროითი სიღარიბის ზღვრად კვირაში 60 სამუშაო საათს ავიღებთ, ვნახავთ, რომ საქართველოში ქალების 52 და კაცების 40.9 პროცენტი აკმაყოფილებს დროითი სიღარიბის მდგომარეობის კრიტერიუმს. ამას პრობიტ-ანალიზის შედეგებიც ადასტურებს, მიუთითებს რა, რომ ქალების შემთხვევაში 22 პროცენტით მეტია ალბათობა იმისა, რომ ისინი დროით სიღარიბეს განიცდიდნენ, ვიდრე კაცების შემთხვევაში. ამასთან, სხვაზე ზრუნვაში დამხმარის შინ ყოლა, თავის მხრივ, 18 პროცენტით ამცირებს დროითი სიღარიბეში აღმოჩენის ალბათობას.

და ბოლოს, შედეგები მიუთითებს, რომ დროითი სიღარიბე სიჩქარის განცდას უკავშირდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ დაძაბულობა და სტრესი, რომელსაც ინდივიდები, განსაკუთრებით, ქალები განიცდიან, გახანგრძლივებული სამუშაო საათებისა და ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთების მოთხოვნის შედეგია.

ის ფაქტი, რომ ქალები საქართველოში ასეთი თავსატეხის წინაშე დგანან, გენდერულად მგრძნობიარე მაკროეკონომიკური, შრომისა და ზრუნვის კოორდინირებული პოლიტიკის გატარების საჭიროებას გამოკვეთს, რომელიც დროის დეპრივაციისა და შრომით ძალაში ქალების მწირი მონაწილეობის ამ ციკლის გასაწყვეტად იქნება მოწოდებული.

# 1

## შესავალი

# 1.1 აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის მნიშვნელობა და სამომავლო გამოწვევები

ბავშვებზე, მოხუცებზე, ავადმყოფ ანდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ოჯახის წევრებზე ზრუნვა და საშინაო საქმეების (მაგალითად, დალაგება და საჭმლის მომზადება) კეთება მნიშვნელოვანი საქმიანობებია ნებისმიერ საზოგადოებაში. ქალების მიერ გაღებული ეს ფასდაუდებელი წვლილი განსაკუთრებით არის აღნიშნული და გამოკვეთილი მდგრადი განვითარების მეხუთე მიზანში, რომელიც გენდერული თანასწორობისა და ქალებისა და გოგონების გაძლიერების მიღწევას შეეხება. მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის 5.4 ქვემიზანი აუნაზღაურებელი ზრუნვის და საშინაო საქმის აღიარებისა და დაფასებისკენ მოგვიწოდებს. და მაინც, სახელმწიფო პოლიტიკა ამ აქტივობების გავლენის გათვალისწინების გარეშე იგეგმება და ხორციელდება, შედეგად კი თანხის გამომუშავებისა და ოჯახზე ზრუნვის ორმაგი პასუხისმგებლობები, რომლებიც ბევრ დასაქმებულ ქალს აკისრია, გარდაუვალად წარმოშობს სტრესსა და დაძაბულობას, რაც, თავის მხრივ, ართულებს ღირსეული ბალანსის შენარჩუნებას სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის.

ვინაიდან, პოლიტიკის დისკურსები აუნაზღაურებელ შრომას არ ითვალისწინებს, ყურადღების მიღმა რჩება ის რეალობა, რომლის წინაშეც დგანან ქალები; კერძოდ, შინამეურნეობებში გაწეული ზრუნვის შრომის უთანაბრო ტვირთი და მისი გავლენა ქალების ეკონომიკურ გაძლიერებასა და კარგად ყოფნის განცდაზე, რომელთაც უწევთ ამ ტვირთის ზიდვა. აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, თუმცა ჯერ კიდევ „უხილავია“. აქედან გამომდინარე, ამ ტვირთის ზიდვაში გენდერული უთანასწორობა მოუგვარებელ საკითხთა ნუსხაში რჩება.[1] ამავდროულად, შესაძლოა, პოლიტიკოსებმა ზრუნვაზე მოთხოვნა იმთავითვე არსებულ, ჩვეულებრივ მოცემულობად მიიჩნიონ, ვინაიდან მისი მნიშვნელოვანი, შედარებით ხისტი ასპექტი აუნაზღაურებელი შრომის ხარჯზე კმაყოფილდება, რაც, დიდწილად, სოციალურად მიწერილი გენდერული როლებითა და ქალური ვალდებულებების ნორმებით არის განპირობებული.[2] ეს ღრმად ფესვგამდგარი სოციალური ნორმები და გენდერული სტერეოტიპები აყალიბებს ადამიანების მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ ვინ არის პასუხისმგებელი კარიერის ქონის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე იმის ფონზე, რომ ქალებზე დაკისრებული ზრუნვის შრომის პასუხისმგებლობა იმთავითვე შეუცვლელ მოცემულობად აღიქმება ბევრ საზოგადოებაში, ხოლო პოლიტიკოსები, ყოველგვარი განხილვისა და დამატებითი კითხვების დასმის გარეშე, მას ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ.[3] ზრუნვის მძიმე შრომის შემცირება, რომელიც ტვირთად აწევთ ქალებს, შედარებით ნაკლებად პრიორიტეტულად ითვლებოდა პოლიტიკაში, ვინაიდან სხვებზე ზრუნვა და მათი მოვლა, უპირველესად, ოჯახის პასუხისმგებლობად იყო მიჩნეული და ნაკლებად ზემოქმედებდა ეკონომიკურ განვითარებაზე.

კოვიდ 19-ის გლობალურმა პანდემიამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ეს მოსაზრება. პანდემიის პერიოდში გამოაშკარავებული ზრუნვის კრიზისი და ის სრულმასშტაბიანი ზეგავლენა, რომელიც ამ კრიზისმა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე იქონია, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ზრუნვის მდგრადი სისტემების ჩამოყალიბების საჭიროებას; ისეთი სისტემების, რომლებიც აღიარებენ და დააფასებენ მზრუნველთა/მომვლელთა მიერ გაწეულ შრომას. ასევე, მოაგვარებენ, ერთი მხრივ, ქალებსა და კაცებს შორის ზრუნვის შრომის და, მეორე მხრივ, ოჯახებს, მთავრობებსა და კერძო სექტორს შორის ზრუნვის პასუხისმგებლობების უთანასწორო გადანაწილების საკითხს.

# 1.2 ეროვნული კონტექსტი

პანდემიის დაწყებისთანავე საქართველოს მთავრობამ ადრეული რეაგირების კარგად კოორდინირებული სისტემა დანერგა და მკაცრი იზოლაციის ღონისძიებები გაატარა. მიუხედავად ამისა, პანდემიამ სერიოზული ზიანი მიაყენა ადამიანების საარსებო წყაროებს და არსებითი მნიშვნელობის მქონე სერვისებს, მათ შორის, სკოლებს, დღის ზრუნვის ცენტრებსა და ზრუნვის სერვისის მიმწოდებელ სხვა დაწესებულებებს ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში. მკაცრი იზოლაციის ღონისძიებებმა ქალები და გოგონები განსაკუთრებით დააზარალა, ვინაიდან შინ ყოფნის პირობებში მათ საშინაო შრომაც მოემატათ. საქართველოში კოვიდ 19-ის პირობებში გენდერული შეფასების მიხედვით, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციამ განახორციელა, ქალების დაახლოებით 42 პროცენტი აღნიშნავდა, რომ უფრო მეტ დროს უთმობდა ერთ დამატებით საშინაო საქმეს მაინც მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი კაცებისთვის 35 პროცენტს შეადგენდა.[4] იმის გამო, რომ სკოლები დაიხურა და დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა, ამ პერიოდში ბავშვების წილმა საშინაო შრომამაც იმატა, ხოლო დასაქმებულ ქალებს მეტი შანსი ჰქონდათ, რომ სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადასულიყვნენ, ვიდრე კაცებს.

ეს შედეგები არ არის გასაკვირი ისეთი მდგრადი გენდერული ნორმების პირობებში, რომლებიც ქალებს ძირითადი მზრუნველის, ხოლო კაცს - მარჩენალის როლებს მიაწერს. ამის გამო ქალებისთვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს შრომის ბაზარზე მონაწილეობა და თან შრომისა და პირადი ცხოვრების ჯანსაღი ბალანსის მიღწევა. ბოლო ათი წლის განმავლობაში, 2011-დან 2021 წლამდე, საქართველომ მდგრადი - წელიწადში საშუალოდ ოთხპროცენტიანი ეკონომიკური ზრდა განიცადა, ხოლო სიღარიბის მაჩვენებელმა, 2011 და 2021 წლებს თუ შევადარებთ ერთმანეთს, 59 პროცენტიდან 42 პროცენტამდე იკლო.[5] მიუხედავად იმისა, რომ ამ დადებითმა ცვლილებებმა ბევრ ადამიანს, განსაკუთრებით ქალებს, გაუფართოვა არჩევანი და შესაძლებლობები, გენდერული მიკერძოებულობა კვლავ მძლავრად არის ფესვმოკიდებული შინამეურნეობებში, თემებსა და შრომის ბაზარზე არსებულ ურთიერთობებში, განსაკუთრებით იმ მოცემულობაში, რომ ქალები პროგრესირებენ და წინ მიიწევენ კარიერაში.[6] ტრადიციული გენდერული როლები არა მხოლოდ იმაზე მოქმედებენ, თუ როგორ ხდება შინამეურნეობაში გადაწყვეტილების მიღება, არამედ იმაზეც, თუ რამდენად არის საშინაო საქმეები და ზრუნვის შრომა გადანაწილებული შინამეურნეობის წევრებს შორის, რამდენად აკეთებენ ქალები ისეთი საქმეების უდიდეს ნაწილს, როგორებიცაა საჭმლის მომზადება, დალაგება და ბავშვების მოვლა.[7] ფაქტობრივად, „კაცებისა და გენდერული თანასწორობის საერთაშორისო კვლევის" (IMAGES, 2020) მიხედვით, ქალი რესპონდენტები თვლიან, რომ მთავარი დაბრკოლება, რომელიც მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად ჩართვაში უშლის ხელს, საშინაო და ზრუნვის პასუხისმგებლობებია.[8]

აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ საქართველოში შრომის ბაზარზე არსებული გენდერული სხვაობის შედეგები კვლავ აშკარად არის გამოხატული. სამუშაო ძალაში ქალების მონაწილეობის მაჩვენებელი, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში 40-დან 46 პროცენტამდე მერყეობდა, მნიშვნელოვნად ჩამორჩება კაცების მაჩვენებელს (62-67 პროცენტი).[9] საქართველოს გენდერული თანასწორობის პროფილის მიხედვით, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციამ 2021 წელს გამოაქვეყნა, ქალებსა და კაცებს შორის განსხვავება ეკონომიკური უმოქმედობის მიხედვით (59.6 და 38 პროცენტი, შესაბამისად) მნიშვნელოვნად მეტია ქალების რეპროდუქციულ ასაკში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც აღნიშნავს, რომ დასაქმების მაჩვენებელში გენდერული სხვაობა უდიდეს ნიშნულს კაცებსა და ქალებს შორის 25-34 წლებსა და 55 წელს ზემოთ აღწევს. ეს სხვაობა ქალების ცხოვრების ციკლის ზუსტად იმ ეტაპებს ემთხვევა, როდესაც მათ ყველაზე ინტენსიურად მოეთხოვებათ სხვებზე ზრუნვა - ბავშვებზე ზრუნვა რეპროდუქციულ ასაკში და ფუნქციური სირთულეების მქონე მოხუცებულ

ადამიანებზე ზრუნვა ცხოვრების შედარებით გვიანდელ ეტაპზე. ამასთანავე, გენდერული სახელფასო სხვაობაც მნიშვნელოვან დონეს ინარჩუნებს. 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს ქალებისა და კაცების ხელფასების თანაფარდობამ 3.8 პროცენტით მოიმატა და 67.6 პროცენტს მიაღწია.[10]

აღსანიშნავია, რომ საქართველო იმ ქვეყანათა მზარდ რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც შემუშავებული აქვთ ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ქალების წინსვლისა და განვითარების ინსტიტუციური მექანიზმები. ეს მექანიზმები მოიცავს სოციალური დაცვის ფართო სისტემას, რომელიც 2020 წელს ერთიანი სამთავრობო ბიუჯეტის 27.4 პროცენტით დაფინანსდა.[11] თუმცა, არსებული სისტემა არაადეკვატური და არაეფექტურია, განსაკუთრებით დასაქმებული ქალების შემთხვევაში. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, ისინი, ვინც ისეთ არაფორმალურ სექტორში არიან დასაქმებულნი, როგორიც ოჯახში დაქირავებული შრომაა, ვერ სარგებლობენ სოციალური დაცვის სერვისებით, მაგალითად, საპენსიო სქემით. დედობის დაცვაც საკმაოდ სუსტია კერძო და საჯარო სექტორში დასაქმებული ქალებისთვის (გამონაკლისს წარმოადგენენ საჯარო მოხელეები).[12]

მიუხედავად იმისა, რომ განვითარების მიმართულება იმედის მომცემია - მთავრობა უფრო და უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებს მეტად სამართლიანი მომავლის შექმნის თვალსაზრისით, აუცილებელია, უკეთ გვესმოდეს აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის ბუნება და მისი კავშირი სამუშაო ძალაში ქალების მონაწილეობასთან, დროით სიღარიბესა და ქალების კარგად ყოფნის განცდასთან, რათა შესაძლებელი გახდეს გენდერულად მეტად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარება და დაჩქარდეს ცვლილებები გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

# 1.3 დროის გამოყენების შესახებ მონაცემების როლი ქალების აუნაზღაურებელი შრომის გაგებაში

დროის გამოყენების შესახებ მონაცემები ახალი კვლევის კითხვებზე პასუხების გასაცემად და იმ პოლიტიკური ინიციატივებისთვის შეიძლება გამოგვადგეს, რომლებიც ზრუნვის უზრუნველყოფის მხარდაჭერას ან აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის მძიმე ტვირთის შემსუბუქებას ისახავს მიზნად. ეს მონაცემები საშუალებას აძლევს მკვლევრებს, თვალი მიადევნონ, თუ რა ხდება აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის მიმართულებით, შრომის ბაზრის შრომაზე დახარჯული საათების პარალელურად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დემოგრაფიული და ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილებები და ეკონომიკური ძალები ზრუნვის საჭიროებების მატებაზე მიუთითებს.[13] აუნაზღაურებელი შრომის ზუსტი შეფასება პოლიტიკოსებს იმ დროითი შეზღუდვების შესახებ აწვდის ინფორმაციას, რომელსაც ადამიანები აწყდებიან როგორც სამუშაო ძალაში, ისე - სათემო და საზოგადოებრივ საქმიანობებში მონაწილეობისას.

წინამდებარე ანგარიშში ზრუნვის შრომა ან აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა იმ პროდუქტიულ საქმიანობებს გულისხმობს, რომლებიც უშუალო, პირდაპირი პერსონალური ზრუნვის საქმიანობებს მოიცავს, იქნება ეს ბავშვის გამოკვება და შემოსვა თუ ფუნქციური სირთულეების მქონე პირისთვის დახმარების გაწევა, მაგალითად, ბანაობისას. აქვე მოიაზრება არაპირდაპირი ზრუნვის აქტივობები, როგორებიცაა სარეცხის გარეცხვა, საჭმლის მომზადება და ჭურჭლის რეცხვა.[14] ასეთი სამუშაო შეიძლება შესრულდეს, როგორც ძირითადი საქმე, პარალელური საქმე ანუ ძირითად საქმიანობასთან ერთად, ან ზედამხედველობითი ზრუნვის საქმიანობა. ეს უკანასკნელი მზრუნველ პირზე დამოკიდებულ ინდივიდთან იქვე ან ახლო-მახლო ყოფნას გულისხმობს, იქნება ეს ბავშვი, დასუსტებული მოხუცებული ადამიანი თუ ავადმყოფი ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, რათა „დაძახებისთანავე", საჭიროებისამებრ, ხელმისაწვდომი იყოს და თან ზრუნვისგან განსხვავებული საქმით იყოს დაკავებული.[15] მაგალითად, შეიძლება თან ბავშვს ადევნოს ადამიანმა თვალ-ყური და თან საჭმელი გააკეთოს, ბოსტანში იმუშაოს ან რესტორანში ივახშმოს. აღწერს რა ქალებისა და კაცების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობების სრულ სპექტრს, დროის გამოყენების კვლევამ შეიძლება აჩვენოს, რომ ქალებს საერთოდ არ აქვთ „თავისუფალი დრო" და განსაკუთრებულად დაძაბულნი არიან ის ქალები, რომლებიც „დროით სიღარიბეში" ცხოვრობენ.

# 1.4 ანგარიშის მიზნები და კვლევის ფოკუსი

წინამდებარე ანგარიში ორ მიზანს ემსახურება. პირველი მიზანია იმის ჩვენება, რომ საქართველოში 2021 წელს განხორციელებული დროის გამოყენების კვლევა (GTUS) სასარგებლო ინფორმაციას გვაწვდის, რომელიც, ადამიანების ხელთ არსებული დროის გადანაწილების ანალიზის გზით, მძიმე ზრუნვის შრომის თანმდევი შედეგების უკეთ გაგების საშუალებას გვაძლევს. ანგარიშში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის, თუ როგორ იყენებენ ადამიანები საკუთარ დროს, განაპირობებს პოლიტიკის პრიორიტეტებს.[16] ამ პრიორიტეტთა რიცხვში შედის ქალის აუნაზღაურებელი შრომის ტვირთის შემცირება; ბავშვებზე, ავადმყოფებსა და დასუსტებულ მოხუცებულებზე ზრუნვის საჭიროებების დაკმაყოფილება; შრომასა და პირად ცხოვრებას შორის ჯანსაღი ბალანსის მიღწევა და კარგად ყოფნის განცდის გაუმჯობესება.

ანგარიშის მეორე მიზანია ქართველი პოლიტიკოსების ინფორმირება ზრუნვის შრომის უთანასწორო ტვირთის შესახებ, რომელიც ამ შრომაში გატარებული დროისა და შესრულებული სამუშაოს ინტენსივობის ტერმინებით აღიწერება და, ასევე, იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ზრუნვის შრომის ეს დაუბალანსებელი ტვირთი შრომით ძალაში ქალების მონაწილეობასა და მათი კარგად ყოფნის განცდაზე. ამისათვის ანგარიშში გაანალიზებულია 2020-2021 წლებში საქართველოში დროის გამოყენების კვლევის მონაცემები. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში პასუხობს შემდეგ კითხვებს:

1. რა ურთიერთმიმართებაა შრომით ძალაში მონაწილეობასა და ქალებისა და კაცების მიერ შესრულებულ აუნაზღაურებელ საშინაო და ზრუნვის შრომას შორის?
2. რა განაპირობებს ქალებისა და კაცების მიერ შრომის ბაზრის შრომაში, აუნაზღაურებელ შრომასა და დასვენებაში/სოციალურ აქტივობებში გატარებული დროის ოდენობას? ამასთან, განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს ის, თუ როგორ ზემოქმედებს ბავშვებისა და ფუნქციური სირთულეების მქონე პირებზე ზრუნვის საჭიროება დროის განაწილებაზე.
3. ვის ემუქრება დროითი სიღარიბე? ქალებს უფრო მეტი შანსი აქვთ, რომ დროით სიღარიბეში ცხოვრობდნენ და, შესაბამისად, მეტად დაუბალანსებელი პროფესიული და პირადი ცხოვრება ჰქონდეთ თუ კაცებს?

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ანალიზი, რომელიც 2020-2021 წელს საქართველოში დროის გამოყენების კვლევის (GTUS) შერჩევაზე ახდენს ფოკუსირებას. ეს არის სამუშაო ასაკის, 25-62 წლის შრომისუნარიანი[17] 2 610 ქალი და კაცი, რომლებიც რამდენიმე ადამიანისგან შემდგარ შინამეურნეობაში ცხოვრობენ და თავიანთი დროის გამოყენების შესახებ დღიურს კვირის სამუშაო დღეებშიც აწარმოებდნენ და უქმეებზეც. დროის გამოყენების ეს კვლევა პირველი ეროვნული მასშტაბის კვლევაა, რომელიც საქართველოში ჩატარდა 2020 წლის სექტემბრიდან 2021 სექტემბრამდე და ითვალისწინებდა რესპონდენტების მიერ დროის გამოყენებაზე წლის სეზონების ცვალებად გავლენას.[18] ანგარიშში შემოთავაზებული მონაცემთა ანალიზი აერთიანებს მარტივ *t*-კრიტერიუმებს, კენდელის სიმჭიდროვის განაწილებებსა და რამდენიმე რეგრესიულ ანალიზს. კვლევის კითხვებზე პასუხების გასაცემად გამოყენებულია პრობიტ, მოჩვენებითად დაუკავშირებელი რეგრესია (SUR), ტობიტ და მულტინომიური ლოგარითმული მიდგომები.

ანგარიში შემდეგნაირად არის ორგანიზებული: მეორე თავში შემოთავაზებულია საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა. მესამე თავში განხილულია მონაცემთა შერჩევა, ანალიზში გამოყენებული აქტივობების კლასიფიკაცია და ზოგიერთი ნაკლოვანი მხარე, ვინაიდან დროის გამოყენების კვლევა კოვიდ 19-ის პანდემიის პირველი 15 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამავე თავშია აღწერილი შერჩეული ქალებისა და კაცების შესაბამისი მახასიათებლები და მათი შინამეურნეობები. მეოთხე თავი რესპონდენტების მიერ ძირითადი, პარალელური და ზედამხედველობითი ზრუნვის აქტივობებისთვის დროის გამოყენების ყოველკვირეული პატერნების აღწერას ეთმობა. მეხუთე თავი კი - კვლევის კითხვებზე პასუხების გასაცემად გამოყენებული მეთოდოლოგიისა და კვლევის ძირითადი შედეგების აღწერას. ანგარიშის დასასრულს, მეექვსე თავში მოკლედ არის მიმოხილული პოლიტიკისთვის გამოსადეგი პრაქტიკული შედეგები.

# 2

# ლიტერატურის მიმოხილვა

გენდერისა და დროის გამოყენების მეცნიერები და ფემინისტი და შრომის ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ საშინაო საქმეებსა და ზრუნვის შრომაში ქალების მიერ გატარებული დროის ოდენობა შეიძლება ამცირებდეს მათ რეალურ შესაძლებლობებსა და შანსებს შრომის ბაზარზე.[1] ეს ნახევარ განაკვეთზე მუშაობის შეთავაზებაზე დათანხმებას შეიძლება ნიშნავდეს, რაც ნაკლებ სამუშაო საათებსა და/ან მოქნილ სამუშაო გრაფიკს სთავაზობს მათ. ასეთია შინ ან არაფორმალურ სექტორში დასაქმება, თუმცა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დაბალ ანაზღაურებასა და მცირეოდენ, ან საერთოდაც არანაირ სარგებელთან. ასეთი სამუშაო შრომის ბაზარზე მონაწილეობაზე უარის თქმას ან მის დატოვებასაც კი შეიძლება ნიშნავდეს. ფოლბრეს (Folbre 2018) განცხადებით:

„ის, რომ სხვებზე ზრუნვა ქალების სპეციალიზაციას წარმოადგენს, შეიძლება დაგვეხმაროს იმის ახსნაში, თუ რატომ არიან ისინი ეკონომიკურად მოწყვლადები ოჯახში, შრომის ბაზარზე უფრო ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე კაცები და უჭირთ საჯარო პოლიტიკაზე ზემოქმედება. ადამიანური კაპიტალის მახასიათებლების, გამოცდილებისა და ნამუშევარი საათების ჩათვლით, თანაბრობის პირობებში, დედები მნიშვნელოვნად ნაკლებს გამოიმუშავებენ, ვიდრე სხვა ქალები (Blau and Kahn 2016);[2] თუმცა ბევრი ამ გაკონტროლებულ ფაქტორთაგანი თავად წარმოადგენს ზრუნვაზე დაკისრებული არაპროპორციულად უთანაბრო პასუხისმგებლობისა და კულტურაში ზრუნვის შრომის გაუფასურების არაპირდაპირ გამოვლინებას“ (გვ. 6).

დროის განაწილების თეორია გვიჩვენებს, რომ ინდივიდი ყოველ მოცემულ დღეს კომპრომისზე მიდის დროის გამოყენების თვალსაზრისით. თუ ის ზრუნვაზე უფრო მეტ დროს ხარჯავს, სხვა აქტივობებს, მაგალითად, შრომის ბაზრის შრომას, სოციალიზაციასა და დასვენებას ნაკლები დრო უნდა დაუთმოს.[3] მიუხედავად ამისა, ის, თუ რამდენად დიდ გავლენას მოახდენს აუნაზღაურებელი შრომა[4] შრომის ბაზარზე ინდივიდის ჩართულობაზე, სხვა ისეთ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორიც არის შინამეურნეობის ზრუნვის საჭიროებები, კერძოდ, ზრუნვა/მოვლის სერვისებზე მოთხოვნა და ზრუნვასა და დახმარებაზე წვდომა. ეს უკანასკნელი გულისხმობს (ა) ზრუნვაში შინ მიღებულ დახმარებას, როგორიც არის შინამეურნეობის ქალი წევრები და ოჯახში მცხოვრები ანაზღაურებადი დამხმარე და/ა (ბ) ზრუნვაში გარე დახმარებას, როგორიც არის შინამეურნეობის გარეთ მცხოვრები ნათესავების, მეზობლებისა და მეგობრების მიერ გაწეული დახმარება და, ასევე, ბაგა-ბაღები, დღის ზრუნვის ცენტრები, თავშესაფრები და სხვა ინსტიტუციური დაწესებულებები. აუნაზღაურებელი შრომის მოცულობა სხვა ისეთ მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, როგორებიცაა სქესი, ცხოვრების ციკლის ეტაპი, ოჯახური მდგომარეობა, მიღებული განათლების დონე, საცხოვრებელი ადგილი, ეთნიკური კუთვნილება და ინდივიდის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

სამუშაო და არასამუშაო აქტივობებს შორის კომპრომისის შესახებ მოპოვებული ემპირიული მონაცემები არაერთგვაროვანია. ზოგი კვლევა ამტკიცებს, რომ ბოლო ათწლეულებში ქალების მასიურ ჩართვას სამუშაო ძალაში, არ მოჰყოლია ქალებსა და კაცებს შორის საშინაო საქმეებსა და ზრუნვაზე პასუხისმგებლობების მეტად თანაბარი განაწილება.[5]

ყოველივე აქედან გამომდინარე, ქალების მონაწილეობა ანაზღაურებად შრომაში მომატებულ, გაორმაგებულ საზრუნავთან, ნაკლებ დასვენებასთან და კარგად ყოფნის განცდის გაუარესებასთან ასოცირდება. ასე მაგალითად, იყენებენ რა ჩინეთის ქალაქებსა და სოფლებში განლაგებული საწარმოების მუშაკთა მონაცემებს, მაკფაილი და დონგი (MacPhail & Dong, 2007) აჩვენებენ, რომ ყველა სხვა თანაბარ პირობაში, ანაზღაურებად შრომაში გატარებული საათების რაოდენობის მატება კაცებთან საშინაო საქმეზე დახარჯული დროის შემცირებასთან ასოცირდება, თუმცა ქალებთან ასეთი კავშირი არ ფიქსირდება.

სხვა კვლევების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში პრაქტიკულად უცვლელად ნარჩუნდება ანაზღაურებად და აუნაზღაურებელ შრომას შორის მნიშვნელოვანი გენდერული სხვაობა, იკლო ჯამურად ნამუშევარი საათების მიხედვით გენდერულმა სხვაობამ და იმატა შემოსავალმა ერთ სულ მოსახლეზე, ხოლო ზოგიერთ მაღალშემოსავლიან ქვეყანაში ქალებსა და კაცებს შორის ჯამური შრომითი დატვირთვის თანაბრად გადანაწილებასაც მიაღწიეს.[6]

კვლევებში, რომლებშიც ემპირიულად შეისწავლიან აუნაზღაურებელი შრომის გავლენას შრომის მიწოდებაზე, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ დასკვნების გაკეთებამდე, პოტენციური ენდოგენურობა უნდა დაიძლიოს. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ინდივიდები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რა დრო დაუთმონ ზრუნვის შრომას და, ამასთანავე, იმ დროის ოდენობასაც საზღვრავენ, რომელიც სხვა ისეთ აქტივობებზე შეუძლიათ დახარჯონ, როგორიცაა, ვთქვათ, შრომის ბაზრისთვის ჩვეული აქტივობები.[7] მაგალითად, სრულ განაკვეთზე დასაქმებულ პიროვნებას ნაკლები დრო ექნება ზრუნვის შრომისთვის, ვიდრე ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულს, ან იმას, ვინც საერთოდ არ არის სამუშაო ძალის შემადგენლობაში. კროს-სექციური მონაცემების შემთხვევაში, ზრუნვის შრომას ზოგიერთი ისეთი ინდივიდუალური და არადაკვირვებადი მახასიათებელი შეიძლება უკავშირდებოდეს, როგორიცაა ინტენსიური ემპათიურობა და, ასევე, ისიც, თუ რამდენად ეთანხმებიან ქალები და კაცები პატრიარქალურ, ტრადიციულ გენდერულ როლებს. მიკერძოების მიმართულების წინასწარმეტყველება იმთავითვე შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ვერც მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მიმართულების შესახებ დავასკვნით რაიმეს.

სამუშაო ძალაში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების ენდოგენურობის საკითხის მოგვარების მიზნით, ფასდება ზრუნვის უზრუნველყოფის ალბათობა და საიდენტიფიკაციოდ ინსტრუმენტული ცვლადები (IV) გამოიყენება.[8] მაგალითად, ლინდგრენი და ლანბორგი (Lindgren and Lundborg 2008) აანალიზებენ შრომის ბაზრის გავლენას მოხუცებულ მშობელზე/მშობლებზე არაფორმალური ზრუნვის უზრუნველყოფაზე. ამისათვის კროს-ნაციონალურ მონაცემთა ბაზას იყენებენ, რომელიც „ევროპაში ჯანმრთელობის, დაბერებისა და პენსიაზე გასვლის გამოკითხვის" სახელით არის ცნობილი და 50 წელს გადაცილებული დაახლოებით 22 000 ევროპელისა და მათი მეუღლეების მონაცემებს მოიცავს. არაფორმალური ზრუნვის ეფექტის გამოსავლენად, კვლევაში ინსტრუმენტულ ცვლადებად გამოყენებულია რესპონდენტის მშობლების ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა მათი ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა, რესპონდენტის დედმამიშვილების რაოდენობა.[9] კვლევა აჩვენებს, რომ არაფორმალური ზრუნვა ამცირებს ქალებისა და კაცების დასაქმების ალბათობას. ამასთან, მიუთითებს, რომ არაფორმალური შრომა ამცირებს ნამუშევარი საათების რაოდენობას, თუ ქალებისა და კაცების მონაცემები ერთობლივად გაანალიზდება.[10]

კიდევ ერთი გამოსავალი პანელური მონაცემების გამოყენებაა, რომელიც ასევე, ამცირებს მიკერძოებულობას იმით, რომ დროის სხვადასხვა მომენტში ერთსა და იმავე ინდივიდებს აკვირდებიან და ასე არბილებენ შეუმჩნეველი (არათვალსაჩინო) მახასიათებლების გავლენას ზრუნვის არჩევანსა და დასაქმებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე. მაგალითად, მოირსსა და გიდინგსს (Meurs and Giddings 2021) დასაქმების სტატუსზე ზრუნვის მოთხოვნის ცვლილების გავლენა აინტერესებდათ. ამისათვის მათ ბულგარეთში ჩატარებული „თაობებისა და გენდერის განმეორებითი კვლევის" (Generations and Gender Survey) მონაცემები გამოიყენეს. ინდივიდის დროში უცვლელი შეუმჩნეველი მახასიათებლების ზეგავლენის იდენტიფიცირებისთვის ფიქსირებული ეფექტების მოდელს მიმართეს და ასე იკვლიეს მათი გავლენა ანაზღაურებად შრომაში მონაწილეობაზე. კვლევამ აჩვენა, რომ „ქალების, მაგრამ არა - კაცების, შემთხვევაში ასაკოვან ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ერთად ცხოვრება უარყოფითად ზემოქმედებს ანაზღაურებად შრომაში მონაწილეობაზე."[11] კორტესი და პანი (Cortés and Pan 2020) თავიანთ კვლევაში იყენებენ „1976-2017 წლებში შემოსავლის დინამიკის პანელური კვლევის" მონაცემებს, რომელზე

დაყრდნობითაც ნაჩვენებია, რომ შრომის ბაზარში მონაწილეობაზე ჯერ კიდევ არსებული გენდერული განსხვავებების რამდენიმე შესაძლო ახსნა იმ ფაქტს უკავშირდება, რომ ბავშვების ყოლა ქალების კარიერული ტრაექტორიისთვის უფრო მნიშვნელოვნად დიდ შემაფერხებელს წარმოადგენს, ვიდრე კაცებისთვის.[12]

დღეისათვის უკვე არსებობს მთელი რიგი კვლევებისა, რომლებიც დროის გამოყენების შესახებ მონაცემების მეშვეობით შეისწავლიან, ამცირებს თუ არა აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა ქალების შრომის ბაზარზე მონაწილეობას.[13] ამ კვლევებში ქალებისა და კაცების მიერ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებს შორის კომპრომისის შესაფასებლად SUR მეთოდი გამოიყენება და აქტივობებს შორის დროის გადანაწილებაზე პოტენციურად მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის როლის შესწავლის მიზანს ემსახურება. მაგალითად, სოლბერგისა და უონგის (Solberg and Wong 1992) კვლევა, რომელიც 1977-1978 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ოჯახების მიერ დროის გამოყენების კვლევის მონაცემებს ეყრდნობა, აჩვენებს, რომ როდესაც ოჯახში მცირეწლოვანი ბავშვები ცხოვრობენ, ქალების ჩართულობა შრომის ბაზარზე იკლებს და საშინაო საქმე იმატებს, თუმცა ეს ასე არ ხდება კაცების შემთხვევაში.

დონგისა და ენის (Dong and An 2012) კვლევის მიხედვით, მცირეწლოვანი შვილების ყოლა ამცირებს ანაზღაურებად შრომაში გატარებულ დროს და ზრდის აუნაზღაურებელი შრომის დროს, როგორც ქალების, ისე კაცების შემთხვევაში, მაგრამ ქალების არაშრომითი საქმიანობის დრო უფრო მეტად მცირდება, ვიდრე კაცების. რაც შეეხება ქორწინებას, კვლევა აჩვენებს, რომ ქორწინებაში მყოფი ქალების ანაზღაურებადი შრომის დრო მცირდება, ხოლო კაცების – იზრდება; თუმცა ქორწინება ზრდის როგორც ქალების, ისე კაცების აუნაზღაურებელი შრომისთვის დახარჯულ დროს, მაგრამ ეს მატება მნიშვნელოვნად მეტია ქალებთან, კაცებთან შედარებით. SUR მიდგომა გამოსადეგია კროს-სექციური მონაცემების პირობებში და მაშინ, თუ არ არსებობს ენდოგენურობის პრობლემის მოსაგვარებლად მოწოდებული ვალიდური ინსტრუმენტული ცვლადები.

გარდა ამისა, ბევრი კვლევა მიუთითებს, რომ ზრუნვის აქტივობების მნიშვნელოვანი წილი ერთმანეთის პარალელურად, ურთიერთგადამფარავად ან ერთდროულად ხორციელდება.[14] თუ ასეთი აქტივობები გამოტოვებულია და არ არის გათვალისწინებული კვლევაში, ზრუნვაზე დახარჯული დროის გაზომვა სერიოზულად მიკერძოებულია; მაგალითად, შეიმჩნევა ბავშვებზე ზრუნვის დროის არასაკმარისად შეფასების ტენდენცია. სხვა სიტყვებით, რეალურად დახარჯული დრო აღემატება გაზომვის შედეგად მიღებულ მაჩვენებელს. მაგალითად, ფლორომ და პიჩეტპონგსამ (Floro and Pichetpongsa 2010) აჩვენეს, რომ ორი ამ მეტი საქმის ერთდროულად კეთება მნიშვნელოვანი დაძლევის მექანიზმია იმ ქალებისთვის, რომლებსაც დროის ზეწოლასთან გამკლავება უწევთ. ინდივიდის კარგად ყოფნის განცდაზე პარალელური ზრუნვის შრომაში გატარებული დროის ხანგრძლივობაც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს. რაც მეტ ხანს ასრულებს ქალი ზრუნვის შრომის აქტივობებს ძირითადი საქმიანობის პარალელურად, მით უფრო მეტია მისი სტრესის დონე.

ანალოგიურად, ზედამხედველობითი ზრუნვა ზრუნვის მნიშვნელოვანი, მაგრამ ხშირად უგულებელყოფილი ფორმაა. თუ ზრუნვის ზოგიერთი აქტივობა აქტიურია იმ თვალსაზრისით, რომ მზრუნველისგან მუდმივ ყურადღებასა და ბავშვების ქცევისთვის თვალყურის დევნებას მოითხოვს, ფუნქციური სირთულეების მქონე პირის შემთხვევაში კი, ისეთი ბაზისური ამოცანების შესრულებას მოიაზრებს, როგორიცაა გამოკვება, შემოსვა ან ბანაობა, ზედამხედველობითი ზრუნვის მნიშვნელოვანი წილი პასიური ანუ ე. წ. „დაძახებისთანავე“ ხელმისაწვდომობის ფორმას იღებს.[15] ამგვარი გადანაწილება მნიშვნელოვან დროით მოთხოვნებს უყენებს ადამიანს და, შესაბამისად, მეორე ადამიანზე ზრუნვაში გატარებული დრო აღემატება ძირითად აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის აქტივობებში გატარებულ დროს. ასე რომ, ზედამხედველობითი ზრუნვა პასუხისმგებლობაა, რომელიც ზღუდავს სხვა საქმეებისთვის გამოყოფილ დროს.[16] აქედან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიშში გაანალიზებულია არა მარტო ქალებისა და კაცების მიერ ძირითადი

საქმიანობებისთვის გამოყოფილი დროის განაწილების დეტერმინანტები, არამედ პარალელური და ზედამხედველობითი აქტივობების ხანგრძლივობის განმსაზღვრელი ფაქტორებიც.

დროითი სიღარიბე სერიოზული შეზღუდვაა ინდივიდის კარგად ყოფნის განცდისთვის, ვინაიდან ხელს უშლის მას სათანადოდ დასვენებაში, უქმად ყოფნით სიამოვნების მიღებასა და/ან სათემო ან სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობაში. დროითი სიღარიბის ცნება კლერ უიკერიმ (Claire Vickery 1977) შემოგვთავაზა, რომელიც ამტკიცებდა, რომ სიღარიბის ოფიციალური საზომები სწორად არ ასახავს შინამეურნეობის საჭიროებებს, რადგან არ ითვალისწინებს ამ საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო შრომაზე დახარჯული დროის მნიშვნელოვნებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიღარიბე დროის უქონლობის თვალსაზრისითაც შეიძლება შეფასდეს. უიკერიმ (Vickery 1977) შეიმუშავა იმ შინამეურნეობების გამოვლენის მეთოდი, რომელთა ფულადი შემოსავალი და მათ ხელთ არსებული დრო, ერთად აღებული, არასაკმარისია სიღარიბის ზღვარს ზემოთ ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად. ბოლო წლებში დროითი სიღარიბის სხვადასხვა საზომი შეიქმნა რამდენიმე კვლევის ფარგლებში, ისეთი ინდივიდების გამოსავლენად, რომლებიც საკუთარი არჩევანით/სურვილით კი არ მუშაობენ ბევრი საათის განმავლობაში, არამედ – აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც მათ „დროით სიღარიბეში“ მყოფთა კატეგორიაში ათავსებს.[17] მაგალითად, ბარდასი და უოდონი (Bardasi and Wodon 2006) დროით სიღარიბეს განმარტავენ, როგორც დასვენებისა და გართობისთვის საკმარისი დროის უქონლობას. ეს განმარტება, ერთი მხრივ, პროდუქტიული და ანაზღაურებადი აქტივობებისთვის და, მეორე მხრივ, აუნაზღაურებელ საშინაო საქმიანობებსა და მასთან დაკავშირებულ სხვა აქტივობებზე, მაგალითად, წყლისა და შეშის მომარაგებაზე, დახარჯული დროის შეფასებას ეყრდნობა.[18] თორმეტსაათიანი დროითი სიღარიბის ზღვრის მიხედვით, გამეჯი (Gammage 2010) გამოთქვამს მოსაზრებას, რომ 2000 წელს გვატემალაში ქალების საშუალოდ 33 და კაცების 14 პროცენტი დროით სიღარიბეში ცხოვრობდნენ. აბდურაჰმანის მიერ განხორციელებული ქვეყნების შედარებაც აჩვენებს, რომ ქალებს დროით სიღარიბეში აღმოჩენის უფრო მეტი შანსი აქვთ, ვიდრე კაცებს და ეს განსაკუთრებით მართებულია სოფლად, გაბატონებული პატრიარქალური ნორმებიდან გამომდინარე.[19] ასევე, შრივასტავასა და ფლოროს (Srivastava and Floro 2017) კვლევის შედეგების თანახმად, ქალებში უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ უმუშევრები (ან არასაკმარისად დასაქმებულნი) და დროში შეზღუდულები იყვნენ, ვიდრე კაცებში. ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ დროითი სიღარიბის მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორებს საჯარო ინფრასტრუქტურასა და ისეთ ბაზისურ საჭიროებებზე წვდომის შეზღუდვა წარმოადგენს, როგორებიც არის უსაფრთხო წყალი, ჯანდაცვის ცენტრები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

კვლევებზე დაყრდნობით, მოსალოდნელია, რომ დროითი სიღარიბეში მყოფი ადამიანები სიტუაციასთან გამკლავებას რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებით ან სხვა (ძირითად) საქმიანობასთან ერთად, მეორეული შრომის აქტივობების განხორციელებით, მაგალითად, საჭმლის კეთებასთან ერთად ბავშვებისთვის თვალ-ყურის დევნებით ანდა შრომის ბაზრის შრომასთან ერთად ბავშვის მოვლით, ეცდებიან.[20] იმ ფაქტმა, რომ ქალებს რამდენიმე როლის შესრულება უწევთ - ოჯახში შემომტანებიც არიან და საშინაო შრომისა და ზრუნვის შრომის დიდი ნაწილიც მათ მხრებზე გადადის, „შრომის ინტენსივობის“ საზომის შემუშავების საჭიროება მოიტანა.[21] სიღარიბის, როგორც შესაძლებლობების დეპრივაციის მდგომარეობის, კონცეფციის შესაბამისად, შრომის ინტენსივობა იზომება, როგორც დრო, რომელიც დროის მოცემულ მონაკვეთში ერთდროულად ან ხშირი მონაცვლეობის რეჟიმით ორი ან მეტი საქმის შესრულებაზე იხარჯება. რაც უფრო მეტ დროს უთმობს ადამიანი ორი ან მეტი საქმის ერთდროულად კეთებას, მით მეტი სტრესი სდევს თან მუშაობის პროცესს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოცემული აქტივობები უწყვეტ კონცენტრაციას ან ენერგიას მოითხოვს. მართალია, დროითი სიღარიბის დონე ძირითადი აქტივობების შესახებ ინფორმაციის გამოყენებით შეიძ-

ლება განისაზღვროს, მეორეული აქტივობების ერთობლიობაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, ვინაიდან უფრო მოსალოდნელია, რომ ქალები ურთიერთგადამფარავი საქმეებით იქნებიან დაკავებულნი. ასე მაგალითად, არორას (Arora 2015) მიერ მოზამბიკში ჩატარებული დროის გამოყენების კვლევა აჩვენებს, რომ ქალების ყოველდღიური სამუშაო საათები 11.70-დან საშუალოდ 12.42 საათამდე მატულობს, თუ გამოთვლებში პარალელურ საქმიანობებსაც გავითვალისწინებთ მაშინ, როცა კაცებისთვის მუშაობის ჯამური დრო, ფაქტობრივად, უცვლელი რჩება (6.42 საათის ნაცვლად 6.46 საათი).

შინამეურნეობაში შრომის განაწილებაში ნელა მიმდინარე ცვლილებების ფონზე სამუშაო ძალაში ქალების მონაწილეობის მატებამ, ისინი (ქალები) სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა. მათ, ერთი მხრივ, ბაზრის შრომასა და საშინაო შრომას შორის უწევთ ჯანსაღი ბალანსის მიღწევა და, მეორე მხრივ, შრომასა და ცხოვრების სხვა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს შორის, როგორიცაა სოციალიზაცია და დასვენება.[22] შრომასა და პირად ცხოვრებას შორის ჯანსაღი ბალანსის დამყარების საჭიროებამ ყურადღების ფოკუსში შემოიტანა და წინ წამოწია როგორც საზოგადოებასა და შინამეურნეობებში არსებული მდგრადი გენდერული უთანასწორობების საკითხი, ისე – დასაქმებისა და ზრუნვის პოლიტიკის ისეთი საკითხები, როგორებიცაა ანაზღაურებადი ოჯახური შვებულება, შრომის მოქნილობა და საზოგადოებრივი ინვესტიცია ბავშვზე ზრუნვისა და გრძელვადიანი ზრუნვის სერვისებში. ტაილანდში, ბანგკოკის არაფორმალური დასახლებების ტერიტორიებზე შინამეურნეობებში დასაქმებულ მუშაკთა დროის გამოყენების კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, პიჩეტპონგსა (Pichetpongsa 2004) აჩვენებს, თუ როგორ არის შესაძლებელი დროის გამოყენების პატერნების ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვან ინდიკატორებად გამოყენება. მკვლევარმა სამუშაო დღის (ანუ აუნაზღაურებელ და ანაზღაურებად შრომაში ჯამურად დახარჯული დროის) ხანგრძლივობისა და ურთიერთგადამფარავი შრომითი აქტივობების განხორციელებაზე დახარჯული დროის შესახებ ინფორმაცია შრომის ინტენსივობის ინდექსის გამოსათვლელად გამოიყენა და ამით აჩვენა, რომ შრომის ინტენსივობის ინდექსი სტატისტიკურად პროგნოზირებს რესპონდენტების სუბიექტური კარგად ყოფნის განცდას, რომელიც იზომება პასუხით კითხვაზე: „ამჟამად რამდენად კმაყოფილი ხართ მთლიანობაში თქვენი ცხოვრებით?" აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების სუბიექტური კარგად ყოფნის განცდისთვის თავისთავად ფულადი შემოსავალი კი არ იყო მნიშვნელოვანი, არამედ ის, თუ საათში რამდენს გამოიმუშავებდნენ. კვლევის მონაწილეებისთვის შემოსავალს ბედნიერება ან ცხოვრებით კმაყოფილება მხოლოდ მაშინ მოჰქონდა, თუ მათ ამ შემოსავლისთვის ყოველდღიურად ძალიან დიდხანს მუშაობა არ უწევდათ. შრომის ინტენსივობის გაზომვა იმასაც კარგად ხსნის, თუ რატომ არის ქალების სუბიექტური კარგად ყოფნის განცდა კაცებისაზე ნაკლები. ტაილანდში დროის გამოყენების 2009 წლის კვლევისა და ტაილანდის სამუშაო ძალის 2009 წლის ეროვნული კვლევის მონაცემებს კიდევ ერთი კვლევა იყენებს, რომლის მიხედვითაც ქალებს, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ ქალებს, უფრო მეტად უჭირთ შრომის ბაზრის შრომისა და აუნაზღაურებელი საშინაო შრომის ვალდებულებების დაბალანსება, ვიდრე კაცებს.[23]

# საქართველოში 2020-2021 წლებში ჩატარებული დროის გამოყენების კვლევა

# 3

წინამდებარე ანგარიშში გამოყენებული მონაცემები 2020-2021 წლების GTUS-ის მონაცემთა ბაზიდან არის აღებული. გამოკითხვა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ჩაატარა, რომელშიც თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონში მცხოვრები 3 680 კერძო შინამეურნეობა მონაწილეობდა.[1] შინამეურნეობები სამეტაპიანი სტრატიფიცირებული კლასტერული შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩნენ. პირველ ეტაპზე თითოეული რეგიონიდან

პირველადი შერჩევის ერთეულები (PSU) განისაზღვრა, რომლებიც აღწერის ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენენ. მეორე ეტაპზე, სისტემატური შერჩევის მეთოდის გამოყენებით, უკვე იდენტიფიცირებული პირველადი შერჩევის თითოეული ერთეულიდან შეირჩა 10-10 შინამეურნეობა.[2] და ბოლოს, მესამე ეტაპზე შერჩევაში ჩართულ იქნა უკვე შერჩეულ შინამეურნეობებში მცხოვრები ყველა 15 წლისა და უფროსი ასაკის ინდივიდი.

დროის გამოყენების კვლევა, დროის გამოყენების დღიურის გარდა, შინამეურნეობისა და ინდივიდებისთვის განკუთვნილ კითხვარებსაც მოიცავს. შინამეურნეობის კითხვარით, რომელსაც შინამეურნეობის ინფორმირებული მოზრდილი წევრი ავსებდა, გროვდება დემოგრაფიული ინფორმაცია შინამეურნეობის ყველა წევრის შესახებ, რომელიმე წევრის ფუნქციური სირთულეების თაობაზე ინფორმაციის ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გარდა ამისა, კითხვარი ითხოვს ინფორმაციას ბავშვზე ზრუნვის ორგანიზების გზების, შინამეურნეობის შემადგენლობის, შემოსავლის, საცხოვრებელი პირობებისა და შინამეურნეობისთვის გაწეული დახმარების შესახებ. ინდივიდისთვის განკუთვნილი კითხვარით გროვდება როგორც დემოგრაფიული, დასაქმების, განათლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობები, ისე ინფორმაცია შინამეურნეობის 15 წლისა და უფროსი ასაკის ყველა წევრის მიერ დროის გამოყენების გამოცდილების შესახებ. დროის გამოყენების კითხვარი, რომელიც თვითადმინისტრირებადი, ხელით შესავსები ინსტრუმენტია,[3] იმ აქტივობების შესახებ აგროვებს ინფორმაციას, რომლებსაც რესპონდენტები ახორციელებენ და თითოეულ დასახელებულ აქტივობაზე დახარჯული დროის ოდენობითაც ინტერესდება. დროის გამოყენების კვლევის თითოეულ რესპონდენტს იმ აქტივობების შესახებ ეკითხებოდნენ, რომლითაც ისინი დაკავებულნი იყვნენ 24 საათის განმავლობაში სამუშაო და უქმე დღეებში. შერჩეულ შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტების მიერ განხორციელებული ეს აქტივობები 10-10 წუთიან მონაკვეთებად დაყოფილ 24-საათიან დღიურში რეგისტრირდებოდა.

დროის გამოყენების დღიური ღია კითხვებისგან შედგება, რომლებიც ინდივიდის მიერ შერჩეულ დღეს განხორციელებულ აქტივობებს შეეხება. თუ იმავე დღეს ვერ ახერხებდნენ შერჩეული რესპონდენტები დღიურის შევსებას, მათ სთხოვდნენ, რომ ეს მომდევნო დღეს ან რამდენიმე დღის შემდეგ გაეკეთებინათ. დღიურში პარალელური აქტივობების შესახებაც გროვდებოდა ინფორმაცია. ამისათვის რესპონდენტი პასუხობდა კითხვას: „კიდევ რას აკეთებდით?“ ასევე, ფიქსირდებოდა კონტექსტი, რომელშიც ეს აქტივობა ხორციელდებოდა, შესაბამისად, რესპონდენტი პასუხობდა კითხვას: „ამ დროს მარტო იმყოფებოდით თუ რომელიმე ნაცნობთან ერთად?“ ამგვარად, რესპონდენტს დროის ერთ ერთეულში, სულ მცირე, ორი აქტივობის დაფიქსირება შეეძლო. კონტექსტუალური ინფორმაცია ზრუნვის მნიშვნელოვანი ფორმის - ზედამხედველობითი ზრუნვის - შეფასების საშუალებას იძლევა, რომელიც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება დროის გამოყენების სტანდარტულ გამოკითხვებში.

წინამდებარე ანგარიშში მონაცემთა ანალიზი შინამეურნეობათა შერჩევის იმ ქვეპოპულაციაზე ახდენს ფოკუსირებას, რომელშიც გამორიცხულია ერთი ადამიანისგან შემდგარი შინამეურნეობები; თუმცა, შერჩევაში 1 278 შინამეურნეობის ქვეპოპულაციიდან ის ცალკეული რესპონდენტები ჩავრთეთ, რომლებიც სამუშაო ასაკის (25-62 წლის) არიან, არ აქვთ ფუნქციური სირთულეები, არიან ან არ არიან დაოჯახებულნი და შინამეურნეობებში მათზე დამოკიდებულ პირებთან ერთად ცხოვრობენ. დამოკიდებული პირები არიან 15 წელზე უმცროსი ასაკის ბავშვები და ფუნქციური სირთულეების მქონე ინდივიდები, მათ შორის, დასუსტებული, მოხუცებული ადამიანები. ამასთან, ამავე ქვეპოპულაციიდან შერჩეულმა 2 610-მა ცალკეულმა რესპონდენტმა აწარმოვა

დღიური უქმეებზე და კვირის ჩვეულებრივ დღეებში (ანუ არასადღესასწაულო, ჩვეულებრივ სამუშაო დღეებში). ეს რესპონდენტების მიერ კვირის განმავლობაში დროის გადანაწილების შეფასების საშუალებას იძლევა, როდესაც ერთი კვირა ხუთ სამუშაო და ორ უქმე დღეს მოიცავს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ანგარიშში გამოყენებულ GTUS-ს მონაცემებს რამდენიმე ნაკლი აქვს. პირველი, დროის გამოყენების შესახებ მონაცემები კოვიდ 19-ის პანდემიის პერიოდში შეგროვდა. ამიტომ GTUS არ გვაძლევს მონაცემებს ან ინფორმაციას, რომელზე დაყრდნობითაც შევაფასებდით, შინამეურნეობის წევრები თავიანთ დროს მათთვის ჩვეული (პანდემიამდე არსებული) მეთოდით ანაწილებდნენ, თუ მათ შრომის ბაზრის შრომასა და აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომასთან დაკავშირებულ ქცევებზე გარკვეული ზეგავლენა მაინც მოახდინა კოვიდ 19-თან ასოცირებულმა შეზღუდვებმა, ისევე როგორც დასაქმებაზე, სასწავლო პროცესზე, ზრუნვის სერვისებსა და ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დროის ოდენობაზე პანდემიის შესაძლო ზეგავლენის გამო, ანალიზმა შეიძლება მოულოდნელი შედეგები მოგვცეს. მაგალითად, პანდემიამდე პერიოდთან შედარებით, შეიძლება მომატებული იყოს შინ ბავშვებზე ზრუნვაში გატარებული დრო, ხოლო ზრუნვის გარე სერვისებზე წვდომა ან გამოყენება - შემცირებული, რადგან, როგორც ვიცით, პანდემიის დროს სკოლები და დღის ზრუნვის ცენტრები დაკეტილი იყო. ასევე, შესაძლებელია, შეცვლილიყო რესპონდენტების სტატუსი სამუშაო ძალის შემადგენლობაში ყოფნის თვალსაზრისით, ან დისტანციურად ემუშავათ კოვიდ 19-თან დაკავშირებული რეგულაციების შესაბამისად, რაც მათ რამდენიმე საქმის ერთად კეთების საშუალებას აძლევდა.

მეორე, რეგრესული მეთოდების გამოყენებით ემპირიული ანალიზის განსახორციელებლად, ცხრა სხვადასხვა კატეგორიის აქტივობა ოთხ ფართო ჯგუფად გავაერთიანეთ. დროის გამოყენების სტატისტიკის აქტივობების 2016 წლის საერთაშორისო კლასიფიკაციისა (ICATUS) და დროის გამოყენების ევროპული ჰარმონიზებული გამოკითხვის (HETUS) მეთოდის მიხედვით, ჯერ პროდუქტიული (შრომა) და არაპროდუქტიული (პერსონალური) აქტივობა განვასხვავეთ ერთმანეთისგან. კონცეპტუალურად რომ ვთქვათ, პროდუქტიული აქტივობა, რომელიც ერთმა ინდივიდმა მეორის მიერ გადახდილი ანაზღაურების სანაცვლოდ შეიძლება განახორციელოს.[4]

შემდეგ, პროდუქტიული აქტივობები ორად გავყავით: აქტივობები, რომლებიც გათვალისწინებულია და რომლებიც არ არის გათვალისწინებული, ეროვნული ანგარიშების სისტემაზე დაყრდნობით, მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლებში. ეროვნული ანგარიშების სისტემა გამოთვლებში დოვლათის ყველანაირ წარმოებას ითვალისწინებს, განურჩევლად იმისა, ეს დოვლათი იყიდება ბაზარზე თუ არა, თუმცა, მხოლოდ იმ სერვისებს მოიცავს, რომლებიც შემოსავლის გენერირების მიზანს ემსახურება. ამრიგად, I და II კატეგორიაში გაერთიანებული აქტივობები (დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები; დოვლათის წარმოება გამოყენების მიზნით), რომლებიც გათვალისწინებულია მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლებში, კლასიფიცირებულია, როგორც შრომის ბაზრის შრომა; III და IV კატეგორიებში გაერთიანებული აქტივობები (აუნაზღაურებელი საშინაო სერვისები, აუნაზღაურებელი ზრუნვის სერვისები შინამეურნეობისა და ოჯახის წევრებისთვის, აუნაზღაურებელი მოხალისეობრივი შრომა, სტაჟირება და სხვა აუნაზღაურებელი შრომა), რომლებიც გამორიცხულია ეროვნული ანგარიშების სისტემიდან, განისაზღვრება, როგორც ჯამური აუნაზღაურებელი შრომა. VI, VII და VIII კატეგორიის აქტივობები (სწავლა, სოციალიზაცია, სათემო აქტივობებში მონაწილეობა და ა.შ.; კულტურა, დასვენება, მასმედია, სპორტი) თავისუფალი დროის აქტივობებად ითვლება, ხოლო IX კატეგორია (თვითზრუნვა და თავის მოვლა) მეოთხე ჯგუფის ფუნქციას ასრულებს.

შერჩევისა და მონაცემთა შეგროვების პროცესის ზოგიერთი ასპექტის კომპენსირებისთვის, ემპირიულ ანალიზში, კერძოდ, რეგრესიის კოეფიციენტების გამოთვლისას, შერჩევის წონები გამოვიყენეთ. საქართველოში დროის გამოყენების კვლევა (GTUS) სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევის მეთოდს ეფუძნება, რომელშიც ზოგიერთი დემოგრაფიული ჯგუფი, კოვიდ 19-ის პანდე-

მიის კონტექსტში კვლევაში მონაწილეობაზე დიდი რაოდენობით უარის თქმის გამო, შეიძლება არასაკმარისად იყოს შერჩევაში წარმოდგენილი. შესაბამისად, შეწონვა უზრუნველყოფს, რომ თითოეული ჯგუფი სწორად იყოს პოპულაციაში წარმოდგენილი.

## შერჩევის მახასიათებლები

ცხრილში N3.1 და N3.2 წარმოდგენილია შეუწონავი შერჩევის მონაცემებით, შინამეურნეობისა და ინდივიდუალური მახასიათებლები.[5] ცხრილი N3.1 გვიჩვენებს, რომ შერჩევაში შემავალი შინამეურნეობების ორ მესამედზე მეტის (69.6 პროცენტს) შემადგენლობაში შედის სახლის მეპატრონე და მისი მეუღლე ან მასთან ქორწინებაში არმყოფი პარტნიორი - ეს არის ე. წ. „წყვილის შინამეურნეობა" - და მათზე დამოკიდებული და/ან არადამოკიდებული პირები. წყვილთა შინამეურნეობის მხოლოდ დაახლოებით 18 პროცენტს ჰყავს დამოკიდებული პირები მაშინ, როცა 10.2 პროცენტი დამოკიდებული პირების გარეშე ცხოვრობს. ბევრ შერჩეულ შინამეურნეობას (53.8 პროცენტს) ჰყავს 0-14 წლის ბავშვი, ხოლო შინამეურნეობათა 35.8 პროცენტს - ფუნქციური სირთულეების მქონე პირი ან პირები (დასუსტებული, მოხუცებული პირებისა და ავადმყოფი ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ინდივიდების ჩათვლით). საშუალო შინამეურნეობის მოცულობა 4.2-ს შეადგენს, დამოკიდებულ პირთა წილი კი საშუალოდ 0.58-ია. შინამეურნეობათა თითქმის ორი მესამედი ქალაქის ტიპის დასახლებაში ცხოვრობს, აქედან 33.7 პროცენტი დედაქალაქის, თბილისის მაცხოვრებელია. დანარჩენი 34 პროცენტი სოფლად ცხოვრობს. 15 წლამდე ასაკის ბავშვებიანი შინამეურნეობების 12.8 პროცენტი რომელიმე სახის ბავშვთა დახმარებასა თუ შემწეობას იღებს და მათი უდიდესი ნაწილი (10.6 პროცენტი) საჯარო დაწესებულების მეთვალყურეობის ქვეშ არის.

**ცხრილი 3.1**

**შერჩეული შინამეურნეობების ზოგიერთი მახასიათებელი, შეუწონავი (n = 1,278)**

| მახასიათებლები | შინამეურნეობათა რაოდენობა | ჯამური პროცენტი |
|---|---|---|
| შინამეურნეობის ტიპი | | |
| მარტოხელა მშობლები, რომლებსაც მათზე დამოკიდებული პირები ჰყავთ შინამეურნეობაში | 15 | 1.17 |
| წყვილები, რომლებსაც შინამეურნეობაში არ ჰყავთ მათზე დამოკიდებული პირები | 130 | 10.17 |
| წყვილები, რომლებსაც შინამეურნეობაში მხოლოდ მათზე დამოკიდებული პირები ჰყავთ[a] | 227 | 17.76 |
| წყვილები, რომლებსაც შინამეურნეობაში არასრულწლოვანი დამოკიდებული პირებიც ჰყავთ და არადამოკიდებულიც[b] | 890 | 69.64 |
| სხვა შინამეურნეობები, რომლებშიც დამოკიდებული პირები ჰყავთ | 16 | 1.25 |
| შინამეურნეობის შემადგენლობა[c] | | |
| შინამეურნეობები, რომლებიც მხოლოდ შრომისუნარიანი მოზრდილები ცხოვრობენ | 328 | 25.67 |

| | | |
|---|---|---|
| შინამეურნეობები, რომლებშიც მხოლოდ 0-4 წლის ბავშვები ცხოვრობენ | 285 | 22.30 |
| შინამეურნეობები, რომლებშიც 0-14 წლის ბავშვები ცხოვრობენ | 688 | 53.83 |
| შინამეურნეობები, რომლებშიც შრომისუუნარო/სუსტი, მოხუცებული, ავადმყოფი ან შეზღუდული უნარების მქონე წევრები ცხოვრობენ | 458 | 35.84 |
| ყოველთვიური წმინდა შემოსავალი[d] | | |
| < 400 ლარი | 117 | 9.15 |
| 400–670 ლარი | 259 | 20.27 |
| 671–1,000 ლარი | 360 | 28.17 |
| 1,000–1,550 ლარი | 242 | 18.94 |
| > 1,550 ლარი | 232 | 18.15 |
| მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი | 68 | 5.32 |
| საცხოვრებელი ადგილი | | |
| თბილისი | 431 | 33.72 |
| სხვა ქალაქის ტიპის დასახლება | 412 | 32.24 |
| სოფელი | 435 | 34.04 |
| შინამეურნეობები, რომლებშიც 15 წლის და უმცროსი ასაკის ბავშვები ჰყავთ და ბავშვისთვის განკუთვნილ დახმარებას იღებენ | | |
| მეთვალყურეობის ქვეშ საჯარო დაწესებულებაში | 135 | 10.56 |
| მეთვალყურეობის ქვეშ კერძო დაწესებულებაში | 10 | 0.78 |
| მეთვალყურეობის ქვეშ კერძო პირის მიერ | 27 | 2.11 |
| სულ[e] | 164 | 12.83 |

***წყარო:*** საქართველოში დროის გამოყენების კვლევა, 2022.

[a] დამოკიდებულ პირად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყველა ბავშვი და შინამეურნეობის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე /მოხუცებული წევრი.

[b] ეს კატეგორია მოიცავს შინამეურნეობებს, რომლებიც შრომისუნარიანი ნათესავისგან (მაგალითად, დეიდა, ბიძა, ბებია, ბაბუა, და, ძმა და ა. შ.) და დამოკიდებული პირ(ებ)ისგან შედგება.

[c] ჯამი 1 278-ს აღემატება, ვინაიდან ზოგიერთი შინამეურნეობა შემადგენლობის მიხედვით ორ სხვადასხვა კატეგორიას განეკუთვნება.

[d] 2021 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, GEL 1 = USD 0.319.

[e] ჯამური მაჩვენებელი მოიცავს იმ შინამეურნეობებს, რომლებიც ბავშვზე ზრუნვის ერთზე მეტი ტიპის დახმარებას იყენებენ.

შერჩევის მახასიათებლების გენდერული გადანაწილება წარმოდგენილია ცხრილში N3.2. როგორც ცხრილიდან N3.2 ჩანს, ქალები შერჩევის 44 პროცენტს შეადგენენ, კაცები კი - 55.4 პროცენტს. კვლევის მონაწილეთა უდიდესი ნაწილი (81.6 პროცენტი) დაოჯახებულია. 25-დან 62 წლამდე მონაწილეებისგან შემდგარი შერჩევა თითქმის თანაბრად არის გადანაწილებული ოთხ ასაკობრივ ჯგუფში. შერჩევაში შემავალი ქალებისა და კაცების დაახლოებით მესამედს (36 პროცენტს) უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, ხოლო უმრავლესობას (60.7 პროცენტს) - საშუალო ან პროფესიული განათლება მაინც. ქალები უფრო განათლებულები არიან ვიდრე კაცები. შერჩევაში შემავალი რესპონდენტების უმრავლესობას, 89.1 პროცენტს ეთნიკური ქართველები შეადგენენ. მეორე და მესამე დიდი ეთნიკური ჯგუფი აზერბაიჯანელებისგან (5.10 პროცენტი) და სომხებისგან (3.2 პროცენტი) შედგება. შერჩევის დანარჩენ ნაწილს (2.6 პროცენტი) აფხაზები, ოსები, რუსები და სხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ქმნიან.

**ცხრილი 3.2**

**შერჩევაში შესული რესპონდენტების ზოგიერთი მახასიათებელი, შეუწონავი (n = 2,610)**

| | ყველა | | ქალები | | კაცები | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | ჯამური პროცენტი | რაოდენობა | ჯამური პროცენტი | რაოდენობა | ჯამური პროცენტი |
| **სქესი** | | | | | | |
| მდედრობითი სქესი | 1,163 | 44.56 | n/a | n/a | n/a | n/a |
| მამრობითი სქესი | 1,447 | 55.44 | n/a | n/a | n/a | n/a |
| **ოჯახური მდგომარეობა** | | | | | | |
| დაოჯახებული | 2,129 | 81.57 | 1,158 | 80.03 | 971 | 83.49 |
| დაუოჯახებელი | 481 | 18.43 | 289 | 19.97 | 192 | 16.51 |
| **ასაკი (საშუალო = 43.967)** | | | | | | |
| 25–34 წელი | 622 | 23.83 | 350 | 24.19 | 272 | 23.39 |
| 35–44 წელი | 727 | 27.85 | 403 | 27.85 | 324 | 27.86 |
| 45–54 წელი | 704 | 26.97 | 389 | 26.88 | 315 | 27.09 |
| 55–62 წელი | 557 | 21.34 | 305 | 21.08 | 252 | 21.67 |
| **განათლების დონე** | | | | | | |
| განათლების გარეშე ან დაწყებითი სკოლის განათლება | 1 | 0.04 | – | – | 1 | 0.09 |
| დაწყებითი ან საბაზო სკოლის (არასრული საშუალო) განათლება | 75 | 2.87 | 38 | 2.63 | 37 | 3.18 |
| საშუალო განათლება | 1,062 | 40.69 | 509 | 35.18 | 553 | 47.55 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროფესიული განათლება | 522 | 20.00 | 333 | 23.01 | 189 | 16.25 |
| უმაღლესი განათლება | 950 | 36.40 | 567 | 39.18 | 383 | 32.93 |
| **ეთნიკური კუთვნილება** | | | | | | |
| ქართველი | 2,326 | 89.12 | 1,293 | 89.36 | 1,033 | 88.82 |
| აფხაზი | 1 | 0.04 | – | – | 1 | 0.09 |
| სომეხი | 84 | 3.22 | 49 | 3.39 | 35 | 3.01 |
| აზერბაიჯანელი | 133 | 5.10 | 67 | 4.63 | 66 | 5.67 |
| ოსი | 26 | 1.00 | 15 | 1.04 | 11 | 0.95 |
| რუსი | 9 | 0.34 | 8 | 0.55 | 1 | 0.09 |
| სხვა | 31 | 1.19 | 15 | 1.04 | 16 | 1.38 |
| **ჯანმრთელობის მდგომარეობა** | | | | | | |
| ხანგრძლივი ავადმყოფობა | 256 | 9.81 | 153 | 10.57 | 103 | 8.86 |
| **სამუშაო ძალაში მონაწილეობა** | | | | | | |
| დასაქმებული სრულ განაკვეთზე | 980 | 37.55 | 480 | 33.17 | 500 | 42.99 |
| დასაქმებული ნახევარ განაკვეთზე | 512 | 19.62 | 206 | 14.24 | 306 | 26.31 |
| უმუშევარი | 334 | 12.80 | 168 | 11.61 | 166 | 14.27 |
| არ არის სამუშაო ძალის შემადგენლობაში | 784 | 30.04 | 593 | 40.98 | 191 | 16.42 |
| **დროის ზეწოლა** | | | | | | |
| ყოველთვის გრძნობს, რომ ეჩქარება | 944 | 36.17 | 585 | 40.43 | 359 | 30.87 |
| ზოგჯერ გრძნობს, რომ ეჩქარება | 1,180 | 45.21 | 634 | 43.81 | 546 | 46.95 |
| თითქმის არასდროს გრძნობს, რომ ეჩქარება | 486 | 18.62 | 228 | 15.76 | 258 | 22.18 |

შერჩევაში მონაწილე ქალების უმრავლესობა (41 პროცენტი) არ მიეკუთვნება სამუშაო ძალას მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი კაცებისთვის 16.42 პროცენტს შეადგენს. მამრობითი სქესის რესპონდენტების დიდი ნაწილი (43 პროცენტი) სრულ განაკვეთზე მუშაობს. თუმცა, კაცების უმუშევრობის მაჩვენებელი აღემატება ქალებისას (14.3 და 11.6 პროცენტი, შესაბამისად). დროის ზეწოლის თვალსაზრისით, ქალების უფრო დიდი წილი (40.4 პროცენტი) აღნიშნავს, რომ ყოველთვის აქვთ განცდა, რომ სადღაც ეჩქარებათ მაშინ, როცა ამ განცდას კაცების 30.9 პროცენტი აფიქსირებს. მეორე მხრივ, კაცების მეხუთედზე მეტის (22.2 პროცენტის) თქმით, თითქმის არასოდეს ეჩქარებათ. ანალოგიურ პოზიციას გამოხატავს ქალების მხოლოდ 15.8 პროცენტი.

# 4

# ქალებისა და კაცების მიერ ძირითადი, პარალელური და ზედამხედველობითი აქტივობებისთვის დროის გამოყენების პატერნები

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია კაცებისა და ქალების მიერ დროის გამოყენების პატერნები, რომელშიც მათ მიერ დღიურში შეტანილი ყველა აქტივობაა გათვალისწინებული. მათ აღრიცხული აქვთ არამარტო ძირითადი აქტივობები, არამედ ის საქმიანობებიც, რომლებსაც პარალელურად ახორციელებდნენ და, ასევე, რესპონდენტის მიერ განხორციელებული ზედამხედველობითი ზრუნვის შესატყვისი აქტივობები. პარალელური ეწოდება იმ საქმიანობებს, რომლებსაც ინდივიდი სხვა (ძირითად) საქმიანობასთან ერთდროულად ახორციელებს. მაგალითად, მამრობითი სქესის რესპონდენტი ტელევიზორს უყურებს (პარალელური აქტივობა) და თან ჭამს (ძირითადი აქტივობა), ან დედა თვალ-ყურს ადევნებს ბავშვებს (პარალელური აქტივობა) და თან საჭმელს აკეთებს (ძირითადი აქტივობა).

ზედამხედველობითი ზრუნვა ზრუნვის დამოუკიდებელი ფორმაა, რომელიც ხშირად უგულებელყოფილი ან გამოტოვებულია დროის გამოყენების კვლევის დიზაინში. ბავშვზე ზრუნვის შრომა ან ავადმყოფი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ანდა დასუსტებული მოხუცებული ადამიანის მოვლა აქტიური საქმიანობაა ანუ მზრუნველის/მომვლელის კონცენტრირებულ ყურადღებას ითხოვს დახმარების გაწევის პროცესში, თუმცა ამისგან განსხვავებით, ზრუნვის შრომის მნიშვნელოვანი წილი პასიურია და ე. წ. „დაძახებისთანავე" ხელმისაწვდომობას გულისხმობს. ამგვარ ზრუნვის შრომას ლიტერატურაში ზედამხედველობითი ზრუნვის სახელით მოიხსენიებენ.[1] სხვა სიტყვებით, ეს არის პასუხისმგებლობა, რომელიც ზღუდავს სხვა საქმეებისთვის გამოყოფილ დროს.[2]

2021 წლის GTUS-ის დროის გამოყენების დღიურში ჩართულია კითხვა - „ვისთან ერთად", რომელიც თითოეული დროის მონაკვეთზე დასახელებულ თითოეულ აქტივობას ეხება და ზედამხედველობითი ზრუნვის შეფასების საშუალებას იძლევა. ამ კითხვაზე მიღებული პასუხები შინამეურნეობის იმ წევრის გამოვლენის შესაძლებლობას ქმნის, რომელიც რესპონდენტის გვერდით იმყოფება მოცემული საქმიანობისას. თუ შინამეურნეობის სხვადასხვა წევრთან რესპონდენტის ურთიერთობისა და ამ წევრის ფიზიკური და ფსიქიკური ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციას გავაერთიანებთ, შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, რამდენად მოსალოდნელია, რომ შინამეურნეობის მოცემული წევრი ზედამხედველობით ზრუნვას საჭიროებდეს.

წინამდებარე ანგარიშში ზედამხედველობითი ზრუნვის დრო ორ ეტაპად შეფასდა. პირველ ეტაპზე განისაზღვრა, არის თუ არა დამოკიდებული პირი ახლო-მახლო, როდესაც რესპონდენტი ძირითად აქტივობას ახორციელებს. ამისათვის შევისწავლეთ კონტექსტუალური ინფორმაცია, რომელიც თან ახლავს თითოეული ძირითადი აქტივობის დროის მონაკვეთს. ასევე, ვნახეთ, იმყოფებოდა თუ არა ახლო-მახლო შრომისუნარიანი მოზრდილი, რომელსაც შეუძლია „დაძახებისთანავე" ხელმისაწვდომი იყოს, ან მეთვალყურეობდეს დამოკიდებულ პირს. მეორე ეტაპზე შევაფასეთ ზედამხედველობით ზრუნვაზე დახარჯული დრო. ამისათვის დავაჯამეთ რესპონდენტის მიერ ძირითად აქტივობებზე დახარჯული დრო იმ შემთხვევებში, როდესაც ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი პირობა მაინც სრულდებოდა:

1. კითხვაზე „ვისთან ერთად?" რესპონდენტის პასუხი იყო: „ბავშვები (10 წლამდე ასაკის)", ან შინამეურნეობის არც ერთი წევრი არ იმყოფება.
2. კითხვაზე „ვისთან ერთად?" რესპონდენტის პასუხი იყო: „პარტნიორი" ან „მშობელი", ან წევრი ფუნქციური სირთულეებით, ან შინამეურნეობის არც ერთი წევრი არ იმყოფება.
3. კითხვაზე „ვისთან ერთად?" რესპონდენტის პასუხი იყო: „შინამეურნეობის სხვა წევრი", მისი ფუნქციონირების მდგომარეობის დადგენა შესაძლებელია, შრომისუნარიანი პარტნიორი, მშობელი ან შინამეურნეობის სხვა წევრი არ იმყოფება.

ზემოთ აღწერილი პროცედურა მინიმუმამდე ამცირებს ან საერთოდ გამორიცხავს ზედამხედველობითი ზრუნვის გადაჭარბებულად შეფასებას, რაც ჩვეული პრაქტიკაა „ვისთან ერთად?" ცვლადის გამოყენებისას. მეთოდი გვიჩვენებს, რომ რესპონდენტი დამოკიდებულ პირთან ერთად იმყოფება ძირითადი

აქტივობის განხორციელებისას და, ამასთან, მასთან არ არის სხვა შრომისუნარიანი მოზრდილ(ებ)ი, რომელიც შეძლებდა ზედამხედველობის ან მომლოდინე რეჟიმში ყოფნის პასუხისმგებლობის გაზიარებას.[3]

ქალებისა და კაცების მიერ ძირითად, პარალელურ და ზედამხედველობითი ზრუნვის აქტივობებში ყოველკვირეულად გატარებული დრო და მონაწილეობის მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში N4.1. გენდერული განსხვავების სტატისტიკური მნიშვნელოვნების შესამოწმებლად t-კრიტერიუმი იქნა გამოყენებული. ძირითადი და მეორეული აქტივობებისთვის გამოყოფილი დროის აღრიცხვის შედეგები კონსისტენტურია და კარგად ეთანადება იმ პატერნს, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილსა (2021) და დროის გამოყენების სხვა კვლევებშია შემოთავაზებული. კაცები თავიანთი დროის უდიდეს ნაწილს შრომის ბაზრის შრომაში ატარებენ მაშინ, როცა ქალების დროის უდიდესი ნაწილი საშინაო შრომაში, ზრუნვასა და შინამეურნეობისთვის საყიდლებზე სიარულში იხარჯება. ცხრილი N4.1 გვიჩვენებს, რომ ქალები გაცილებით მცირე დროს უთმობენ შრომის ბაზრის შრომის აქტივობებს, როგორც ძირითად საქმიანობას, ვიდრე კაცები, როგორც მონაწილეობის მაჩვენებლის (62.1 და 84.2 პროცენტი, შესაბამისად), ისე საშუალოდ დახარჯული დროის თვალსაზრისით. სამუშაო ძალის შემადგენლობაში მყოფი კაცები საშუალოდ 50.5 საათს ატარებენ შრომის ბაზრის შრომაში, ხოლო ქალების მონაწილეობის საშუალო ყოველკვირეული დრო 36.5 საათს შეადგენს. ქალების უმრავლესობა (97.2 პროცენტი) და კაცების ნახევარზე მეტი (53.5 პროცენტი) საშინაო საქმეებს ძირითადი აქტივობის სახით აკეთებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კაცებთან (0.6 პროცენტი) შედარებით, 12-ჯერ მეტი ქალი (7.3 პროცენტი) დამატებით საშინაო საქმეებს პარალელური ან ურთიერთგადამფარავი აქტივობების სახით ასრულებს.

**ცხრილი 4.1**

**მონაწილეობის მაჩვენებლები და რესპონდენტების მიერ ძირითად, პარალელურ და ზედამხედველობითი ზრუნვის აქტივობებზე ყოველკვირეულად საშუალოდ დახარჯული დრო (საათი კვირაში), სქესის მიხედვით**

| | ქალები | | კაცები | |
|---|---|---|---|---|
| | მონაწილეობის მაჩვენებელი[a] (პროცენტი) | საშუალო ხანგრძლივობა[b] (საათები) | მონაწილეობის მაჩვენებელი[a] (პროცენტი) | საშუალო ხანგრძლივობა[b] (საათები) |
| **I. ძირითადი აქტივობები** | | | | |
| **1 შრომის ბაზრის შრომა** | 62.1 | 36.5 | 84.2*** | 50.5*** |
| ა. დასაქმებასთან დაკავშირებული | 41.1 | 43.9 | 66.5*** | 53.3*** |
| ბ. წარმოება პირადი სარგებლობისთვის | 31.9 | 14.4 | 35.1* | 20.4*** |
| **2 აუნაზღაურებელი შრომა** | 98.3 | 38.4 | 70.2*** | 11.5*** |
| ა. აუნაზღაურებელი საშინაო სერვისები შინამეურნეობისთვის | 97.2 | 28.4 | 53.5*** | 8.5*** |
| ბ. აუნაზღაურებელი ზრუნვა შინამეურნეობისთვის | 50.9 | 18.3 | 32.5*** | 7.3*** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გ. აუნაზღაურებელი მოხალისეობრივი შრომა | 17.1 | 3.3 | 16.3 | 6.3*** |
| **3 სწავლა** | 1.2 | 17.1 | 0.9 | 12.9 |
| **4 თავისუფალი დრო** | 99.2 | 29.0 | 99.7* | 38.3*** |
| ა. სოციალიზაცია, სათემო საქმიანობებში მონაწილეობა და ა. შ. | 74.8 | 10.4 | 72.9 | 14.0*** |
| ბ. დასვენება | 97.2 | 21.6 | 98.9*** | 28.3*** |
| **5 თვითზრუნვა** | 100.0 | 78.9 | 100.0 | 79.2 |
| **II. პარალელური აქტივობები** | | | | |
| **1 შრომის ბაზრის შრომა** | 8.0 | 3.5 | 16.0*** | 3.8 |
| ა. დასაქმებასთან დაკავშირებული | 7.1 | 3.5 | 15.7*** | 3.7 |
| ბ. წარმოება პირადი სარგებლობისთვის | 1.0 | 3.4 | 0.3** | 9** |
| **2 აუნაზღაურებელი შრომა** | 11.0 | 4.2 | 1.0*** | 4.2 |
| ა. აუნაზღაურებელი საშინაო სერვისები შინამეურნეობისთვის | 7.3 | 3.2 | 0.6*** | 4.1 |
| ბ. აუნაზღაურებელი ზრუნვა შინამეურნეობისთვის | 4.5 | 4.8 | 0.4*** | 4.4 |
| გ. აუნაზღაურებელი მოხალისეობრივი შრომა | 0.1 | 7 | 0 | – |
| **3 სწავლა** | 0 | – | 0 | – |
| **4 თავისუფალი დრო** | 78.0 | 14.7 | 73.2*** | 13*** |
| ა. სოციალიზაცია, სათემო საქმიანობებში მონაწილეობა და ა.შ. | 47.1 | 5.9 | 44.3 | 6.4 |
| ბ. დასვენება | 65.4 | 13.3 | 58.5*** | 11.4*** |
| **5 თვითზრუნვა** | 30.0 | 2.4 | 22.9*** | 2.8* |
| **III. ზედამხედველობითი ზრუნვა (ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი საქმიანობების პარალელურად)**[c] | | | | |
| **1 მუშაობა (შრომის ბაზრის შრომა და აუნაზღაურებელი შრომა)** | 49.5 | 13.9 | 16.4*** | 6.5*** |
| ა. შრომის ბაზრის შრომა | 2.5 | 8.2 | 3.3 | 7.5 |
| ბ. აუნაზღაურებელი შრომა | 49.3 | 13.6 | 13.8*** | 5.9*** |
| **2 სწავლა** | 0.1 | 6.3 | 0.4 | 5.2 |
| **3 დასვენება** | 56.7 | 18.4 | 50.6*** | 16.4** |
| ნებისმიერი ძირითადი საქმიანობა | 61.0 | 28.4 | 52.0*** | 18.1*** |

***შენიშვნა:*** ქალებსა და კაცებს შორის განსხვავების მაჩვენებელი განსხვავდება ნულისგან: *** 1 პროცენტის დონეზე, ** 5 პროცენტის დონეზე და * 10 პროცენტის.

[a] ქალებისა და კაცების პროცენტული წილი მთლიან შერჩევაში, რომელმაც 10 წუთი მაინც დაუთმო ძირითადი, პარალელური ან ზედამხედველობითი ზრუნვის აქტივობებს დროის ერთკვირიან შუალედში.

[b] იმ ინდივიდის მიერ დახარჯული დროის საშუალო მონაცემი, რომელმაც 10 წუთი მაინც დაუთმო ძირითადი, პარალელური ან ზედამხედველობითი ზრუნვის აქტივობებს დროის ერთკვირიან შუალედში.

[c] ზედამხედველობითი ზრუნვა ძირითადი და პარალელური საქმიანობების ყველა ტიპისთვის შეფასდა, გარდა აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომისა, რათა თავიდან აგვერიდებინა ორმაგი დათვლა.

ცხრილი N4.1 იმასაც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ზრუნვა კიდევ ერთი საქმიანობაა, რომელშიც ვლინდება გენდერული განსხვავება. განურჩევლად იმისა, ძირითადი საქმიანობაა თუ პარალელური, ქალები უფრო მეტად არიან ჩართულნი, ვიდრე კაცები (ძირითადი აუნაზღაურებელი ზრუნვისთვის 50.9 და 4.5 პროცენტი, შესაბამისად; პარალელური აუნაზღაურებელი ზრუნვისთვის – 32.5 და 0.4 პროცენტი, შესაბამისად). ქალების მიერ ყოველკვირეულად ძირითად პირდაპირ/უშუალო ზრუნვაში გატარებული დრო – საშუალოდ 18.3 საათი – მნიშვნელოვნად აღემატება კაცების შესაბამის მაჩვენებელს (საშუალოდ 7.3 საათი). რაც შეეხება პარალელური პირდაპირი/უშუალო ზრუნვის აქტივობებს, ქალებისა და კაცების მონაწილეობამ საშუალოდ კვირაში, შესაბამისად, 4.8 და 4.4 საათი შეადგინა.

აუნაზღაურებელ მოხალისეობრივ შრომას ქალებიც ეწევიან და კაცებიც, თუმცა კაცები ყოველკვირეულად თითქმის ორმაგ დროს უთმობენ შრომის ამ სახეს, ვიდრე ქალები (6.3 და 3.3 საათი, შესაბამისად). ქალები უფრო ცოტა დროს უთმობენ ძირითად თავისუფალი დროის აქტივობებს, ვიდრე კაცები (21.6 და 28.3 საათი, შესაბამისად); თუმცა, კაცებთან (73. 3 პროცენტი) შედარებით, ქალების უფრო დიდი ნაწილი (78 პროცენტი) ატარებს თავისუფალ დროს ამა თუ იმ ფორმის პარალელურ საქმიანობაში. ეს გვაფიქრებინებს, რომ ქალების თავისუფალი დრო სხვა ისეთ საქმიანობებსაც ეთმობა, როგორიცაა საკუთარი შვილებისთვის თვალ-ყურის დევნება მეგობართან სტუმრობისას ან პარკში სეირნობისას.

ცხრილში N4.1 ის დროც არის მოცემული, რომელსაც ქალები და კაცები, ძირითად საქმიანობებთან ერთად, ზედამხედველობით ზრუნვას უთმობენ. ზრუნვის აქტივობები იმ ძირითადი აქტივობის ტიპის მიხედვით არის კლასიფიცირებული, რომელიც დამოკიდებული პირის თანდასწრებით ხორციელდება. შეფასებები გვიჩვენებს, რომ, კაცებთან შედარებით, ქალების უფრო დიდი ნაწილი უზრუნველყოფს ზედამხედველობით ზრუნვას ძირითადი შრომითი საქმიანობისას, რომელიც, უმეტესწილად, სხვა აუნაზღაურებელი შრომითი საქმიანობაა (49.5 და 16.4 პროცენტი, შესაბამისად). კიდევ ერთი საინტერესო დაკვირვებაა, რომ ქალები, რომლებიც 10 წუთს მაინც უთმობენ ზედამხედველობით ზრუნვას, კვირაში საშუალოდ 28.4 საათს ხარჯავენ მასზე მაშინ, როცა კაცებისთვის ეს მაჩვენებელი კვირაში 18.1 საათს შეადგენს. შრომის ბაზრისა და აუნაზღაურებელი შრომის აქტივობებთან ერთად, ქალები ორჯერ მეტ დროს უთმობენ ზედამხედველობით ზრუნვას, ვიდრე კაცები (საშუალოდ 13.9 და 65 საათი კვირაში, შესაბამისად). რაც შეეხება თავისუფალი დროის აქტივობებისას, მაგალითად, ტელევიზორის ყურებისას ან ნათესავებთან თუ მეგობრებთან სტუმრობისას, ზედამხედველობით ზრუნვას, ქალები და კაცები კვირაში საშუალოდ 18.4 და 16.4 საათს უთმობენ, შესაბამისად.

ზემოთ წარმოდგენილი შედეგები გვაფიქრებინებს, რომ ზედამხედველობითი ზრუნვის აქტივობები, განსაკუთრებით ქალებისთვის, არ არის ტრივიალური. როდესაც ამგვარი აქტივობები გამოირიცხება დროის გამოყენების მონაცემთა ანალიზისას, ზრუნვაზე გაწეული აუნაზღაურებელი შრომის ოდენობა არასაკმარისად ფასდება. შემდეგ თავში იმ ფაქტორებს მიმოვიხილავთ, რომლებიც, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს ინდივიდის მიერ ურთიერთგადამფარავი საქმეების კეთების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე.

# 5

# ემპირიული ანალიზი

წინამდებარე თავი 2020-2021 წლებში საქართველოში დროის გამოყენების კვლევის მონაცემებსა და მონაცემთა ანალიზის რამდენიმე ტექნიკას იყენებს შემდეგ კითხვებზე პასუხის გასაცემად:

1. არსებობს თუ არა კავშირი სამუშაო ძალაში მონაწილეობასა და ქალებისა და კაცების მიერ შესრულებული აუნაზღაურებელი საშინაო და ზრუნვის შრომის ოდენობას შორის?
2. რა განაპირობებს ქალებისა და კაცების მიერ შრომის ბაზრის შრომაზე დახარჯული დროის, აუნაზღაურებელი შრომის დროისა და დასვენებაზე/სოციალურ აქტივობებზე დახარჯული დროის რაოდენობას? განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს ის, თუ დროის გადანაწილებაზე როგორ ზემოქმედებს ბავშვებსა და ფუნქციური სირთულეების მქონე ადამიანებზე ზრუნვის საჭიროებები.
3. ვის ემუქრება დროითი სიღარიბე? ქალებს უფრო მეტი შანსი აქვთ, რომ დროით სიღარიბეში ცხოვრობდნენ და, შესაბამისად, მეტად დაუბალანსებელი პროფესიული და პირადი ცხოვრება ჰქონდეთ თუ კაცებს?

მოცემული თავი ოთხი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში ზრუნვასა და სამუშაო ძალაში მონაწილეობის ურთიერთმიმართებას მიმოვიხილავთ. მეორე ნაწილი ქალებისა და კაცების მიერ დროის გამოყენების პატერნების ანალიზს დაეთმობა და ამისათვის SUR და ტობიტ ანალიზს გამოვიყენებთ. მესამე ნაწილი ეყრდნობა დროითი სიღარიბისა და სამუშაო და პირადი ცხოვრების ბალანსის ცნებებს და პასუხობს კითხვას: ქალები უფრო მეტად არიან დროითი სიღარიბის მდგომარეობაში თუ კაცები. და ბოლოს, მეოთხე ნაწილში ვიმსჯელებთ, რამდენად უკავშირდება დროითი სიღარიბე რესპონდენტის განცდას, რომ მუდმივად ეჩქარება.

# 5.1 ზრუნვის საქმიანობისა და სამუშაო ძალაში მონაწილეობის ურთიერთმიმართება

იმის გასარკვევად, უკავშირდება თუ არა მომვლელის როლი, რომელიც სამუშაო ასაკის რესპონდენტს აკისრია, სამუშაო ძალაში მონაწილეობის ალბათობას, პრობიტ რეგრესიული ანალიზი გამოვიყენეთ.[1] მომვლელი ორგვარად განვმარტეთ: *მომვლელი1* ეწოდება რესპონდენტს, რომელიც დღეში ორ საათს (120 წუთს) მაინც უთმობს ძირითადი ზრუნვის შრომას,[2] ხოლო *მომვლელი2* არის რესპონდენტი, რომელიც დღეში 3.3 საათს (200 წუთს) მაინც უთმობს ძირითად და პარალელურ აუნაზღაურებელ შრომას (ანუ ორივეს, ძირითადი ზრუნვის შრომასა და საშინაო საქმეებს).[3] დამოკიდებული ცვლადი პრობიტ მოდელში გვიჩვენებს, რესპონდენტი არის თუ არა სამუშაო ძალის შემადგენლობაში. ამ ინფორმაციას GTUS-ის სამუშაო ძალაში ჩართულობის სტატუსის შესახებ თვითანგარიშის კითხვით ვიღებთ: „დღესდღეობით, ძირითადად, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ჯგუფს მიაკუთვნებთ თავს?“ ანალიზში გამოვიყენეთ მთელი რიგი ინდივიდუალური და შინამეურნეობის მახასიათებლებისა, რომლებიც პიროვნების სამუშაო ძალაში მონაწილეობის ალბათობაზე შეიძლება მიგვითითებდეს, მათ შორის, სქესი, არის თუ არა ეს ადამიანი მომვლელი, ურთიერთქმედების ცვლადი (ფიქტიური ცვლადი სქესი*მომვლელი), ცხოვრების ციკლის სტადია (რომელიც ინდივიდის ასაკითა და ასაკის კვადრატით იყო წარმოდგენილი), ოჯახური მდგომარეობა, განათლების დონე, ეთნიკური კუთვნილება, საცხოვრებელი ადგილი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (რომელიც იმის მიხედვით შეფასდა, აქვს თუ არა ინდივიდს ხანგრძლივი დაავადება). ქვემოთ შემოთავაზებული ემპირიული ანალიზის ფარგლებში მსჯელობა პირველი სამი ცვლადის ირგვლივ ავაგეთ. ესენია სქესი, მომვლელის სტატუსი და ურთიერთქმედების ცვლადი (ფიქტიური ცვლადი სქესი*მომვლელი).

დამოკიდებული ცვლადი პრობიტ მოდელში გვიჩვენებს, რესპონდენტი არის თუ არა სამუშაო ძალის შემადგენლობაში. ამ ინფორმაციას GTUS-ის სამუშაო ძალაში ჩართულობის სტატუსის შესახებ თვითანგარიშის კითხვით ვიღებთ: „დღესდღეობით, ძირითადად, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ჯგუფს მიაკუთვნებთ თავს?“ ანალიზში გამოვიყენეთ მთელი რიგი ინდივიდუალური და შინამეურნეობის მახასიათებლებისა, რომლებიც პიროვნების სამუშაო ძალაში მონაწილეობის ალბათობაზე შეიძლება მიგვითითებდეს, მათ შორის, სქესი, არის თუ არა ეს ადამიანი მომვლელი, ურთიერთქმედების ცვლადი (ფიქტიური ცვლადი სქესი*მომვლელი), ცხოვრების ციკლის სტადია (რომელიც ინდივიდის ასაკითა და ასაკის კვადრატით იყო წარმოდგენილი), ოჯახური მდგომარეობა, განათლების დონე, ეთნიკური კუთვნილება, საცხოვრებელი ადგილი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (რომელიც იმის მიხედვით შეფასდა, აქვს თუ არა ინდივიდს ხანგრძლივი დაავადება). ქვემოთ შემოთავაზებული ემპირიული ანალიზის ფარგლებში მსჯელობა პირველი სამი ცვლადის ირგვლივ ავაგეთ. ესენია სქესი, მომვლელის სტატუსი და ურთიერთქმედების ცვლადი (ფიქტიური ცვლადი სქესი*მომვლელი).[4] შედეგების მიხედვით, ქალებს 33.3 პროცენტით ნაკლები შანსი აქვთ, რომ სამუშაო ძალაში იქნებიან ჩართულნი, ვიდრე კაცებს. ამასთან, იმ ქალებისთვის, რომლებიც მომვლელის როლსაც

ასრულებენ, კიდევ უფრო - დაახლოებით 58.4 პროცენტით მცირეა ამის ალბათობა, ვიდრე მათთვის, ვისაც არ უწევს მომვლელის ფუნქციის საკუთარ თავზე აღება. ეს შედეგი კარგად ეთანადება ცხრილში N4.1 წარმოდგენილ აღწერით სტატისტიკას.

**ცხრილი 5.1**

**პრობიტ მარგინალური ეფექტები: სამუშაო ძალაში მონაწილეობა და ზრუნვა**

| | *მომვლელი1* განმარტება | |
|---|---|---|
| | **მოდელი 1** (აუნაზღაურებელი ზრუნვა დღეში 2 საათი მაინც) | **მოდელი 2** (აუნაზღაურებელი ზრუნვა და საშინაო საქმე დღეში 3.3 საათი მაინც) |
| მდედრობითი სქესი | -0.3332***<br>(0.0367) | -0.0069<br>(0.0514) |
| მომვლელი | -0.1516<br>(0.1310) | -0.1684*<br>(0.0875) |
| მდედრობითი*მომვლელი[a] | -0.2518*<br>(0.1373) | -0.4135***<br>(0.1012) |
| ასაკი | 0.0357***<br>(0.0133) | 0.0502***<br>(0.0132) |
| ასაკის კვადრატი | -0.0005***<br>(0.0002) | -0.0006***<br>(0.0002) |
| დაოჯახებული | -0.0529<br>(0.0419) | -0.0280<br>(0.0416) |
| განათლება=საშუალო | -0.1179<br>(0.0876) | -0.1314<br>(0.0885) |
| განათლება=პროფესიული | -0.0016<br>(0.0923) | -0.0102<br>(0.0932) |
| განათლება=უმაღლესი | 0.1445<br>(0.0912) | 0.1223<br>(0.0915) |
| ეთნიკური კუთვნილება=აზერბაიჯანელი | 0.0949<br>(0.0677) | 0.1373*<br>(0.0715) |
| ეთნიკური კუთვნილება=სომეხი | 0.1208<br>(0.0835) | 0.1660**<br>(0.0845) |
| ეთნიკური კუთვნილება=სხვა | -0.1246<br>(0.0978) | -0.1252<br>(0.0924) |

| | | |
|---|---|---|
| საცხოვრებელი ადგილი=სხვა ქალაქის ტიპის | -0.0265<br>(0.0412) | -0.0282<br>(0.0412) |
| საცხოვრებელი ადგილი=სოფელი | -0.1240***<br>(0.0415) | -0.1103***<br>(0.0411) |
| ხანგრძლივი ავადმყოფობა | -0.1692***<br>(0.0498) | -0.1679***<br>(0.0498) |
| N | 2,610 | 2,610 |

***შენიშვნა:***

[a] ეს არის სქესისა და ზრუნვის ურთიერთქმედების ფიქტიური ცვლადი.

* $p < 0.1$; ** $p < 0.05$; *** $p < 0.01$.

დამოკიდებული ცვლადი: არის თუ არა სამუშაო ძალაში. გამოტოვებული ფიქტიური ცვლადის კატეგორიები: განათლება=საბაზო (არასრული საშუალო) ან უფრო ნაკლები; ეთნიკური კუთვნილება=ქართველი; საცხოვრებელი ადგილი=თბილისი.

პრობიტ კოეფიციენტის შეფასებებისთვის იხ. დანართი 1.

*მომვლელი2*-ის განმარტებაზე დაყრდნობით, როდესაც ინდივიდი დღეში 3.3 საათს (200 წუთს) მაინც უთმობს ძირითად და პარალელურ აუნაზღაურებელ შრომას (ანუ ორივეს, ძირითადი ზრუნვის შრომასა და საშინაო საქმეებს), II მოდელი მსგავს შედეგებს გვაძლევს. ზრუნვის შრომის ასეთი ფართო განმარტების პირობებში, რომელიც არაპირდაპირ ზრუნვასაც (საშინაო საქმეებსაც) მოიცავს, ცხრილი N5.1 გვიჩვენებს, რომ განურჩევლად სქესისა, მომვლელს, რომელიც დღეში 3.3 საათს (200 წუთს) მაინც ატარებს პირდაპირი ზრუნვის შრომასა და საშინაო საქმიანობაში, სამუშაო ძალაში მონაწილეობის 16.8 პროცენტით ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე მათ, ვინც დღეში 200 წუთზე ნაკლებ დროს ხარჯავს აუნაზღაურებელ შრომაში, თუმცა ეს შედეგი სანდოობის ათპროცენტიან დონეზეა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. სამუშაო ძალაში მონაწილეობის ალბათობა კიდევ უფრო - დაახლოებით 68.2 პროცენტამდე მცირდება (დამატებითი 41.3 პროცენტიანი კლება), თუ მომვლელი ქალია.

ორივე მოდელში ვნახეთ, რომ სამუშაო ძალაში ყოფნის ალბათობა იკლებს, როდესაც რესპონდენტი ცხოვრების ციკლის შედარებით გვიანდელ სტატიაზეა, სოფლად ცხოვრობს ან ხანგრძლივად ავადმყოფობს.

# 5.2 ქალებისა და კაცების მიერ დროის გამოყენების პატერნების დეტერმინანტები

ამ ქვეთავში ნახავთ პასუხს კითხვაზე - როგორ იცვლება ქალებისა და კაცების მიერ დროის გამოყენება მათი დემოგრაფიული და სოციო-ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით? უფრო კონკრეტულად, შეიტყობთ, ერთნაირად მოქნილად შეუძლიათ თუ არა საქართველოში ქალებსა და კაცებს ერთი ტიპის აქტივობის მეორეთი ჩანაცვლება. კითხვაზე პასუხის გასაცემად ვიკვლიეთ ზრუნვის საჭიროებების ეფექტი, რომლებიც ისეთი ინდიკატორებით არის წარმოდგენილი, როგორებიცაა: (ა) 10 წლამდე ასაკის ბავშვები შინამეურნეობაში; (ბ) 10-17 წლის ბავშვები შინამეურნეობაში და (გ) ფუნქციური სირთულეების მქონე პირები შინამეურნეობაში. ამასთან, გავაანალიზეთ ზრუნვაში მხარდაჭერაზე წვდომის შესაძლო ეფექტი, იქნებოდა ეს შინ გაწეული დახმარება თუ გარედან მიღებული. ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იყო შემდეგი ინდიკატორებით: (ა) 15-74 წლის სხვა შრომისუნარიანი ქალები ან გოგოები შინამეურნეობაში; (ბ) 10 წლამდე ბავშვებზე ზრუნვაში დახმარებაზე წვდომა, იქნება ეს სხვა პირების თუ ზრუნვის სერვისების მხრიდან გაწეული დახმარება, ბაგა-ბაღის ან დახმარების სხვა გარე წყაროს სახით[5] და (გ) ავადმყოფებსა და მოხუცებზე ზრუნვა.[6] ანალიზისთვის SUR მეთოდი გამოვიყენეთ, რომლითაც სხვადასხვა ძირითადი აქტივობებისთვის გამოყოფილი დრო ამხსნელი ცვლადების ერთი და იგივე ნაკრებით განისაზღვრება და ერთობლივად ფასდება, როგორც სისტემა.[7] ამ შემთხვევაში ეს რეგრესიის მართებული მეთოდია, ვინაიდან დროის კონკრეტულ მონაკვეთში, როგორიცაა დღე ან კვირა, შრომის ბაზრის შრომაზე, აუნაზღაურებელ შრომასა და არაშრომით აქტივობებზე ინდივიდის მიერ დახარჯული დრო ურთიერთდამოკიდებულია.

ქალი და კაცი რესპონდენტებისთვის ცალ-ცალკე SUR ანალიზი განვახორციელეთ. წინა ქვეთავში განხილული პრობიტ მოდელის მსგავსად, SUR მოდელშიც სამიზნე ცვლადებია ზრუნვის საჭიროების ინდიკატორები და, ასევე, ზრუნვაში შინ და გარედან დახმარების ინდიკატორები. ანალიზში სხვა ინდივიდუალური და შინამეურნეობის სხვა მახასიათებლებიც ჩავრთეთ, რომლებიც შეიძლება განსაზღვრავდნენ ქალი და კაცი რესპონდენტების მიერ დროის განაწილების თავისებურებას. ეს მახასიათებლებია ცხოვრების ციკლის სტადია (ასაკი და ასაკის კვადრატი), ოჯახური მდგომარეობა (დაოჯახებული – ფიქტიური ცვლადი), განათლების დონე (ფიქტიური ცვლადები), ეთნიკური კუთვნილება (ფიქტიური ცვლადები), მეუღლის დასაქმების სტატუსი (მეუღლეა დასაქმებული – ფიქტიური ცვლადი) და რესპონდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ხანგრძლივი ავადმყოფობა - ფიქტიური ცვლადი).

SUR მოდელის სამი ვარიაცია შევამოწმეთ: „ა შერჩევა“ შინამეურნეობათა მთლიანი ქვეშერჩევისგან შედგება, „ბ შერჩევა“ – მხოლოდ იმ შინამეურნეობებს აერთიანებს, რომლებშიც 5 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, ხოლო „გ შერჩევა“ – მხოლოდ იმ შინამეურნეობებს, რომლებშიც ფუნქციური სირთულეების მქონე პირ(ებ)ი ცხოვრობს/ცხოვრობენ. ბ შერჩევის მოდელში იგივე დამოუკიდებელი ცვლადები გამოვიყენეთ, რომლებიც ა შერჩევის მოდელში, მაგრამ დავამატეთ ფიქტიური ცვლადი იმის გასათვალისწინებლად, 10

წლამდე ასაკის ბავშვებს ზედამხედველობდნენ თუ არა სხვები (ანუ ჰქონდა თუ არა შინამეურნეობას წვდომა ბაგა-ბაღზე და ბავშვზე ზრუნვის სხვა გარე სერვისებზე). გ შერჩევის მოდელში დავამატეთ ფიქტიური ცვლადი, რომელიც გვიჩვენებდა, მიუწვდებოდა თუ არა ხელი შინამეურნეობას ავადმყოფ და დასუსტებულ მოხუცებზე ზრუნვაში გარედან მიღებულ დახმარებაზე.

სქესისა და შინამეურნეობის ტიპის მიხედვით დაჯგუფებული SUR შეფასებები წარმოდგენილია ცხრილში N5.2. კერძოდ, ცხრილში აღწერილია დროის განაწილების მიხედვით გენდერული განსხვავებების რეგრესიული შეფასება და, ყველა სხვა თანაბარ პირობაში, კაცებსა და ქალებს შორის გამოვლენილი სხვაობები. ა შერჩევისთვის SUR შეფასებები გვიჩვენებს, რომ, ყველა სხვა თანაბარ პირობაში, ისეთ შინამეურნეობებში მცხოვრები სამუშაო ასაკის ქალები, რომლებსაც ბავშვზე ზრუნვის საჭიროებები აქვთ (ანუ შინამეურნეობაში 10 წლამდე ასაკის ბავშვები იმყოფებიან), ყოველკვირეულად საშუალოდ 5.6 საათით (338.6 წუთით) ნაკლებ დროს ატარებენ შრომის ბაზრის შრომაში, 11.2 საათით (674.2 წუთით) მეტს – აუნაზღაურებელ შრომაში და 3.6 საათით (220 წუთით) ნაკლებს – თავისუფალი დროის შესაბამის აქტივობებში, ვიდრე იმ შინამეურნეობებში მცხოვრები ქალები, რომლებსაც არ ჰყავთ 10 წლამდე ასაკის ბავშვები. ეს შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია სანდოობის ერთ და ხუთ პროცენტიან დონეზე. ამასთან, ზრუნვის სხვა საჭიროებები, როგორებიცაა 10-17 წლის ბავშვები და ფუნქციური სირთულეების მქონე პირები, ქალების ყოველკვირეულ აუნაზღაურებელ შრომას, შესაბამისად, საშუალოდ 2.2 საათით (135.4 წუთით) და 2.8. საათით (171.1 წუთით) ზრდის. ეს შედეგები შეესაბამება მოსაზრებას, რომ, როდესაც ზრუნვის საჭიროება უდგათ, ქალებს უფრო მეტად ეზღუდებათ ერთი ტიპის შრომის მეორეთი ჩანაცვლების უნარი/შესაძლებლობა. სურათზე N5.1 მოცემულია ყველა შერჩეულ შინამეურნეობაში (ა შერჩევა) ქალებისა და კაცების მიერ ყოველკვირეული ჯამური აუნაზღაურებელი შრომისთვის (ზრუნვისა და საშინაო შრომისთვის) დათმობილი დროის კერნელის სიმჭიდროვე.

**ცხრილი 5.2**

**შერჩეული მახასიათებლების მარგინალური ეფექტები დროის გამოყენების სამ აქტივობაზე, კვირაში წუთების რაოდენობით გამოსახული (პროცენტული წილის ცვლილება ფრჩხილებში), სქესისა და შინამეურნეობის ტიპის მიხედვით**

| | **შერჩევა ა** (ყველა შინამეურნეობა) | | **შერჩევა ბ** (შინამეურნეობები, რომელშიც 5 წლამდე ასაკის ბავშვები ცხოვრობენ) | | **შერჩევა გ** (შინამეურნეობები, რომლებშიც ფუნქციური სირთულეების მქონე პირ(ებ)ი ცხოვრობს/ცხოვრობენ) | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **ქალები** | **კაცები** | **ქალები** | **კაცები** | **ქალები** | **კაცები** |
| **ა. შრომის ბაზრის შრომა** | | | | | | |
| **1 ინდიკატორები, რომლითაც წარმოდგენილია ზრუნვის საჭიროება** | | | | | | |
| 10 წლამდე ასაკის ბავშვები შინამეურნეობაში | -339 minutes*** (-28.1%) | NS | NS | NS | NS | NS |
| 5-9 წლის ბავშვები შინამეურნეობაში | NS | NS | NS | NS | NS | NS |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10-17 წლის ბავშვები შინამეურნეობაში | NS | NS | NS | NS | -338 წუთი** (-27.9%) | NS |
| ფუნქციური სირთულეების მქონე პირები შინამეურნეობაში | NS | NS | NS | -382 წუთი* (-15.1%) | NS | NS |
| **2 ინდიკატორები, რომლითაც წარმოდგენილია ზრუნვაში დახმარებაზე წვდომა** | | | | | | |
| 10 წლამდე ასაკის ბავშვები შინამეურნეობაში, რომლებსაც ზედამხედველობენ[a] | NS | NS | NS | NS | NS | NS |
| 15-74 წლის სხვა შრომისუნარიანი ქალები შინამეურნეობაში | 205 წუთი** (17.0%) | NS | NS | NS | 264 წუთი* (21.7%) | NS |
| **3 ინდივიდებისა და შინამეურნეობების მახასიათებლები** | | | | | | |
| დაოჯახებული | NS | 339 წუთი** (13.7%) | -559 წუთი** (-65.6%) | NS | 405 წუთი** (33.4%) | NS |
| მეუღლეა დასაქმებული | NS | NS | NS | NS | NS | 714 წუთი*** (31.6%) |
| ეთნიკური კუთვნილება =აზერბაიჯანელი | NS | NS | NS | NS | NS | NS |
| ეთნიკური კუთვნილება =სომეხი | NS | NS | NS | NS | NS | NS |
| ეთნიკური კუთვნილება=სხვა | NS | NS | NS | NS | -904 წუთი** (-74.5%) | NS |
| საცხოვრებელი ადგილი=სხვა ქალაქის ტიპის დასახლება | NS | -387 წუთი*** (-15.6%) | NS | NS | NS | NS |
| საცხოვრებელი ადგილი=სოფელი | NS | NS | NS | NS | NS | NS |
| **ბ. აუნაზღაურებელი შრომა** | | | | | | |
| **1 ინდიკატორები, რომლითაც წარმოდგენილია ზრუნვის საჭიროება** | | | | | | |
| 10 წლამდე ასაკის ბავშვები შინამეურნეობაში | 674 წუთი*** (30.5%) | 170 წუთი*** (39.0%) | NS | NS | 753 წუთი ** (33.4%) | 203 წუთი** (51.5%) |
| 5-9 წლის ბავშვები შინამეურნეობაში | NS | NS | 330 წუთი** (12.6%) | NS | NS | NS |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10-17 წლის ბავშვები შინამეურნეობაში | 135 წუთი** (6.1%) | -38 წუთი (-8.7%) | 108 წუთი (4.1%) | 38 წუთი (8.2%) | 327 წუთი** (14.6%) | -87 წუთი (-22.1%) |
| ფუნქციური სირთულეების მქონე პირები შინამეურნეობაში | 171 წუთი** (7.7%) | 58 წუთი (13.4%) | -46 წუთი (-1.8%) | 90 წუთი (19.3%) | NS | NS |
| **2 ინდიკატორები, რომლითაც წარმოდგენილია ზრუნვაში დახმარებაზე წვდომა** | | | | | | |
| 10 წლამდე ასაკის ბავშვები შინამეურნეობაში, რომლებსაც ზ ედამხედველობენ*b* | NS | NS | -237 წუთი* (-9.1%) | NS | NS | NS |
| 15-74 წლის სხვა შრომისუნარიანი ქალები შინამეურნეობაში | -390 წუთი*** (-17.6%) | -449 წუთი*** (-103.0%) | NS | -544 წუთი** (-116.2%) | -584 წუთი*** (-26.0%) | -300 წუთი*** (-76.2%) |
| **3 ინდივიდებისა და შინამეურნეობების მახასიათებლები** | | | | | | |
| დაოჯახებული | 283 წუთი*** (12.8%) | 136 წუთი** (31.2%) | 595 წუთი*** (22.8%) | 320 წუთი*** (68.2%) | NS | NS |
| მეუღლეა დასაქმებული | 166 წუთი** (7.5%) | NS | 266 წუთი* (10.2%) | NS | NS | NS |
| ეთნიკური კუთვნილება =აზერბაიჯანელი | 525 წუთი*** (23.7%) | -220 წუთი*** (-50.3%) | 22 წუთი (0.9%) | -239 წუთი* (-50.9%) | NS | NS |
| ეთნიკური კუთვნილება =სომეხი | NS | NS | NS | NS | NS | NS |
| ეთნიკური კუთვნილება=სხვა | 542 წუთი*** (24.5%) | NS | 1,076 წუთი* (41.2%) | NS | 1,203 წუთი*** (53.4%) | NS |
| საცხოვრებელი ადგილი=სხვა ქალაქის ტიპის დასახლება | -186 წუთი** (-8.4%) | NS | -277 წუთი* (-10.6%) | -194 წუთი** (-41.5%) | NS | NS |
| საცხოვრებელი ადგილი=სოფელი | NS | NS | -372 minutes** (-14.2%) | NS | NS | NS |
| **გ. თავისუფალი დრო** | | | | | | |
| **1 ინდიკატორები, რომლითაც წარმოდგენილია ზრუნვის საჭიროება** | | | | | | |
| 10 წლამდე ასაკის ბავშვები შინამეურნეობაში | -220 წუთი*** (-13.0%) | -317 წუთი*** (-14.0%) | NS | NS | -485 წუთი*** (-30.2%) | NS |
| 5-9 წლის ბავშვები შინამეურნეობაში | NS | NS | NS | -308 წუთი** (-15.3%) | NS | NS |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10-17 წლის ბავშვები შინამეურნეობაში | NS | NS | NS | NS | NS | NS |
| ფუნქციური სირთულეების მქონე პირები შინამეურნეობაში | NS | NS | -309 წუთი*** (-21.6%) | 280 წუთი* (13.9%) | NS | NS |
| **❷ ინდიკატორები, რომლითაც წარმოდგენილია ზრუნვაში დახმარებაზე წვდომა** | | | | | | |
| 10 წლამდე ასაკის ბავშვები შინამეურნეობაში, რომლებსაც ზედამხედველობენ[a] | -141 წუთი* (-8.4%) | NS | NS | NS | NS | NS |
| 15-74 წლის სხვა შრომისუნარიანი ქალები შინამეურნეობაში | 100 წუთი* (5.9%) | NS | 228 წუთი** (15.9%) | NS | NS | NS |
| **❸ ინდივიდებისა და შინამეურნეობების მახასიათებლები** | | | | | | |
| დაოჯახებული | -149 წუთი** (-8.8%) | -379 წუთი*** (-16.7%) | NS | NS | -330 წუთი*** (-4.4%) | NS |
| მეუღლეა დასაქმებული | -106 წუთი* (-6.3%) | NS | -339 წუთი*** (-23.7%) | NS | NS | -483 წუთი*** (-20.3%) |
| ეთნიკური კუთვნილება= აზერბაიჯანელი | NS | NS | NS | NS | NS | NS |
| ეთნიკური კუთვნილება= სომეხი | NS | NS | NS | NS | NS | NS |
| ეთნიკური კუთვნილება=სხვა | NS | NS | NS | NS | NS | NS |
| საცხოვრებელი ადგილი=სხვა ქალაქის ტიპის დასახლება | NS | 203 წუთი** (8.9%) | NS | 383 წუთი** (19.0%) | NS | NS |
| საცხოვრებელი ადგილი=სოფელი | NS | NS | NS | 344 წუთი* (17.1%) | NS | NS |

***აბრევიატურები:*** NS, სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი.

***შენიშვნები:***

[a] ფიქტიური ცვლადი, თუ რესპონდენტი პასუხობს „დიახ“ GTUS-ის H03 კითხვაზე: „თქვენი 10 წლამდე ასაკის რომელიმე შვილი დადის ბაგაში ან ბაღში, ან ხანგრძლივი შეთანხმების საფუძველზე უვლის მას სხვა პიროვნება (რომელიც არ მიეკუთვნება თქვენს შინამეურნეობას) ან სხვა დაწესებულება?“

[b] ფიქტიური ცვლადი, თუ რესპონდენტი პასუხობს „დიახ“ GTUS-ის H8.3 კითხვაზე: „დროის ნებისმიერ მომენტში ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში, თქვენ ან თქვენი შინამეურნეობის რომელიმე წევრი იღებს საშინაო მომსახურებას კერძო პირისგან, რომელიც არ არის თქვენი შინამეურნეობის წევრი?“

* $p < 0.1$; ** $p < 0.05$; *** $p < 0.01$. სრული შეფასების შედეგები წარმოდგენილია დანართში 2.

**სურათი 5.1**

**ძირითადი აქტივობებისთვის დახარჯული ყოველკვირეული ჯამური აუნაზღაურებელი შრომის (ზრუნვა და საშინაო საქმე) დროის კერნელის სიმჭიდროვე, ყველა შერჩეული შინამეურნეობისთვის (შერჩევა ა)**




ასევე, ქალები ყოველკვირეულად საშუალოდ 4.72 საათით (283.2 წუთით) მეტს ატარებენ აუნაზღაურებელ შრომაში, თუ ისინი ქორწინებაში იმყოფებიან, 2.8 საათით (165.9 წუთით) მეტს – თუ მათი მეუღლე დასაქმებულია, 8.7 საათით (524.3 წუთით) მეტს – თუ აზერბაიჯანელები არიან და 3.1 საათით (102 წუთით) ნაკლებს – თუ ქალაქის ტიპის სხვა დასახლებაში (არა თბილისში) ან სოფლად ცხოვრობენ. იმ შინამეურნეობებში მცხოვრები ქალები, რომლებსაც 10 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, როგორც ჩანს, უფრო მეტ დროს ატარებენ აუნაზღაურებელ შრომაში იმის ხარჯზე, რომ უფრო ნაკლებ დროს უთმობენ შრომის ბაზრის შრომას და თავისუფალ დროსაც იკლებენ, იმ ქალებთან შედარებით, რომელთა შინამეურნეობებშიც არ დგას ზრუნვის საჭიროებები.

მეორე მხრივ, კაცების მიერ შრომის ბაზრის შრომაში გატარებული დროის ოდენობაზე არანაირი ზრუნვის საჭიროების არსებობა არ მოქმედებს. მეტიც, ისინი კვირაში 5.6 საათით (338.9 წუთით) მეტსაც კი მუშაობენ, თუ დაოჯახებულნი არიან, 6.4 საათით ნაკლებს – თუ თბილისისგან განსხვავებულ, სხვა ურბანული ტიპის დასახლებაში ცხოვრობენ და 8.9 საათით (531.8 წუთით) ნაკლებს – თუ ცუდი ჯანმრთელობა აქვთ. ამასთან, კაცების აუნაზღაურებელი შრომის დრო კვირაში საშუალოდ 2.8 საათით (170.6 წუთით) მატულობს, თუ ისეთ შინამეურნეობაში ცხოვრობენ, რომლებშიც 10 წლამდე ასაკის ბავშვები იმყოფებიან, 3.1 საათით (181.3 წუთით) – თუ უმაღლესი განათლება აქვთ, ხოლო 3.6 საათით (219.5 წუთით) იკლებს, თუ აზერბაიჯანელები არიან. იმ შინამეურნეობებში მცხოვრები კაცები, რომლებსაც 10 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, საკუთარი თავისუფალი დროის მოკლების ხარჯზე ატარებენ უფრო მეტ დროს აუნაზღაურებელ შრომაში. აზერბაიჯანელ ქალებსა და კაცებს შორის აუნაზღაურებელი შრომის დროში მნიშვნელოვანი გენდერული სხვაობა გარკვეულ კულტურებში პატრიარქალური ნორმების მდგრადობასა და სიძლიერეზე მიუთითებს.

ამრიგად, ეს შედეგები გვიჩვენებს, რომ შინამეურნეობაში 10 წლამდე ასაკის ბავშვებზე ზრუნვის საჭიროება ზრდის ქალებისა და

კაცების ყოველკვირეული აუნაზღაურებელი შრომის დროს, თუმცა ქალების აუნაზღაურებელი შრომის დროის მატება ოთხჯერ აღემატება კაცებისას და, შესაბამისად, საშუალოდ 11.2 (674.2 წუთს) და 2.8 საათს (170.5 წუთს) შეადგენს. ამასთან, უფროსი ასაკის (10-17 წლის) ბავშვებსა და ფუნქციური სირთულეების მქონე პირებზე ზრუნვის საჭიროება მხოლოდ ქალების ყოველკვირეული აუნაზღაურებელი შრომის დროს ზრდის, კაცების მაჩვენებელი კი უცვლელი რჩება. მიღებული შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შინამეურნეობებში ზრუნვის პასუხისმგებლობების უდიდესი წილი საქართველოში ქალების მხრებზე გადადის.

თუ ქალს შინამეურნეობაში მცხოვრები სხვა შრომისუნარიანი ქალები ეხმარებიან ზრუნვის შრომაში, მისი შრომის ბაზრის შრომაზე ყოველკვირეულად დახარჯული დრო საშუალოდ 3.4 საათით (204.7 წუთით) მატულობს; თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არაფერს ცვლის ზრუნვის შრომაში შინამეურნეობის გარედან მიღებული დახმარება. ამის შესაძლო ახსნა ისაა, რომ დროის გამოყენების კვლევის მონაცემების შეგროვების პერიოდი კოვიდ 19-ის პანდემიის პირველ 15 თვეს დაემთხვა. პანდემიას მთელ ქვეყანაში შეზღუდვები და მკაცრი იზოლაცია მოჰყვა, განსაკუთრებით პირველ თვეებში, რის შედეგადაც გარკვეული დროით დაიკეტა ბაგა-ბაღები, ბავშვზე ზრუნვის სერვისის ზოგიერთი მიმწოდებელი, რამაც შინამეურნეობებს გაურთულა ბავშვზე ზრუნვაში შინამეურნეობის გარედან დახმარებისა თუ სერვისის მიღება. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ზრუნვაში შინ მიღებული დახმარება მძლავრად ზემოქმედებს ქალებისა და კაცების მიერ დროის განაწილებაზე. უფრო კონკრეტულად, დახმარების არსებობის პირობებში, მცირდება კაცებისა და ქალების ყოველკვირეული აუნაზღაურებელი შრომა, შესაბამისად, 7.5 (449.5 წუთით) და 6.5 საათით (389.53 წუთით) და ყოველკვირეულად თითქმის 1.7 საათით (100 წუთით) მატულობს ქალების მიერ სოციალიზაციისა და დასვენებისთვის გამოყოფილი დრო. ზრუნვაში გარედან მიღებულ დახმარებაზე წვდომა, რომელიც წარმოდგენილია ცვლადის „10 წლამდე ასაკის ბავშვები შინამეურნეობაში, რომლებსაც ზედამხედველობენ“ სახით, უარყოფითად მოქმედებს ქალების თავისუფალ დროზე – 2.4 საათით (141.4 წუთით) ამცირებს მას. ასეთი მოულოდნელი შედეგი კოვიდ 19-ის პანდემიის გამო ბაგა-ბაღების დროებითი (ან მუდმივი) დაკეტვით შეიძლება აიხსნას. ეს და ის ფაქტი, რომ სოციალიზაცია და სახლის გარეთ გასართობი აქტივობები მკვეთრად შემცირდა პანდემიის პერიოდში, შეიძლება ხსნიდეს იმას, თუ რატომ უთმობდნენ ქალები სოციალური და დასვენების აქტივობებისთვის განკუთვნილ დროს ბავშვებს, რომლებიც ვერ ახერხებდნენ ბაგა-ბაღში სიარულს, ან დისტანციურად, ონლაინ სწავლობდნენ სკოლაში.

ცხრილის N5.2 IV და V სვეტებში წარმოდგენილია SUR კოეფიციენტების შეფასება ქალებისა და კაცებისთვის იმ შინამეურნეობებისგან შემდგარი ქვეშერჩევიდან, რომლებსაც მცირეწლოვან ბავშვებზე ზრუნვის სა-ჭიროებები აქვთ (ბ შერჩევა). დიდი მოთხოვნა ზრუნვაზე, რომელიც ამ შინამეურნეობებში ხუთ წლამდე ბავშვების ყოლის შედეგია, როგორც ჩანს, ზრუნვის ყველა სხვა საჭიროებაზე წინ დგას და ამიტომ ეს უკანასკნელი დიდად არ ზემოქმედებს ქალებისა და კაცების მიერ ყოველკვირეულად შრომის ბაზრის შრომისთვის დახარჯული დროის ოდენობაზე. თუმცა, მეორე მხრივ, ქორწინებაში ყოფნა და მცირეწლოვანი ბავშვების ყოლა საშუალოდ 9.3 საათით (559.1 წუთით) ამცირებს ქალების ყოველკვირეულად შრომის ბაზრის შრომაში გატარებულ დროს. ეს ვითარება კარგად ეთანადება „დედობის სასჯელს“ იმ ნაკლოვანებებისა და დაბრკოლებების სახით, რომლებსაც შრომის ბაზარზე აწყდებიან დედები. ეს შეიძლება იყოს როგორც დაბალი შრომის ანაზღაურება, ისე დისკრიმინაცია სამსახურში აყვანისას და დაწინაურებისას.[8] სურათზე N5.2 მოცემულია ბ შერჩევის ქალებისა და კაცების ყოველკვირეული ჯამური აუნაზღაურებელი შრომის (ორივე, ზრუნვისა და საშინაო შრომაში გატარებული) დროის კერნელის სიმჭიდროვე.

სურათი 5.2

**ძირითადი აქტივობებისთვის დახარჯული ყოველკვირეული ჯამური აუნაზღაურებელი შრომის (ზრუნვა და საშინაო საქმე) დროის კერნელის სიმჭიდროვე, იმ შინამეურნეობისთვის, რომლებშიც 5 წლამდე ასაკის ბავშვები ცხოვრობენ (შერჩევა ბ)**




ზრუნვაში დახმარებაზე წვდომა, იქნება ეს შინ მიღებული დახმარება თუ ზრუნვის გარე სერვისები ან მხარდაჭერა, არ ზემოქმედებს შრომის ბაზრის შრომაზე დახარჯული დროის ოდენობაზე, ერთი გამონაკლისის გარდა. როგორც ჩანს, ფუნქციური სირთულეების მქონე პირ(ებ)ის ყოფნა შინამეურნეობაში 6.4 საათით (382.8 წუთით) ამცირებს კაცების მიერ ყოველკვირეულად გაწეულ აუნაზღაურებელ შრომას. საინტერესოა, რომ შინამეურნეობაში სხვა შრომისუნარიანი ქალების ყოფნა ან ზრუნვაზე შინ მიღებული სხვა სახის დახმარება ამცირებს კაცების ყოველკვირეული აუნაზღაურებელი შრომის დროს, მაგრამ არ მოქმედებს იმ ქალების აუნაზღაურებელი შრომის დროზე, რომელთა შინამეურნეობებშიც მცირეწლოვანი ბავშვები ცხოვრობენ. სხვა სიტყვებით, თუ შინამეურნეობაში სხვა შრომისუნარიანი ქალები იმყოფებიან, მაშინ ამ შინამეურნეობებში მცხოვრები კაცები უფრო ნაკლებ საშინაო საქმეს აკეთებენ და ნაკლებ დროს ხარჯავენ ზრუნვის შრომაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქორწინება ზრდის ქალებისა და კაცების აუნაზღაურებელი შრომის დროს და, ასევე, იმ კაცების დროსაც, რომლებსაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ შინამეურნეობაში, თუმცა, ქალებს მნიშვნელოვნად მეტი აუნაზღაურებელი შრომის დრო ემატებათ, ვიდრე კაცებს.

ყველა შინამეურნეობისგან შემდგარი შერჩევის მსგავსად, აზერბაიჯანელი კაცები, რომლებსაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ შინამეურნეობაში, კვირაში 4 საათით (238.7 წუთით) ნაკლებს ატარებენ აუნაზღაურებელ საშინაო და ზრუნვის შრომაში, ვიდრე ეთნიკურად ქართველი კაცები მაშინ, როცა სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს თითქმის 17.9 საათით (1,076 წუთით) მეტი დროის დათმობა უწევთ აუნაზღაურებელი საშინაო და ზრუნვის შრომისთვის, ვიდრე ეთნიკურად ქართველ ქალებს. ეს, თავის მხრივ, შინამეურნეობებში შრომის განაწილებაზე კულტურული ნორმების გავლენაზე მეტყველებს.

თუ რეგიონების მიხედვით შევხედავთ ქალებისა და კაცების მიერ შესრულებული აუნაზღაურებელი შრომის დროის გადანაწილებას, აქაც ვნახავთ განსხვავებებს. ქალები და კაცები, რომელთაც შინამეურნეობაში მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ და თბილისის გარეთ ცხოვრობენ, განურჩევლად იმისა, იქნება ეს სხვა ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლება თუ სოფელი, უფრო ნაკლებ დროს უთმობენ აუნაზღაურებელ შრომას, ვიდრე დედაქალაქში, თბილისში მცხოვრები კაცები იმავე ტიპის შინამეურნეობიდან. ეს ოჯახების ნუკლეარიზაციით შეიძლება აიხსნას, რაც, თავის მხრივ, ურბანიზაციის შედეგია, განსაკუთრებით დედაქალაქში. ფართო ნათესაური კავშირები და უფრო მჭიდრო სათემო ურთიერთობები, როგორც წესი, პატარა ქალაქებსა და სოფლად უფრო ჩვეულია, რაც ქალებს ბავშვების მოვლაში მეზობლებისა და ნათესავების დახმარების მიღების საშუალებას აძლევს.

ზრუნვის ისეთი სხვა საჭიროებები, როგორიც ფუნქციური სირთულეების მქონე პირებს აქვთ, ამცირებს ქალების, მაგრამ არა – კაცების, ყოველკვირეულ თავისუფალ დროს. სხვა შრომისუნარიანი ქალების ყოფნა შინამეურნეობაში, როგორც ჩანს, მხოლოდ სხვა ქალების თავისუფალ დროზე ახდენს მნიშვნელოვან გავლენას. ზრუნვაში შინ მიღებული დახმარების შედეგად 3.8 საათით (227.6 წუთით) მატულობს ქალების ყოველკვირეული თავისუფალი დრო, ხოლო დასაქმებული მეუღლის პირობებში – 5.1 საათით (338.7 წუთით) მცირდება.

რაც შეეხება განათლების დონის ეფექტს, შეფასება აჩვენებს, რომ უფრო მეტად განათლებულ ქალებს (სულ მცირე, საშუალო განათლებით) უფრო ნაკლები თავისუფალი დრო აქვთ, ვიდრე არასრული საშუალო ან უფრო ნაკლები განათლების მქონეთ. ამის შესაძლო ახსნა შეიძლება ის იყოს, რომ როდესაც უფრო მეტად განათლებულ ქალებს მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, მეტი მოლოდინები აქვთ საკუთარი თავისა და საკუთარი დროის გამოყენებისადმი. ისინი უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შესრულებული სამუშაოს შედეგების ხარისხს, ანდა თვითრეალიზაციის კომპონენტებს ამა თუ იმ ამოცანის შესრულებისას, რაც, თავის მხრივ, სისუფთავის უფრო მაღალი სტანდარტის, ავადმყოფი ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების უკეთ მოვლის, მეტი კვებითი ღირებულების მქონე საჭმლის მომზადებისა და შვილების საქმიანობაში მეტი ჩართულობის სახით შეიძლება ვლინდებოდეს.[9]

ცხრილის N5.2 ბოლო ორ სვეტში იმ ქალებისა და კაცების SUR კოეფიციენტების შეფასებებია წარმოდგენილი, რომელთა შინამეურნეობებშიც ფუნქციური სირთულეების მქონე პირი ან პირები ცხოვრობენ (გ შერჩევა). შეფასებები გვიჩვენებს, რომ დამატებით 10-17 წლის ბავშვებზე ზრუნვის საჭიროება 338.7 წუთით ამცირებს ქალების მიერ შრომის ბაზრის შრომაში ყოველკვირეულად გატარებულ დროს, მაგრამ ზრუნვაში შინ გაწეულ დახმარებაზე წვდომა, პირიქით, – 263.8 წუთით ზრდის ამ დროს. დამატებითი ზრუნვის საჭიროებები ამის საპირისპიროდ მოქმედებს ქალების აუნაზღაურებელ შრომაზე: მცირეწლოვან და უფროსი ასაკის ბავშვებზე ზრუნვის დამატებითი დატვირთვა ზრდის ქალების მიერ აუნაზღაურებელ შრომაში გატარებულ დროს. სხვა შრომისუნარიანი ქალების ყოფნა შინამეურნეობაში ქალების ყოველკვირეული აუნაზღაურებელი შრომის დროსაც ამცირებს (9.7 საათით ანუ 584.3 წუთით) და კაცებისასაც (5 საათით ანუ 300 წუთით). სურათზე N5.3 მოცემულია გ შერჩევის ქალებისა და კაცების ყოველკვირეული ჯამური აუნაზღაურებელი შრომის (ორივე, ზრუნვისა და საშინაო შრომაში გატარებული) დროის კერნელის სიმჭიდროვე.

სურათი 5.3

**ძირითადი აქტივობებისთვის დახარჯული ყოველკვირეული ჯამური აუნაზღაურებელი შრომის (ზრუნვა და საშინაო საქმე) დროის კერნელის სიმჭიდროვე, იმ შინამეურნეობისთვის, რომლებშიც ფუნქციური სირთულეების მქონე პირ(ებ)ი ცხოვრობს/ცხოვრობენ (შერჩევა გ)**




კულტურული ნორმებიც შეიძლება მოქმედებდეს ქალების აუნაზღაურებელ შრომაზე. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები კვირაში 20 საათით (1202.9 წუთით) მეტს ატარებენ აუნაზღაურებელ შრომაში, ვიდრე ეთნიკურად ქართველი ქალები. გ შერჩევის რესპონდენტების ყოველკვირეული თავისუფალი დროის შეფასება აჩვენებს, რომ ქალების აუნაზღაურებელი შრომის დრო, რომელიც მატულობს დამატებითი ზრუნვის საჭიროებების გამო, კვირაში საშუალოდ 487 წუთით (8.1 საათით) ამცირებს მათ თავისუფალ დროს. რაც შეეხება სხვა მახასიათებლებს, SUR შეფასებები გვიჩვენებს, რომ ქალების თავისუფალი დროის ოდენობა მცირდება ასაკთან, დაოჯახებასა და უმაღლესი განათლების მიღებასთან ერთად. მეორე მხრივ, კაცების ყოველკვირეული თავისუფალი დრო საშუალოდ 483 წუთით (8 საათით) იკლებს, თუ მათი მეუღლეა დასაქმებული. ეს იმის შედეგია, რომ კაცები უფრო მეტ დროს გამოყოფენ შრომის ბაზრის შრომისთვის და არა – აუნაზღაურებელი შრომის აქტივობებისთვის.

## პარალელური და ზედამხედველობითი ზრუნვის საქმიანობები

დროის გამოყენების დეტერმინანტების ზემოთ განხილული SUR ანალიზი მხოლოდ ძირითად აქტივობებზე ახდენს ფოკუსირებას და არ ითვალისწინებს უშუალო ზრუნვის შრომის ორ მნიშვნელოვან მახასიათებელს: ის ხშირად სხვა აქტივობასთან ერთად ან მის პარალელურად სრულდება და მხოლოდ „აქტიურ“ ზრუნვას (მაგალითად, გამოკვებას, შემოსვას, კითხვას და ა. შ.) კი არ მოიცავს, არამედ ზედამხედველობით ზრუნვასაც.

პარალელური აქტივობის სახით ან ზედამხედველობითი ზრუნვის ფორმით გაწეულ უშუალო ზრუნვის შრომაში გენდერული განსხვავებების სანახავად ტობიტ რეგრესიული ანალიზი განვახორციელეთ. ასევე, ვნახეთ, რამდენად მოქმედებს ზრუნვის საჭიროებები და ზრუნვაში დახმარებაზე წვდომა პარალელური ზრუნვისა და ზედამხედველობითი ზრუნვის

აქტივობებზე ქალებისა და კაცების მიერ დახარჯულ დროზე. SUR ანალიზის მსგავსად, ტობიტ ანალიზიც სამი განსხვავებული შერჩევის გამოყენებით განვახორციელეთ: ყველა შინამეურნეობა (ა შერჩევა), შინამეურნეობები მცირეწლოვანი ბავშვებით (ბ შერჩევა) და შინამეურნეობები ფუნქციური სირთულეების მქონე პირ(ებ)ით (გ შერჩევა).[10] შედეგები წარმოდგენილია ცხრილში N5.3 და N5.4.

პარალელური აქტივობების განხორციელებაზე დახარჯული დროის დეტერმინანტების ტობიტ კოეფიციენტების შეფასებები მოცემულია ცხრილში N5.3. ქალების ფიქტიური კოეფიციენტები ა, ბ და გ შერჩევებისთვის აგებულ სამ ტობიტ მოდელში გვიჩვენებს, რომ პარალელური ზრუნვის შრომის აქტივობების ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად იზრდება, თუ რესპონდენტი ქალია, განურჩევლად მისი შინამეურნეობის ტიპისა. ფაქტობრივად, ქალები კვირაში საშუალოდ 8-დან (480 წუთიდან) 11.2 საათამდე (672.5 წუთამდე) დროს უთმობენ ზრუნვის შრომას მაშინ, როცა ამავდროულად ძირითადი, არაზრუნვითი საქმეებითაც არიან დაკავებულნი. ეს კარგად ეთანადება სხვა კვლევების შედეგებს, რომლებიც აჩვენებს, რომ ურთიერთგადამფარავი ან ერთდროული აქტივობების განხორციელება – რამდენიმე როლის ერთდროულად შესრულება, რათა ეყოთ მათ ხელთ არსებული დრო – ქალებისთვის დაძლევის სტრატეგიის ფუნქციას ასრულებს. ორივე, ა და გ შერჩევაში 10 წლამდე ასაკის ბავშვების ყოფნაც ძლიერ დადებით გავლენას ახდენს პარალელური ზრუნვის შრომის შესაბამისი აქტივობებისთვის დახარჯულ დროზე. ეს შედეგები თანხვდება დროის განაწილების პატერნებს, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილში N4.1, სადაც აუნაზღაურებელ ზრუნვაზე დახარჯული დრო მკვეთრად იზრდება, თუ გამოთვლებში პარალელურ აქტივობებსაც გავითვალისწინებთ. მცირეწლოვან ბავშვებიან შინამეურნეობებში (ბ შერჩევა) უფროსი ასაკის (10-17 წლის) ბავშვების ყოლაც კვირაში საშუალოდ 4.2 საათით (253.5 წუთით) ზრდის პარალელური ზრუნვის შრომის შესაბამის აქტივობებზე დახარჯულ დროს. ეს შედეგები ზრუნვის შრომის ინტენსიურ ბუნებაზე მიგვითითებს. ის იმდენად ბევრ დროს მოითხოვს, რომ ხშირად სხვა საქმიანობებთან ერთად ხორციელდება.[11]

**ცხრილი 5.3**

**შერჩეული მახასიათებლების საშუალო მარგინალური ეფექტები პარალელური ზრუნვის შრომის აქტივობების რეალურ ხანგრძლივობაზე, კვირაში წუთების რაოდენობით გამოსახული (პროცენტული წილის ცვლილება ფრჩხილებში), შინამეურნეობის ტიპის მიხედვით**

| | **შერჩევა ა** ყველა შინამეურნეობა | **შერჩევა ბ** შინამეურნეობები, რომლებშიც 5 წლამდე ასაკის ბავშვები ცხოვრობენ | **შერჩევა გ** შინამეურნეობები, რომლებშიც ფუნქციური სირთულეების პირ(ებ)ი ცხოვრობს/ ცხოვრობენ |
|---|---|---|---|
| მდედრობითი სქესი | 13 წუთი*** (230.6%) | 28 წუთი*** (239.5%) | 24 წუთი** (396.4%) |
| 10 წლამდე ასაკის ბავშვები შინამეურნეობაში | 20 წუთი*** (355.5%) | NS | 24 წუთი*** (389.5%) |
| 5-9 წლის ბავშვები შინამეურნეობაში | NS | 11 წუთი* (96.2%) | NS |
| 10-17 წლის ბავშვები შინამეურნეობაში | NS | 13 წუთი* (114.6%) | NS |

| | | | |
|---|---|---|---|
| ავადმყოფ/ მოხუცებულ პირზე ზრუნვაში დახმარება | NS | NS | -92 წუთი*** (-1,521.8%) |
| 15-74 წლის სხვა შრომისუნარიანი ქალები შინამეურნეობაში | -10 წუთი*** (-171.5%) | -17 წუთი* (-145.2%) | -16 წუთი** (-269.4%) |
| სამუშაო ძალის სტატუსი= დასაქმებული სრულ განაკვეთზე | NS | NS | NS |
| სამუშაო ძალის სტატუსი= დასაქმებული ნახევარ განაკვეთზე | -7 წუთი* (-120.8%) | NS | NS |
| სამუშაო ძალის სტატუსი= უმუშევარი | NS | -34 წუთი** (- 296.3%) | NS |
| ეთნიკური კუთვნილება= აზერბაიჯანელი | -90 წუთი*** (-1,600.6%) | -197 წუთი*** (-1,707.3%) | -82 წუთი*** (-1,358.1%) |
| ეთნიკური კუთვნილება= სომეხი | NS | -192 წუთი*** (-1,670.5%) | NS |
| ეთნიკური კუთვნილება=სხვა | NS | NS | -120 წუთი*** (-1,988.2%) |
| საცხოვრებელი ადგილი=სხვა ქალაქის ტიპის დასახლება | NS | NS | NS |
| საცხოვრებელი ადგილი=სოფელი | NS | NS | NS |

***აბრევიატურა:*** NS, სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი.

***შენიშვნები:***

* $p < 0.1$; ** $p < 0.05$; *** $p < 0.01$. ამოღებულია ცვლადი „არ არის სამუშაო ძალაში“ კატეგორიიდან „სტატუსი სამუშაო ძალაში“. სრული შეფასების შედეგები წარმოდგენილია დანართში 2.

ზრუნვაში შინ მიღებული დახმარება, როგორიცაა სხვა შრომისუნარიანი ქალები შინამეურნეობაში, ყველა ტიპის შინამეურნეობაში ამცირებს პარალელური ზრუნვის შრომის აქტივობების ხანგრძლივობას. უმუშევარი ინდივიდები უფრო ნაკლებ პარალელური ზრუნვის აქტივობას ახორციელებენ, ვიდრე დასაქმებული და სამუშაო ძალის შემადგენლობაში მყოფნი. წინამდებარე კვლევაში კულტურული ნორმები, რომლებიც, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს ზრუნვის შრომის გადანაწილების პატერნზე, ეთნიკური ჯგუფის ფიქტიური ცვლადების შეფასების სახით არის წარმოდგენილი. ეს შეფასებები გვიჩვენებს,

რომ აზერბაიჯანელთა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ინდივიდები მნიშვნელოვნად ნაკლებ დროს ატარებენ პარალელური ზრუნვის შრომაში, ვიდრე უმრავლესობის (ეთნიკური ქართველების) წარმომადგენლები. ასევე, ის ინდივიდები, რომლებსაც შინამეურნეობაში მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ და ეთნიკური სომხები არიან, ეთნიკურ ქართველებთან შედარებით, მნიშვნელოვნად ნაკლებ დროს უთმობენ რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას, მათ შორის, მეორე ადამიან(ებ)ზე ზრუნვის შრომას. ამ განსხვავებების სავარაუდო ახსნა ისაა, რომ ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი ჯერ კიდევ ინარჩუნებს მისი კულტურისთვის დამახასიათებელ ნათესაურ კავშირებზე ორიენტირებულ ასპექტებს. გაფართოებული ოჯახური ქსელი და ზრუნვის შრომის გაზიარების პრაქტიკები, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ თემებში, დიდ დახმარებას უწევს ამ შინამეურნეობებს და ამცირებს ურთიერთგადამფარავი ან პარალელური ზრუნვის შრომის აქტივობების რიცხვს.

ზედამხედველობითი ზრუნვის აქტივობებისთვის გამოყოფილი დროის შეფასებები წარმოდგენილია ცხრილში N5.4. განურჩევლად შინამეურნეობის ტიპისა, ქალები გაცილებით მეტ ზედამხედველობითი ზრუნვის შრომას ეწევიან, ვიდრე კაცები. ისინი ნებისმიერ შემთხვევაში ყოველკვირეულად საშუალოდ 13.6 საათს (818.4 წუთს) უთმობენ შრომის ამ ნაირსახეობას იმ შინამეურნეობებში, რომლებშიც ფუნქციური სირთულეების მქონე პირ(ებ)ი ცხოვრობს/ცხოვრობენ. ხოლო მცირეწლოვან ბავშვებიან შინამეურნეობების პირობებში ეს მაჩვენებელი კვირაში საშუალოდ 17.8 საათს (1,065.4 წუთს) აღწევს. ყოველკვირეული ზედამხედველობითი ზრუნვის დროც საშუალოდ 15.2 საათით (910.4 წუთით) მატულობს, როდესაც შინამეურნეობას 10 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავს, ხოლო ფუნქციური სირთულეების მქონე პირ(ებ)ის შემთხვევაში ეს მატება 13.5 საათს (810.2 წუთს) შეადგენს. თუ ზრუნვაში გარედან მიღებული დახმარება მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ზედამხედველობით ზრუნვის დროზე, შინამეურნეობაში სხვა შრომისუნარიანი ქალების ყოფნა ყველა ტიპის შინამეურნეობაში ამცირებს ამ დროს. კერძოდ, კვირაში საშუალოდ 7.2 საათით (430.2 წუთით) მცირდება ზედამხედველობით ზრუნვაზე დახარჯული დრო იმ შინამეურნეობებში, რომლებშიც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ და 8.9 საათით (533.8 წუთით) – იქ, სადაც ფუნქციური სირთულეების მქონე პირები ცხოვრობენ.

ცხრილი 5.4

**შერჩეული მახასიათებლების საშუალო მარგინალური ეფექტები ჯამური ზედამხედველობითი ზრუნვის შრომის აქტივობების რეალურ ხანგრძლივობაზე, კვირაში წუთების რაოდენობით გამოსახული (პროცენტული წილის ცვლილება ფრჩხილებში), შინამეურნეობის ტიპის მიხედვით**

| | **შერჩევა ა** ყველა შინამეურნეობა | **შერჩევა ბ** შინამეურნეობები, რომლებშიც 5 წლამდე ასაკის ბავშვები ცხოვრობენ | **შერჩევა გ** შინამეურნეობები, რომლებშიც ფუნქციური სირთულეების პირ(ებ)ი ცხოვრობს/ცხოვრობენ |
|---|---|---|---|
| მდედრობითი სქესი | 279 წუთი*** (146.2%) | 498 წუთი*** (181.0%) | 430 წუთი*** (101.5%) |
| 10 წლამდე ასაკის ბავშვები შინამეურნეობაში | 303 წუთი*** (158.8%) | NS | NS |
| 5-9 წლის ბავშვები შინამეურნეობაში | NS | NS | NS |
| 10-17 წლის ბავშვები შინამეურნეობაში | NS | NS | NS |
| ფუნქციური სირთულეების მქონე პირები შინამეურნეობაში | 269 minutes*** (141.3%) | NS | NS |
| 10 წლამდე ასაკის ბავშვები შინამეურნეობაში, რომლებსაც ზედამხედველობენ[a] | NS | NS | NS |
| 15-74 წლის სხვა შრომისუნარიანი ქალები შინამეურნეობაში | -121 წუთი*** (-63.8%) | -201 წუთი*** (-73.1%) | -280 წუთი*** (-66.2%) |
| სამუშაო ძალის სტატუსი= დასაქმებული სრულ განაკვეთზე | -121 წუთი*** (-63.5%) | -156 წუთი*** (-56.8%) | -129 წუთი* (-30.5%) |
| სამუშაო ძალის სტატუსი= დასაქმებული ნახევარ განაკვეთზე | -122 წუთი*** (-63.9%) | -161 წუთი** (-58.5%) | NS |
| სამუშაო ძალის სტატუსი= უმუშევარი | -99 წუთი*** (-52.0%) | -110 წუთი* (-40.0%) | NS |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაოჯახებული | -105 წუთი*** (-55.2%) | 110 წუთი** (39.9%) | NS |
| მეუღლეა დასაქმებული | NS | NS | NS |
| ეთნიკური კუთვნილება= აზერბაიჯანელი | NS | NS | NS |
| ეთნიკური კუთვნილება= სომეხი | NS | NS | NS |
| ეთნიკური კუთვნილება=სხვა | NS | NS | NS |
| საცხოვრებელი ადგილი=სხვა ქალაქის ტიპის დასახლება | 40 წუთი* (21.1%) | 99 წუთი** (36.0%) | 158 წუთი** (37.2%) |
| საცხოვრებელი ადგილი=სოფელი | 67 წუთი** (35.1%) | NS | 258 წუთი*** (60.9%) |

***აბრევიატურა:*** NS, სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი.

***შენიშვნები:***

*a* ეს არის ურთიერთქმედების ცვლადი, რომელიც მიღებულია 10 წლამდე ასაკის ბავშვის ყოლისა და რესპონდენტის მიერ გაცემული „დიახ" პასუხის კომბინაციით, GTUS-ის H03 კითხვაზე: „თქვენი 10 წლამდე ასაკის რომელიმე შვილი დადის ბაგაში ან ბაღში, ან ხანგრძლივი შეთანხმების საფუძველზე უვლის მას სხვა პიროვნება (რომელიც არ მიეკუთვნება თქვენს შინამეურნეობას) ან სხვა დაწესებულება?"

* $p < 0.1$; ** $p < 0.05$; *** $p < 0.01$. სრული შეფასების შედეგები წარმოდგენილია დანართში 2.

სამუშაო ძალის სტატუსი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მოქმედებს ზედამხედველობით ზრუნვაში გატარებული დროის ოდენობაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, დასაქმებულ ინდივიდებს, განურჩევლად იმისა, ისინი სრულ განაკვეთზე მუშაობენ თუ ნახევარზე, და უმუშევარ ინდივიდებს ა (ყველა შინამეურნეობა) და ბ შერჩევიდან (შინამეურნეობები, რომლებსაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ) უფრო ნაკლები ზედამხედველობითი ზრუნვის შრომა უწევთ, ვიდრე მათ, ვინც არ არის სამუშაო ძალის შემადგენლობაში. გ შერჩევაში (შინამეურნეობები, რომლებშიც ფუნქციური სირთულეების მქონე პირ(ებ)ი ცხოვრობს/ცხოვრობენ) მხოლოდ დასაქმებულ ინდივიდებს უწევთ ნაკლები ზედამხედველობითი ზრუნვის შრომა, ვიდრე მათ, ვინც არ არის სამუშაო ძალის შემადგენლობაში. ა შერჩევაში (ყველა შინამეურნეობა) ქორწინებაში ყოფნა ამცირებს ზედამხედველობით ზრუნვაში გატარებულ დროს, თუმცა ზრდის მას სამუშაო ასაკის ქალებისა და კაცებისათვის ბ შერჩევაში (შინამეურნეობები, რომლებშიც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ). ინდივიდები ყველა ტიპის შინამეურნეობიდან, რომლებიც სხვა ქალაქის ტიპის დასახლებაში ან სოფლად ცხოვრობენ (გამონაკლისს წარმოადგენენ ბ შერჩევის სოფლად მცხოვრები რესპონდენტები), უფრო მეტ ზედამხედველობითი ზრუნვის შრომას ეწევიან, ვიდრე თბილისში, დედაქალაქში მცხოვრებნი. ის ფაქტი, რომ ქალები ზრუნვის შრომის მნიშვნელოვან ნაწილს პარალელური და ზედამხედველობითი ზრუნვის აქტივობების სახით ეწევიან, გვიჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქალების მიერ გაწეული ზრუნვის შრომის დატვირთვას აუნაზღაურებელი ეკონომიკური წვლილის ზუსტად/ზედმიწევნით გაზომვაში.

# 5.3 დროითი სიღარიბე ქალებსა და კაცებში

ემპირიული ანალიზის ამ ნაწილში საქართველოში ქალებსა და კაცებში დროითი სიღარიბის სიხშირეს განვიხილავთ. წინამდებარე კვლევაში ითვლება, რომ ინდივიდი დროით სიღარიბეში იმყოფება, თუ მას, ხანგრძლივი სამუშაო საათების გამო, არ აქვს დრო სათანადო დასვენებისა და გართობისთვის. ერთი მხრივ, შემოსავლის ქონის და, მეორე მხრივ, შინამეურნეობის მოვლისა და ოჯახის წევრებზე ზრუნვის საჭიროებებს შორის ბალანსის მიღწევის მცდელობებში ადამიანები ქრონიკულად ხანგრძლივად და ბევრს მუშაობენ. დეპრივაციის ეს ნაკლებად შემჩნეული და აღიარებული ფორმა, რომელიც სოციალიზაციისა და დასვენებისთვის დროის უქონლობასაც მოიაზრებს, სერიოზულ გავლენას ახდენს ინდივიდის ჯანმრთელობასა და ფუნქციონირებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ დროითი სიღარიბის რამდენიმე განმარტება არსებობს ლიტერატურაში, წინამდებარე ანგარიშში ბარდასისა და უოდონის (Bardasi and Wodon 2006) მიერ შემოთავაზებული მარტივი ვერსიაა გამოყენებული. პიროვნება დროითი სიღარიბის მდგომარეობაშია, თუ მისი ძირითადი აქტივობის დრო, რომელსაც იგი შრომის ბაზრის შრომას, აუნაზღაურებელ საშინაო შრომასა და აუნაზღაურებელ ზრუნვის შრომას უთმობს ამა თუ იმ მოცემული კვირის განმავლობაში, სამუშაო დროის გარკვეულ ზღვარს აჭარბებს.[12] დროითი სიღარიბის ზღვრის არჩევისადმი კვლევის შედეგების სენსიტიურობის შესამოწმებლად, სხვადასხვა განმარტებაზე დაყრდნობით, სამი სხვადასხვა მაჩვენებელი შევაფასეთ.

ვინაიდან არ არსებობს დროითი სიღარიბის ერთი კონკრეტული დაწესებული ზღვარი, სამი ალტერნატიული დროითი სიღარიბის ზღვარი გამოვიყენეთ: დროითი სიღარიბის დაბალი ზღვარი კვირაში 60 საათი (3,600 წუთი) ჯამური სამუშაო დროა, საშუალო, ზომიერი ზღვარი – 71 საათი (4,260 წუთი), რაც ინდივიდების ჯამური სამუშაო დროის განაწილების ზედა კვარტილში ყოფნის ნიშნულს წარმოადგენს; რაც შეეხება ყველაზე მაღალ, მკაცრ ზღვარს, ის 82.5 საათის (4,950 წუთის) ტოლია და ინდივიდების ჯამური სამუშაო დროის განაწილების ზედა დეცილის ნიშნულია.[13] დაბალი ზღვრის შემთხვევაში, რომელსაც *დროითღარიბი1* ვუწოდეთ, ითვლება, რომ პიროვნება „დროით სიღარიბეშია", თუ ის ჯამურ ძირითად (ანაზღაურებად და აუნაზღაურებელ) შრომით საქმიანობაში კვირაში 60 საათზე (3,600 წუთზე) მეტს ატარებს. ალტერნატიული საზომებია (ა) ზომიერი დროითი სიღარიბე ანუ *დროითღარიბი2*, როდესაც ინდივიდის ჯამური სამუშაო დრო ჯამური შრომის განაწილების ზედა კვარტილში თავსდება და (ბ) მაღალი დროითი სიღარიბე ანუ *დროითღარიბი3*, როდესაც ინდივიდის ჯამური სამუშაო დრო ჯამური შრომის განაწილების ზედა დეცილშია.

ცხრილი N5.5 ყველა შინამეურნეობიდან (ა შერჩევა) იმ ქალებისა და კაცების წილს გვიჩვენებს, რომლებიც, სამი ალტერნატიული საზომის მიხედვით, დროით სიღარიბეში იმყოფებიან. პროცენტული მაჩვენებლების მისაღებად, ყველა შეფასება 100-ზეა გამრავლებული. გენდერული განსხვავებების სანახავად, დროითი სიღარიბის სიხშირეები სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვითაც არის ჩაშლილი. დროითი სიღარიბის კვირაში 60 საათიანი ზღვრის გამოყენების პირობებში, საქართველოში ქალების 52 და კაცების 40.9 პროცენტი დროით სიღარიბეში ცხოვრობს. დროითი სიღარიბის უფრო მაღალი ზღვრის – კვირაში 71 საათის – შემთხვევაში მაჩვენებელი ქალებში 29.6 პროცენტამდე მცირდება, ხოლო კაცებში – 20.9 პროცენტამდე. თუ ზღვარს კვირაში 82.5 საათამდე ავწევთ, დროითი სიღარიბის მაჩვენებლები ქალებში 11.3 პროცენტამდე იკლებს, ხოლო კაცებში – 8.9 პროცენტამდე. განურჩევლად იმისა, თუ რომელ განსაზღვრებას ვიყენებთ, ქალების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება კაცებისას.

სურათზე N5.4 მოცემულია ყველა შინამეურნეობის (ა შერჩევის) ქალებისა და კაცების ყოველკვირეული ჯამური შრომის დროის (რომელსაც ისინი შრომის ბაზრის და აუნაზღაურებელ შრომაში ატარებენ) კერნელის სიმჭიდროვე.

**ცხრილი 5.5**

## დროითი სიღარიბის მდგომარეობაში მყოფი ყველა შინამეურნეობის რესპონდენტთა წილი, დროითი სიღარიბის დონის, სქესისა და სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით (პროცენტებით)

| | ქალები | კაცები |
|---|---|---|
| 1 **დროითი სიღარიბე:** ჯამური სამუშაო დრო აჭარბებს კვირაში 3,600 წუთს (60 საათს) | | |
| ჯამში | 52.4 | 40.9*** |
| დასაქმებული სრულ განაკვეთზე | 72.1 | 58.0*** |
| დასაქმებული ნახევარ განაკვეთზე | 56.3 | 46.7** |
| უმუშევარი | 32.1 | 9.6*** |
| არ არის სამუშაო ძალის შემადგენლობაში | 40.8 | 14.1*** |
| 2 **ზომიერი დროითი სიღარიბე:** ჯამური სამუშაო დრო ზედა კვარტილში, სულ მცირე, 4,260 წუთი (71 საათი) კვირაში | | |
| ჯამში | 29.6 | 20.9*** |
| დასაქმებული სრულ განაკვეთზე | 45.0 | 32.4*** |
| დასაქმებული ნახევარ განაკვეთზე | 33.0 | 21.9*** |
| უმუშევარი | 19.6 | 4.2*** |
| არ არის სამუშაო ძალის შემადგენლობაში | 18.7 | 3.7*** |
| 3 **მძიმე დროითი სიღარიბე:** ჯამური სამუშაო დრო ზედა დეცილში, სულ მცირე, 4,950 წუთი (82.5 საათი) კვირაში | | |
| ჯამში | 11.3 | 8.9** |
| დასაქმებული სრულ განაკვეთზე | 19.8 | 13.8** |
| დასაქმებული ნახევარ განაკვეთზე | 15.0 | 9.2** |
| უმუშევარი | 5.4 | 2.4 |
| არ არის სამუშაო ძალის შემადგენლობაში | 4.9 | 1.6** |

***შენიშვნა:*** მდედრობითი-მამრობითი სხვაობა განსხვავდება 0-სგან: *** სანდოობის 1 პროცენტიან დონეზე, ** სანდოობის 5 პროცენტიან დონეზე და * სანდოობის 10 პროცენტიან დონეზე.

სურათი 5.4

**ყოველკვირეული ჯამური შრომის (შრომის ბაზარი და აუნაზღაურებელი შრომა) დროის კენდელის სიმჭიდროვე ყველა შერჩეულ შინამეურნეობაში (შერჩევა ა)**




ცხრილი N5.5 სხვადასხვა სამუშაო ძალის სტატუსის მქონე ქალი და კაცი რესპონდენტების დროითი სიღარიბის მაჩვენებლებსაც წარმოგვიდგენს. სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით გამოყოფილ ყველა ქვეჯგუფში ქალები სჭარბობენ კაცებს და ეს თანაფარდობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს უმუშევართა ჯგუფი, რომელიც უკიდურეს დროით სიღარიბეში იმყოფება. საინტერესოა, რომ როდესაც ვიყენებთ განსაზღვრებას *დროითღარიბი1* და *დროითღარიბი2*, გენდერული დროითი სიღარიბის სხვაობა უდიდეს ნიშნულს უმუშევართა ქვეჯგუფში აღწევს და არა - მათთან, ვინც სამუშაო ძალის ნაწილია. ეს გვაფიქრებინებს, რომ მართალია, ქალები ვერ ახერხებენ სამსახურის პოვნას, ან არ მონაწილეობენ შრომის ბაზარზე, მათ მაინც გრძელი სამუშაო დღე აქვთ და ბევრი საათის განმავლობაში უწევთ მუშაობა. ეს ნიშნავს იმას, რომ ქალების შესაძლებლობა, ჩაერთონ სამუშაო ძალაში ან იპოვონ სამსახური შრომის ბაზარზე, მჭიდროდ უკავშირდება აუნაზღაურებელ საშინაო და ზრუნვის შრომას, რომელიც ტვირთად აწევთ მხრებზე. სხვადასხვა სამუშაო ძალის სტატუსის ქვეჯგუფებში მოხვედრილ ქალებსა და კაცებს შორის სხვაობა მცირდება, თუ დაბალი ზღვრიდან უმაღლესზე გადავინაცვლებთ. უკიდურეს დროით სიღარიბეში მყოფ ინდივიდთა შორის გენდერული დროითი სიღარიბის სხვაობა უმაღლეს ნიშნულს სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა ქვეჯგუფში აღწევს.

პრობიტ რეგრესიული მოდელები ავაგეთ იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად არის შესაძლებელი დროით სიღარიბეში აღმოჩენის ალბათობის ახსნა როგორც იმ ინდიკატორებით, რომლებითაც წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია ზრუნვის საჭიროებები და ზრუნვაში დახმარება, ისე - ინდივიდისა და შინამეურნეობის მახასიათებლებით.[14]

ცხრილი N5.6 გვიჩვენებს დროითი სიღარიბის შემთხვევათა განმსაზღვრელ პრობიტ მარგინალურ ეფექტებს, რომლებიც სამი ალტერნატიული საზომის გამოყენებით არის გამოთვლილი. *დროითღარიბი1* და *დროითღარიბი2* საზომების პირობებში, მარგინალუ-

რი ეფექტები გვიჩვენებს, რომ, ყველა სხვა თანაბარ პირობაში, ქალებს 22.-24 პროცენტით მეტი ალბათობა აქვთ, რომ დროით სიღარიბეში აღმოჩნდნენ, ვიდრე კაცებს. ეს კარგად ეთანადება და განამტკიცებს როგორც ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის შედეგებს, ისე - სხვა კვლევების შედეგებს, რომლებიც ქალების გახანგრძლივებული სამუშაო საათებით ინტერესდება. ზრუნვაზე შინ ხელმისაწვდომი დახმარების პირობებში, მეორე მხრივ, 18 (დაბალი ზღვრის პირობებში) და 12.7 (ზომიერი ზღვრის პირობებში) პროცენტით მცირდება დროით სიღარიბეში აღმოჩენის ალბათობა. ასევე, დროითი სიღარიბის ალბათობა მატულობს იმ შემთხვევებში, თუ რესპონდენტი დაოჯახებულია და პროფესიული განათლება მაინც აქვს მიღებული, მათთან შედარებით, ვინც არ იმყოფება ქორწინებაში და უფრო დაბალია მისი განათლების დონე. საქართველოში, სხვა საშუალო შემოსავლიან ქვეყნებთან შედარებით, ქალებისა და კაცების შედარებით მაღალი განათლების დონის პირობებში, განათლების დონის ეფექტი მოულოდნელი და გასაკვირი არ ყოფილა.

**ცხრილი 5.6**

**პრობიტ მარგინალური ეფექტები: დროითი სიღარიბის მდგომარეობაში ყოფნის ალბათობა (ყველა შინამეურნეობა), დროთი სიღარიბის დონის მიხედვით**

| | **დროითი სიღარიბე** *(დროითღარიბი1)* | **ზომიერი დროითი სიღარიბე** *(დროითღარიბი2)* | **მძიმე** *(დროითღარიბი3)* |
|---|---|---|---|
| მდედრობითი სქესი | 0.2197*** (0.0646) | 0.2465*** (0.0686) | 0.0679 (0.0862) |
| 10 წლამდე ასაკის ბავშვები შინამეურნეობაში | 0.0483 (0.0621) | 0.0611 (0.0649) | -0.0216 (0.0797) |
| 10-17 წლის ბავშვები შინამეურნეობაში | 0.0483 (0.0621) | 0.0611 (0.0649) | -0.0216 (0.0797) |
| ფუნქციური სირთულეების მქონე პირები შინამეურნეობაში | -0.0181 (0.0667) | -0.0012 (0.0725) | 0.0367 (0.0878) |
| 10 წლამდე ასაკის ბავშვები შინამეურნეობაში, რომელთაც ზედამხედველობენ | 0.0952 (0.0876) | 0.0909 (0.0907) | -0.0376 (0.1137) |
| 15-74 წლის სხვა შრომისუნარიანი ქალები შინამეურნეობაში | -0.1805** (0.0733) | -0.1272* (0.0765) | -0.0488 (0.0947) |
| ასაკი | 0.0293 (0.0250) | 0.0106 (0.0267) | 0.0393 (0.0334) |
| ასაკის კვადრატი | -0.0004 (0.0003) | -0.0001 (0.0003) | -0.0004 (0.0004) |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაოჯახებული | 0.2392***<br>(0.0823) | 0.2633***<br>(0.0917) | 0.1782<br>(0.1169) |
| მეუღლეა დასაქმებული | 0.1296**<br>(0.0640) | 0.0159<br>(0.0671) | 0.1371*<br>(0.0820) |
| განათლება= საშუალო | 0.2591<br>(0.1726) | 0.4650**<br>(0.2005) | 0.0923<br>(0.2232) |
| განათლება= პროფესიული | 0.4322**<br>(0.1800) | 0.5831***<br>(0.2067) | 0.3683<br>(0.2308) |
| განათლება= უმაღლესი | 0.4176**<br>(0.1775) | 0.5477***<br>(0.2043) | 0.1435<br>(0.2276) |
| ეთნიკური კუთვნილება= აზერბაიჯანელი | -0.0183<br>(0.1279) | 0.1030<br>(0.1406) | 0.2141<br>(0.1754) |
| ეთნიკური კუთვნილება= სომეხი | -0.1549<br>(0.1756) | -0.2864<br>(0.1813) | -0.3119<br>(0.2575) |
| ეთნიკური კუთვნილება=სხვა | 0.1345<br>(0.1621) | 0.1381<br>(0.1726) | 0.1925<br>(0.2168) |
| საცხოვრებელი ადგილი=სხვა ქალაქის ტიპის დასახლება | -0.2930***<br>(0.0726) | -0.2646***<br>(0.0765) | -0.2678***<br>(0.0905) |
| საცხოვრებელი ადგილი=სოფელი | -0.1012<br>(0.0748) | -0.1788**<br>(0.0782) | -0.3666***<br>(0.0997) |
| ხანგრძლივი ავადმყოფობა | -0.1085<br>(0.0918) | 0.0481<br>(0.0980) | 0.0250<br>(0.1226) |
| კონსტანტა | -1.2624**<br>(0.5766) | -1.6559***<br>(0.6193) | -2.4813***<br>(0.7479) |
| *N* | 2,610 | 2,610 | 2,610 |

***შენიშვნა:*** * $p < 0.1$; ** $p < 0.05$; *** $p < 0.01$. გამოტოვებული კატეგორიები: განათლება=საბაზო (არასრული საშუალო) ან უფრო ნაკლები; ეთნიკური კუთვნილება=ქართველი; საცხოვრებელი ადგილი=თბილისი.

ცხრილში N5.6 მაღალი ზღვრის (რომელიც, თავის მხრივ, ინდივიდის მიერ კვირაში ჯამურად ნამუშევარი საათების საფუძველზე ფასდება) გამოყენებით განსაზღვრული დროითი სიღარიბის პირობებში მიღებული შედეგებიც არის წარმოდგენილი. მარგინალური ეფექტი აღარ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ისევე, როგორც ზრუნვაში შინ მიღებული დახმარების, განათლებისა და ქორწინებაში ყოფნის მარგინალური ეფექტები. ასეთი შედეგი არ არის გასაკვირი, ვინაიდან მარგინალურ ნიშნულზე ჯამური სამუშაო დროის მატება, სავარაუდოდ, იმის შედეგია, რომ გარკვეულ პოზიციებზე და საქმიანობების პირობებში ქალები და კაცები ამჯობინებენ ან ვალდებულნი არიან, დიდხანს იმუშაონ (გრძელი სამუშაო დღე ჰქონდეთ).

განურჩევლად იმისა, თუ რომელი საზომია გამოყენებული, შინამეურნეობაში 10 წლამდე ასაკის ბავშვების ყოფნა ზრდის დროით სიღარიბეში ყოფნის ალბათობას მაშინ, როცა ქალაქის ტიპის სხვა დასახლებებში მცხოვრებ ინდივიდთა შორის უფრო ნაკლებია დროითი სიღარიბის შემთხვევები, ვიდრე თბილისის მცხოვრებთა შორის. სოფლად მცხოვრებ ინდივიდებსაც ნაკლები შანსი აქვთ, რომ ზომიერ ან უკიდურეს დროით სიღარიბეში მოუწიოთ ცხოვრება.

# 5.4 დროითი სიღარიბისა და სიჩქარის განცდის ურთიერთმიმართება

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დროითი სიღარიბის საზომები ქალებისა და კაცების მიერ ძირითად შრომით საქმიანობებში დახარჯულ ჯამურ დროს ეფუძნება.[15] ეს საზომები არ ითვალისწინებს გამოცდილების განზომილებას ანუ იმას, თუ რეალურად როგორ ანაწილებენ ადამიანები საკუთარ დროს. გამოცდილებითი კარგად ყოფნის ცნება ფოკუსირდება ემოციებზე, რომლებსაც ადამიანები ყოველ მოცემულ მომენტში განიცდიან ყოველდღიურ ცხოვრებაში.[16] ის კარგად ყოფნის განცდის კონკრეტულ ასპექტს შეეხება და არა მხოლოდ პიროვნების მიმდინარე „საქმეებსა და მდგომარეობებს“ (ფუნქციონირების ელემენტებს) მოიცავს, რომლებიც დაკვირვებად მიღწევებს (როგორიცაა ჯანსაღი სხეული ან საინტერესო სამსახური) წარმოადგენს და პიროვნებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევა, არამედ მის თავისუფლებასაც (შესაძლებლობებს) – ფუნქციონირების ელემენტების რეალური შესაძლებლობებისა თუ ალტერნატივების მთელ დიაპაზონსაც მოიაზრებს, რომლებსაც იგი თავად თვლის ღირებულად.[17] თუმცა, ინდივიდის მცდელობა, გამოიყენოს ასეთი შესაძლებლობები, ან უბრალოდ „იყოს“ (მაგალითად, დაკავდეს სპორტით, შეხვდეს მეგობრებს, იცეკვოს და ა. შ.), შეიძლება „ფრუსტრირებული“ აღმოჩნდეს რესურსების ან დროის უქონლობის გამო. მაგალითად, ქალს შეიძლება მეტი დროის გატარება სურდეს თავის მშობლებთან, ან სოციალურ შეკრებებზე უნდოდეს წასვლა, მაგრამ აქვს განცდა, რომ ეჩქარება, ან დრო არ აქვს, შინამეურნეობაში დაკისრებული ისეთი პასუხისმგებლობების გამო, როგორიცაა ბავშვების მოვლა და ოჯახისთვის სადილის მომზადება.

წინამდებარე კვლევაში სანდო საზომების გამოყენებით შევამოწმეთ, რამდენად უკავშირდება დროზე დაფუძნებული ინდიკატორები იმ დაძაბულობასა და სტრესს, რომელსაც ინდივიდები ყოველდღიურად დიდხანს მუშაობითა და დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში რამდენიმე საქმის კეთების აუცილებლობიდან გამომდინარე განიცდიან. უფრო კონკრეტულად, განვახორციელეთ მულტინომიური ლოგარითმული ანალიზი, რათა განგვესაზღვრა, ასოცირდება თუ არა დროითი სიღარიბის მაჩვენებლები სიჩქარის განცდასთან. ამისათვის გამოვიყენეთ GTUS-ის მოდულის ერთ-ერთი კითხვა (I28): „რამდენად ხშირად ჩქარობთ? თქვენი აზრით თქვენ...“ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კოეფიციენტი პასუხზე „ყოველთვის ვჩქარობ“ ან, პირიქით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კოეფიციენტი დანარჩენ ორ სავარაუდო პასუხზე - „ზოგჯერ ვჩქარობ“ და „არასდროს ვჩქარობ“ - გვიჩვენებდა, რომ ჩვენი დროზე დაფუძნებული ინდიკატორები გამოსადეგია ინდივიდის კარგად ყოფნის განცდის განსასაზღვრად/გამოსავლენად.

სიჩქარის განცდისა და დროითი სიღარიბის დაბალი ზღვრის საზომს, *დროით ღარიბი1*-ის ურთიერთმიმართების შესაფასებლად მულტინომიური ლოგარითმული შეფასება გამოვიყენეთ. ამ ანალიზში, ასევე, გავითვალისწინეთ ინდივიდის სქესი, ცხოვრების ციკლის სტადია, ოჯახური მდგომარეობა, განათლების დონე, ეთნიკური კუთვნილება, საცხოვრებელი ადგილი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.[18] ცვლადების საშუალო მნიშვნელობებზე დაყრდნობით გამოთვლილი მარგინალური ეფექტების ტერმინებით აღწერილი შეფასების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში N5.7. შეფასებისას დროითი სიღარიბის დაბალი ზღვარი - კვირაში 60 სამუშაო საათი - გამოვიყენეთ.

ცხრილი 5.7

## მულტინომიური ლოგისტიკური მარგინალური ეფექტები: დროითი სიღარიბისა და სიჩქარის განცდის ურთიერთკავშირი[a]

| | ყოველთვის აქვს განცდა, რომ ეჩქარება (k = 1) | ხანდახან აქვს განცდა, რომ ეჩქარება (k = 2) | არასოდეს გრძნობს, რომ ეჩქარება (k = 3) |
|---|---|---|---|
| დროითღარიბი1 | 0.1225*** (0.0217) | -0.0616*** (0.0225) | -0.0610*** (0.0168) |
| მდედრობითი სქესი | 0.0807*** (0.0219) | -0.0287 (0.0229) | -0.0521*** (0.0174) |
| ასაკი | 0.0090 (0.0093) | -0.0054 (0.0095) | -0.0036 (0.0071) |
| ასაკის კვადრატი | -0.0001 (0.0001) | 0.0000 (0.0001) | 0.0001 (0.0001) |
| დაოჯახებული | -0.0017 (0.0301) | 0.0034 (0.0316) | -0.0017 (0.0233) |
| მეუღლეა დასაქმებული | 0.0236 (0.0248) | -0.0213 (0.0253) | -0.0023 (0.0189) |
| განათლება= საბაზო/ არასრული საშუალო | -0.1848*** (0.0605) | 0.0284 (0.0699) | 0.1564** (0.0690) |
| განათლება= პროფესიული | -0.1287** (0.0599) | -0.0176 (0.0770) | 0.1464* (0.0871) |
| განათლება= უმაღლესი | -0.0967 (0.0638) | -0.0440 (0.0717) | 0.1406* (0.0751) |
| ეთნიკური კუთვნილება= აზერბაიჯანელი | -0.2608*** (0.0288) | -0.1096** (0.0500) | 0.3703*** (0.0523) |
| ეთნიკური კუთვნილება= სომეხი | 0.1263* (0.0706) | -0.1923*** (0.0570) | 0.0661 (0.0629) |
| ეთნიკური კუთვნილება= სხვა | 0.0584 (0.0662) | 0.0338 (0.0670) | -0.0922*** (0.0353) |
| საცხოვრებელი ადგილი=სხვა ქალაქის ტიპის დასახლება | -0.0229 (0.0273) | 0.0336 (0.0288) | -0.0106 (0.0213) |
| საცხოვრებელი ადგილი= სოფელი | 0.0109 (0.0281) | -0.0233 (0.0293) | 0.0124 (0.0221) |

| | | | |
|---|---|---|---|
| ხანგრძლივი ავადმყოფობა | 0.0515<br>(0.0357) | -0.0670*<br>(0.0357) | 0.0155<br>(0.0283) |
| *N* | 2,610 | 2,610 | 2,610 |

***შენიშვნები:***

[a] გამოყენებულია დროითი სიღარიბის ქვედა ზღვარი.

* $p < 0.1$; ** $p < 0.05$; *** $p < 0.01$. სტანდარტული შეცდომები ფრჩხილებშია მოცემული. გამოტოვებული ფიქტიური ცვლადის კატეგორიები: განათლება=საბაზო (არასრული საშუალო) ან ნაკლები; ეთნიკური კუთვნილება=ქართველი; საცხოვრებელი ადგილი=თბილისი.

ჩვენი ანალიზი „ყოველთვის მაქვს განცდა, რომ მეჩქარება“ პასუხზე ახდენს ფოკუსირებას. ცხრილში N5.7 მოცემული მარგინალური ეფექტის შეფასებების მიხედვით, მოსალოდნელია, რომ ინდივიდის „ყოველთვის ექნება განცდა, რომ ეჩქარება“, თუ ის დროით სიღარიბეში იმყოფება ან ქალია. ფაქტობრივად, მარგინალური ეფექტის შეფასება გვიჩვენებს, რომ დროით სიღარიბეში ყოფნა ალბათობას 12 პროცენტით ზრდის მაშინ, როცა მდედრობითი სქესისადმი კუთვნილებას მხოლოდ 8 პროცენტიანი ზრდა სდევს თან. პროფესიული და საშუალო განათლების მქონე ინდივიდებთან და მათთან, ვინც აზერბაიჯანელების ან სომხების ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება, მეორე მხრივ, ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ ყოველთვის ექნებათ განცდა, რომ ეჩქარებათ. სამუშაო ასაკის ქალებს 5 პროცენტით მეტი შანსი აქვთ, რომ ყოველთვის ჰქონდეთ განცდა, რომ ეჩქარებათ, ვიდრე კაცებს, ხოლო პროფესიული და საშუალო განათლების მქონე და, ასევე, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ინდივიდები ნაკლებად აღმოჩნდებიან ამ მდგომარეობაში.

ზემოთ მოცემული შედეგები მიგვითითებს, რომ დროის გამოყენების შესახებ მონაცემებზე დაყრდნობით დროითი სიღარიბის შეფასება ინდივიდის კარგად ყოფნის განცდის შესახებ ისეთ ინფორმაციას გვაწვდის, რომელსაც სხვა ტრადიციული ეკონომიკური ინდიკატორები ვერ უზრუნველყოფენ. ასევე, გვაფიქრებინებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი გენდერული უთანასწორობა, რომელიც უარყოფითად ზემოქმედებს ქალების კარგად ყოფნის განცდაზე და ეს ზემოქმედება არღვევს შრომისა და პირადი ცხოვრების ბალანსს, რაზეც მათი გახანგრძლივებული სამუშაო დრო ნათლად მეტყველებს.

# 6

# შემაჯამებელი შენიშვნები და პრაქტიკული გამოყენება პოლიტიკის დაგეგმვისას

პოლიტიკურ დისკურსში ქალების ეკონომიკური გაძლიერების, შრომის მიწოდებისა და ეკონომიკური ზრდის შესახებ ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქალების წახალისება, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ და დარჩნენ სამუშაო ძალის შემადგენლობაში და შეინარჩუნონ სამუშაო საათები. ეს დისკურსი ხშირად მოცემულობად იღებს ქალების აუნაზღაურებელ ზრუნვით შრომას, რადგან იგულისხმება, რომ ამ შრომის მიწოდება, რომელიც, დიდწილად, გენდერული როლებისადმი სოციალური მოლოდინებით არის დეტერმინირებული, სიუხვითა და შედარებითი არაელასტიურობით გამოირჩევა. სამუშაო ძალაში ქალების მონაწილეობასა და ღირსეულ შრომაზე წვდომის შესაძლებლობაზე განსაკუთრებულად ზემოქმედებს შრომის ბაზრის შრომისა და აუნაზღაურებელი საშინაო და ზრუნვის შრომის კომბინირების ტვირთი. პოტენციური სერიოზული შედეგი, რომელიც ქალების სამუშაო ძალის შემადგენლობაში, შინამეურნეობაში აუნაზღაურებელი შრომის ტვირთის გადანაწილებისა და უნივერსალური ზრუნვის სერვისების გარეშე დარჩენას შეიძლება სდევდეს თან, დროითი სიღარიბეა. ამ უკანასკნელის წინაშე კი დღესდღეობით უკვე ბევრი ქალი დგას. აუნაზღაურებელი შრომის შემცირებასა და გადანაწილებაზე მიმართული ყოველგვარი თანმხლები პოლიტიკის გარეშე, სამუშაო ძალაში ქალების მონაწილეობის წახალისებით, პოლიტიკოსები, შესაძლოა, თავისდაუნებურად კიდევ უფრო ამძაფრებდნენ ქალთა დროით სიღარიბეს და ამით ქრონიკული სტრესისკენ უბიძგებდნენ მათ, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს მათ კარგად ყოფნის განცდაზე.[1]

2020-2021 წლების საქართველოში დროის გამოყენების კვლევის (GTUS) მონაცემებზე დაყრდნობით, წინამდებარე ანგარიშში ნაჩვენებია, თუ როგორ არის შესაძლებელი დროის გამოყენების მონაცემების გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის ხელშეწყობისა და გატარებისთვის გამოყენება, რომელიც ქალებისთვის ზრუნვის შრომის მძიმე ტვირთის შემსუბუქებასა და ზრუნვის პასუხისმგებლობების არა მხოლოდ შინამეურნეობაში, არამედ საზოგადოების სხვადასხვა სექტორს შორის ხელახალი გადანაწილებისკენ იქნება მიმართული. GTUS-ის მონაცემებზე განხორციელებული ანალიზი ნათელს ჰფენს, როგორც ზრუნვის შრომასა და სამუშაო ძალაში მონაწილეობის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის კავშირს, ისე - ქალებისა და კაცების მიერ დროის განაწილებაზე ზრუნვის საჭიროებებისა და ზრუნვაში დახმარებაზე წვდომის გავლენას. ეს მონაცემები იმაზეც მიგვითითებს, რომ აუნაზღაურებელი შრომის ზუსტი გაზომვა შეიძლება დროის იმ შეზღუდვების შესახებ პოლიტიკოსების ინფორმირებაში დაგვეხმაროს, რომელსაც ინდივიდები აწყდებიან როგორც სამუშაო ძალაში, ისე - სათემო და სამოქალაქო საქმიანობებში მონაწილეობისას. ანგარიშში შემოთავაზებული ანალიზი მოიცავს არამარტო ქალებისა და კაცების ძირითად აუნაზღაურებელ შრომით აქტივობებს, არამედ პარალელური და ზედამხედველობითი ზრუნვის აქტივობებსაც ითვალისწინებს. შედეგები ემპირიულად ასაბუთებს, რომ ზრუნვის აქტივობათა მნიშვნელოვანი წილი პარალელური აქტივობების სახით ხორციელდება ანდა ზედამხედველობითი ზრუნვის ფორმას იღებს. ზრუნვაზე დახარჯული დროის ოდენობის განსაზღვრა სერიოზულად მიკერძოებული ხდება, თუ გამოთვლებში გამოტოვებულია და არ არის გათვალისწინებული ამ ტიპის აქტივობები და ეს მიკერძოება იმდენად ძლიერი შეიძლება იყოს, რომ, მაგალითად, დაუფასებელი შეიძლება რჩებოდეს ანუ არასაკმარისად ფასდებოდეს ბავშვზე ზრუნვაში გატარებული დრო.

წინამდებარე ანგარიშში დროითი სიღარიბისა და კარგად ყოფნის განცდის ურთიერთმიმართებაც არის გაანალიზებული; კერძოდ, ვამტკიცებთ, რომ კარგად ყოფნის განცდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტს სამუშაო დღის სიგრძეც წარმოადგენს. შესაბამისად, კარგად ყოფნის განცდის წინასწარმეტყველება მხოლოდ რესურსებსა და სერვისებზე ინდივიდის ხელმისაწვდომობით არ ხდება. როგორც ანგარიშშია ნაჩვენები, დროის გამოყენების შესახებ მონაცემები დეპრივაციის ისეთ ნაკლებად შემჩნეულ და აღიარებულ ფორმებზე აპყრობს მკითხველის ყურადღებას, როგორიცაა სამუშაო დროის ხახანგრძლივება, ანდა მეტად დატვირთვა და ისეთი აქტივობებით დაკავებისთვის დროის უქონლობა, რომლებიც პიროვნებას სიამოვნებას

ანიჭებს, მაგალითად, სპორტი, მეგობრებთან სტუმრად სიარული ან სამოქალაქო ღონისძიებებში მონაწილეობა. მონაცემების მიხედვით, მუდმივად ხანგრძლივად მუშაობას ქრონიკულ სტრესამდე და ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებამდე მივყავართ. გარდა ამისა, საოჯახო და ზრუნვის შრომის დამატებითი პასუხისმგებლობები ბევრ ქალს აიძულებს, რომ ერთდროულად რამდენიმე საქმე აკეთოს, მაგალითად, თან საჭმელი მოამზადოს და თან ბავშვებს ადევნოს თვალ-ყური. სამუშაო დროის გახანგრძლივებამ ანდა გადატვირთვამ ქრონიკულ გადაღლამდე, გამოფიტვამდე და სტრესამდეც შეიძლება მიიყვანოს ადამიანი. გრძელვადიან პერსპექტივაში, მუდმივად ხანგრძლივად მუშაობის შედეგად, ქალების შობადობის დონე ნაყოფიერების კრიტიკულ ზღვრამდე შეიძლება შემცირდეს ისევე, როგორც შრომის მიწოდება და ეკონომიკური ზრდა. ასევე, შრომის ასეთმა რეჟიმმა, შესაძლოა, საფუძველი მოურყიოს საზოგადოების განვითარების უნარს, როგორც ეს იაპონიისა და კორეის რესპუბლიკის გამოცდილებამ გვაჩვენა.[2]

ქალების ეკონომიკური გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და მდგრადი განვითარების მიღწევა შეუძლებელია აუნაზღაურებელი ზრუნვის საკითხის პოლიტიკურ დისკურსში წინა პლანზე გადმოტანის გარეშე. ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ქალებისთვის ღირსეულ შრომაზე წვდომისა და შრომასა და პირად ცხოვრებას შორის ჯანსაღი ბალანსის შენარჩუნების შესაძლებლობის მიცემას. ამ მიზნების მიღწევა თანმიმდევრულ და სტრატეგიულ მიდგომას საჭიროებს, რომელიც ფართო დიაპაზონის მქონე პოლიტიკურ დღის წესრიგს მოიცავს, გენდერული ცნობიერებით განმსჭვალული მაკროეკონომიკური პოლიტიკიდან დაწყებული და სოციალური, შრომისა და ზრუნვის პოლიტიკით დამთავრებული, რომელიც შინამეურნეობებში შრომის მეტად თანასწორ გადანაწილებას, ზრუნვის სერვისებში საზოგადოებრივ ინვესტიციებსა და ზრუნვის მუშაკთა ღირსეული შრომის პირობების უზრუნველყოფის ხელშეწყობას მოიაზრებს.

მთავრობა ცენტრალურ როლს ასრულებს აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის საკითხის მოგვარებაში, რომელიც ქალებს მძიმე ტვირთად აწევთ მხრებზე და ანაზღაურებად დასაქმებასა და უკეთესი ხარისხის სამუშაოზე მათი გადანაცვლების ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს.[3] იმ უდიდესი სარგებლის გათვალისწინებით, რომელსაც ინდივიდები, თემები და საზოგადოებები იღებენ ზრუნვის შრომის ხარჯზე, მთავრობებს აკისრიათ ხარისხიანი ზრუნვის სერვისების უზრუნველყოფაში ადეკვატური ინვესტირების ვალდებულება და, მაშასადამე, მათი პასუხისმგებლობაა ზრუნვის/მოვლის სექტორის პოლიტიკურ დღის წესრიგში ინტეგრირება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც აფართოებს ფისკალურ სივრცეს, რათა უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოს ხარისხიანი ზრუნვის სერვისები. ასევე, მნიშვნელოვანია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ოჯახური პასუხისმგებლობების მქონე მუშაკთა კონვენცია (1981, N156), რომელიც ქალ და კაც მუშაკებს შეეხება, რომლებსაც, ოჯახის წევრებზე ზრუნვის პასუხისმგებლობების გამო, ეზღუდებათ შრომის ბაზარზე შესვლის, მონაწილეობისა თუ წინსვლის შესაძლებლობები.

არ შეიძლება ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ზრუნვის სერვისების ტრანსფორმაციული პო-ტენციალის სათანადოდ ვერ დაფასება. ამ სერვისებს შეუძლიათ ქალ მომვლელთა მდგომარეობის გაუმჯობესება იმით, რომ მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ შრომის ბაზარი, დაეხმარონ შრომის გადანაწილებაში და ხელი შეუწყონ პროდუქტიული დასაქმებისა და წარმოების დამკვიდრებას. ფაქტობრივად, სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა, როგორებიც არიან ავსტრალია, არგენტინა, გერმანია, იაპონია, კანადა, კორეის რესპუბლიკა, კოსტა რიკა, ნორვეგია, სინგაპური, ურუგვაი, შვედეთი და ჩილე - აღიარებს ზრუნვის სერვისებში საზოგადოებრივი ინვესტიციების მნიშვნელოვნებას.[4] ეს ქვეყნები ზრუნვის სფეროს მუშაკთა სათანადო მომზადებასა და ღირსეული სამუშაო პირობების შექმნაში მთავრობის მხარდაჭერის საჭიროებასაც აცნობიერებენ.[5] მხარდაჭერას ფართო დიაპაზონი აქვს დაწყებული ზრუნვის სერვისებისადმი მთავრობის მხარდაჭერით, რაც იაპონიასა და კორეის რესპუბლიკაში საჯარო ბაგა-ბაღებისა და გრძელვადიანი ზრუნვის

სისტემების სახეს იღებს, დამთავრებული სინგაპურში ოჯახური ზრუნვის პასუხისმგებლობების მხარდაჭერით, რაც იმას გულისხმობს, რომ ოჯახებს, მთავრობისა და დამსაქმებლის მიერ დაფინანსებული ინდივიდუალური დანაზოგის გეგმის მეშვეობით, ზრუნვის/მოვლის კერძო სერვისების შეძენის საშუალება ეძლევათ; გარდა ამისა, მოზრდილებს, რომლებიც ბავშვთან/მოხუცებულ მშობელთან ერთად ცხოვრობენ, შეღავათები უწესდებათ გადასახადებზე და, ბოლოს, მოქმედებს შეღავათიანი საგადასახადო და საიმიგრაციო პოლიტიკა უცხოელი საოჯახო ზრუნვის მუშაკებისთვის.[6]

მხარდაჭერას ფართო დიაპაზონი აქვს დაწყებული ზრუნვის სერვისებისადმი მთავრობის მხარდაჭერით, რაც იაპონიასა და კორეის რესპუბლიკაში საჯარო ბაგა-ბაღებისა და გრძელვადიანი ზრუნვის სისტემების სახეს იღებს, დამთავრებული სინგაპურში ოჯახური ზრუნვის პასუხისმგებლობების მხარდაჭერით, რაც იმას გულისხმობს, რომ ოჯახებს, მთავრობისა და დამსაქმებლის მიერ დაფინანსებული ინდივიდუალური დანაზოგის გეგმის მეშვეობით, ზრუნვის/მოვლის კერძო სერვისების შეძენის საშუალება ეძლევათ; გარდა ამისა, მოზრდილებს, რომლებიც ბავშვთან/მოხუცებულ მშობელთან ერთად ცხოვრობენ, შეღავათები უწესდებათ გადასახადებზე და, ბოლოს, მოქმედებს შეღავათიანი საგადასახადო და საიმიგრაციო პოლიტიკა უცხოელი საოჯახო ზრუნვის მუშაკებისთვის.[7] გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც, ერთი მხრივ, შრომის ბაზარზე გენდერული მიკერძოებისა და დისკრიმინაციის საკითხის მოგვარებისკენ იქნება მიმართული და, მეორე მხრივ, ზრუნვის/მოვლის სფეროში დასაქმებული კარგად ანაზღაურებადი, ხარისხიანი მუშახელის გაზრდის შესაძლებლობას შექმნის. ასეთი გეგმები არა მხოლოდ თანასწორი ანაზღაურების შესახებ კანონების მიღებასა და დადებითი ქმედებების ეფექტურ გამოყენებას მოიცავს, არამედ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რამდენიმე კონვენციის რატიფიკაციასა და აღსრულებასაც. ესენია შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ კონვენცია (1981, N155), მუშათა წარმომადგენელთა შესახებ კონვენცია (1971, No. 135) და ოჯახში დასაქმების შესახებ კონვენცია (2011, N189). გეგმები შრომისა და სოციალური პოლიტიკის გენდერული ცნობიერებით განმსჭვალული შეფასებების პრიორიტეტულად ცნობასა და განხორციელებასაც მოიცავს.

# დანართი 1. ემპირიულ ანალიზში გამოყენებული რეგრესიული მოდელები

## 1. ზრუნვასა და სამუშაო ძალაში მონაწილეობის ურთიერთმიმართება – პრობიტ რეგრესიული ანალიზი

პრობიტ მოდელი იმის ალბათობის შესაფასებლად, რომ *i*-ური ინდივიდი შრომის ბაზრის შრომით დაკავდება, ასე გამოიყურება:

$$Y_{ij}^{*} = \beta_1 Caregiver_{ij} + \beta_2 Caregiver \times Female_{ij} + \beta_3 Female_{ij} + X_{ij}\vartheta + Z_j\gamma + \varepsilon_{ij}$$

სადაც $Y_{ij}^{*}=1$ თუ $Y_{ij}>0$ (ანუ ინდივიდის მიერ ბაზარზე გატარებული საათები ანუ კონტრაქტით შეთანხმებული დრო) და $Y_{ij}^{*}=0$ სხვა შემთხვევაში. ***მომვლელი***$_{ij}$ 1-ის ტოლია, თუ *i*-ური ინდივიდი მომვლელია *j*-ურ შინამეურნეობაში. I მოდელი *მომვლელი1*-ის განმარტების გამოყენებით მუშაობს, II მოდელი კი – *მომვლელი2*-ის. ***მდედრობითი***$_{ij}$ 1-ის ტოლია, თუ ინდივიდი მდედრობითი სქესისაა. საკვლევი ცვლადი ურთიერთქმედების პირობაა – ***მომვლელი×მდედრობითი***$_{ij}$, რომელიც 1-ის ტოლია, თუ ინდივიდი მომვლელია და მდედრობითი სქესის. ურთიერთქმედების პირობა გვიჩვენებს, მდედრობით სქესისადმი მიკუთვნებულობის ეფექტი სამუშაო ძალაში მონაწილეობაზე როგორ არის დამოკიდებული იმაზე, რომ რესპონდენტი მომვლელია. შესაბამისად, ეს იმდენად გენდერის, როგორც ასეთის ეფექტი კი არ არის, რამდენადაც კონკრეტული სქესის მომვლელად ყოფნა, რაც სამუშაო ძალაში ინდივიდის მონაწილეობის ალბათობაზე ახდენს გავლენას. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ზრუნვის შრომის შესრულების სოციალური მოლოდინები ქალებთან უფრო მოსალოდნელი, ვიდრე სამუშაო ასაკის სხვა ინდივიდებთან. $X_{ij}$ და $Z_j$ დაკვირვებადი მახასიათებლების ვექტორებია ინდივიდისა და შინამეურნეობის დონეზე, შესაბამისად.

## 2. ქალებისა და კაცების მიერ დროის გამოყენების პატერნების დეტერმინანტები

### 2ა. SUR ანალიზი

ამ აქტივობების ერთმანეთზე დამოკიდებულების მოსახელთებლად, SUR მოდელისთვის ორი შეზღუდვა დავაწესეთ. პირველი შეზღუდვა ისაა, რომ განტოლებათა სისტემის გადაკვეთის წერტილთა მნიშვნელობების ჯამი დღეში (24 საათი ანუ 1,440 წუთი) ან კვირაში (168 საათი ანუ 10,080 წუთი) საათების (წუთების) ჯამური რიცხვის ტოლია. მეორე შეზღუდვის მიხედვით, ყველა აქტივობისთვის თითოეული ამხსნელი ცვლადის კოეფიციენტების ჯამი ნულის ტოლი უნდა იყოს. თუ დავუშვებთ, რომ ანალიზის ერთეული წუთების ან საათების ყოველკვირეული რაოდენობაა, SUR განტოლება შემდეგ სახეს მიიღებს:

$$Y_{ji} = \beta_{j0} + X_i\beta_{j\gamma} + u_{ji}$$

სადაც $i = 1...n$ შერჩევაში გაერთიანებული ინდივიდებია.

$$\sum_{j=1}^{4} Yj = 168 \text{ საათი და } \sum_{j=1}^{4} \beta_{j\gamma} = 0 \text{ for all } \gamma = 1,2, \ldots, m$$

სადაც:

$Y$ არის წუთები (საათები) კვირაში;

$X$ არის ამხსნელი და საკონტროლო ცვლადების ვექტორი;

$\gamma$ არის ამხსნელი და საკონტროლო ცვლადების ინდექსი;

$i$ აღნიშნავს ინდივიდს შერჩევაში;

$j$ აღნიშნავს ქალებისა და კაცების მიერ განხორციელებულ აქტივობებს. ეს აქტივობებია: (1) შრომის ბაზრის შრომა (დასაქმებასთან დაკავშირებული შრომა და წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის); (2) აუნაზღაურებელი შრომა (აუნაზღაურებელი საშინაო შრომა და აუნაზღაურებელი ზრუნვა/მოვლა); (3) თავისუფალი დრო და (4) საკუთარ თავზე ზრუნვა.

ყურადღება მიაქციეთ, რომ მეორე შეზღუდვის შესაბამისად, განტოლებებში თითოეული დამოუკიდებელი ცვლადისთვის კოეფიციენტთა ჯამი ნულის ტოლი უნდა იყოს. სხვა სიტყვებით:

$$\sum \beta_{\alpha 1} = 0 \text{ or } \beta_{41} = 0 - \beta_{11} - \beta_{21} - \beta_{31}$$

სადაც $\alpha$ აღნიშნავს ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობების ჯგუფებს:

1 = შრომის ბაზრის შრომა (დასაქმებასთან დაკავშირებული შრომა; წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის)

2 = აუნაზღაურებელი შრომა (არაპირდაპირი ზრუნვის შრომა ან აუნაზღაურებელი საშინაო შრომა; პირდაპირი ზრუნვის შრომა და აუნაზღაურებელი ზრუნვა; აუნაზღაურებელი მოხალისეობრივი შრომა)

3 = თავისუფალი დრო (სოციალიზაცია და კომუნიკაცია, სათემო აქტივობებში მონაწილეობა და რელიგიური პრაქტიკა; დასვენება-გართობა; სწავლა)

4 = პერსონალური ზრუნვა (თვითზრუნვა და თავის მოვლა)[1]

## 2ბ. ტობიტ ანალიზი

ტობიტ ანალიზი დაყვანილი განტოლებით განხორციელდა, რომლითაც $j$ შინამეურნეობაში მცხოვრები $i$ ინდივიდის მიერ ზრუნვის კონკრეტულ ფორმაზე, იქნება ეს პარალელური ზრუნვის შრომის აქტივობები თუ ზედამხედველობითი ზრუნვის აქტივობები, დახარჯული დრო გამოითვლება:

$$OL_{ij}^{*} = X_{ij}\beta + Z_j\gamma + \varepsilon_{ij}$$

